# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 7 დეკემბერი | № 49 (2777) | გამოცემის 59-ე წელი, 1990 | ფასი 20 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობა, ურთიერთგაგება, სიყვარული



დიდი სიყვარულითა და კეთილი გულით ჩამოვედი ერთიანი საქართველოს საპატრიარქოს განუყოფელი ნაწილის — ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მოწვევით.

აქ ბევრია წმინდათწმინდა ადგილი, რომლებსაც მთელი მსოფლიო იცნობს, აფხაზეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული ქრისტიანისათვის ძვირფასი წმინდანების სახელები. მარტო ის ფაქტი, რომ სიმონ კანანელი ახალ ათონშია დაკრძალული, ბევრს მეტყველებს.

სრულიად საქართველოს საპატრიარქოს მრევლში შედის ქართველი ხალხი, მასთან აფხაზი ხალხი, ბერძნები, რუსები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენს ეკლესიაში მოდიან და მოაქვთ ღვთის სიყვარული, ისინი ქადაგებენ ქრისტიანულ კანონებსა და წესებს.

მე კარგად ვიცნობ აფხაზეთს, აფხაზებს. იმ თერთმეტი წლის მანძილზე, როცა აქ მღვდელმთავრობდი, მქონდა დიდებული ურთიერთობა და დღესაც ვალდებულად ვრაცხ თავს მჭიდრო ურთიერთობა ვიქონიო საეპარქიოსთან, მის მრევლთან.

მახსოვს ჩემი ჩამოსვლა აფხაზეთში. 1965 წელს მივმართე აფხაზეთში მრევლს, რომ მე სულიერი მამა ვარ მისი. მას შემდეგ ღრმად გამიჯდა გულში ის სითბო, გულითადობა, კეთილისაკენ მისწრაფება, რაც მაშინ აღმოვაჩინე ჩემს მრევლში, როცა ვიყავი ეროვნების განურჩევლად აქ მოსახლე ყველა ქრისტიანის, ვიმეორებ — სულიერი მამა.

ახლა დიდად სამწუხაროა, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა უარესობისაკენ. სიტუაციის გართულებისა და გამწვავების მიზეზი, ყველა სხვა მიზეზთან ერთად, ისიც არის, რომ ჩვენ აღარ ვართ ის ნამდვილი ქრისტიანები, წარსულში რომ ცხოვრობდნენ ჩვენს მიწა-წყალზე, რომ ჩვენს შორის არიან ისეთები, რომლებიც ქრისტიანობას ქადაგებენ მხოლოდ სიტყვით, რომლებიც ეძებენ „ნათლობას" და არა ნათლობას, ღმერთთან მიახლოებას: შესუსტდა ქრისტიანული სული, შესუსტდა ქრისტიანული მორალი ქართველებში, აფხაზებში, სხვა ერთა წარმომადგენლებში. ეს იწვევს ბუნტს, კონფლიქტებს, ბევრ გაუგებრობას. საუკუნეების მანძილზე ჩვენ ერთად ვცხოვრობდით და ერთად უნდა ვიცხოვროთ კიდევაც.

ხალხთა კეთილ ნებაზე, ქრისტიანობის წმინდა იდეალებისადმი მის მისწრაფებაზეა დამოკიდებული — დამარცხდება თუ არა მშვიდობა ჩვენს დალოცვილ მიწაზე, რომ ყოველი ქრისტიანი ისწრაფვოდეს მშვიდობისა და სიკეთისაკენ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ისინი, ვინც „თესავს ქარს", ვისაც სწყურია არეულობა, რის შედეგადაც ცხოვრებაში ადგილი აქვს ერთმანეთს შორის გაუგებრობას თუ ცუდად გაგებას, მტრობა იბუდებს ძმათა გულებში, ისინი არ არიან ქრისტიანები, ისინი ერთნაირად მტრები არიან თავიანთი ხალხისაც, სულ ერთია ვინც უნდა იყოს ის — ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი, ბერძენი თუ სხვა...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის **ილია მეორის** განცხადებიდან.

# აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიაზე

ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთა შორის ურთიერთობის გამწვავებამ უარყოფითად იმოქმედა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით უზენაესი საბჭოს მუშაობაზე, რომელიც თითქმის პარალიზებული აღმოჩნდა, აშკარად შეიმჩნეოდა ეროვნული ნიშნის მიხედვით გათიშვის ტენდენცია.

მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში სოხუმში ჩატარდა ორმხრივი კონსულტაციები და მოლაპარაკება კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად, ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიული ურთიერთპატივისცემისა და თანხმობის აღსადგენად.

ზემოაღნიშნულმა კონსულტაციებმა დადებითი შედეგები გამოიღო. ამას ადასტურებს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომა, რომელიც 4 დეკემბერს ჩატარდა სოხუმში. სესიას ესწრებოდა თითქმის ყველა დეპუტატი — ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები და სხვა ეროვნების დეპუტატები. სესიაზე მოწვეულ იქნენ ადგილობრივი ქართული და აფხაზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზში სუფევდა ნორმალური მეგობრული ვითარება.

სესიის დღის წესრიგში შეტანილი იქნა 4 საკითხი:

1. საორგანიზაციო საკითხი.
2. აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარების კანონპროექტის შესახებ.
4. აფხაზეთის უზენაეს საბჭოსთან ერთაშორის კონფლიქტების მომწესრიგებელი კომისიის შექმნის შესახებ.

სესიას თავისი პოსტიდან უფლებამოსილებათა მოხსნის შესახებ თხოვნით მიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე ოზგანმა.

დეპუტატებმა ერთხმად დააკმაყოფილეს მისი თხოვნა. სესიამ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ვლადისლავ არძინბა. თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია ვახტანგ ყოლბაია.

თავის გამოსვლაში ვ. არძინბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს წინაშე დგას ორი მნიშვნელოვანი ამოცანა: 1. ორმხრივი ურთიერთდათმობის, ურთიერთგაგების და კომპრომისის მეშვეობით საჭიროა შეიქმნას პოლიტიკურად სტაბილური სიტუაცია რესპუბლიკაში. 2. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეკონომიკურმა სიძნელეებმა ნაკლებად იმოქმედოს მოსახლეობის ცხოვრებაზე, რომ დღევანდელი სესია გახდება აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის მშვიდობის და თანხმობის დასაწყისი.

მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს საქართველოს რესპუბლიკაში მიიღეს კანონები, რომლებიც ძირითადად ცვლიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურას. შესაბამისად საჭიროა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ერთობლივად მომზადდა ზემოთ აღნიშნული კონსულტაციების დროს.

ვ. არძინბამ თქვა, რომ სათანადო ცვლილებების მიხედვით უქმდება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი, რომელიც ბოლო წლებში მუდმივად ეკავა ვალერიან ოსმანის ძე კობახიას. ამიერიდან კობახია განთავისუფლებულია ზემოაღნიშნული პოსტიდან.

სესიაზე დადგინდა, მომზადდეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების ჩატარების კანონპროექტი, რომელსაც განიხილავენ სესიის უახლოეს სხდომაზე.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის უზენაეს საბჭოსთან შეიქმნას ერთაშორისი კონფლიქტების მომწესრიგებელი კომისია.

სესიამ დააკმაყოფილა დეპუტატების: ზებელიანის, სარიანის და და სალუქვაძის თხოვნა დეპუტატობის უფლებამოსილებათა მოხსნის შესახებ. ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.

**თენგიზ პაჭკორია,**
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტი).
სოხუმი, 4 დეკემბერი.

გამოხმაურება, ინფორმაცია...

# შეხვედრა ჟურნალისტებთან

4 დეკემბერს საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის **დილარ ხაბულიანის** შეხვედრა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებთან.

შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის მდივანი ზაურ გომართელი, საქართველოს უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქორიძემ ისაუბრა ახალი ხელისუფლებისა და მის წარმომადგენელთა მეტად რთულ და საპასუხისმგებლო მისიის შესახებ, რომელიც მათ დაეკისრათ, როგორც ხალხის რჩეულთ. აღინიშნა, რომ განსაკუთრებით სავალალო და მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად საქართველოს შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს და მის კაბინეტს.

ჩვენი საზოგადოების შეშფოთება და გულისწყრომა, ქვეყანაში არსებული დესტაბილიზაციით გამოწვეული, მკაფიოდ და თვალნათლივ აისახა დარბაზში მსხდომ ჟურნალისტთა შეკითხვებში, წინადადებებსა და შენიშვნებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში დღეს პარალიზებულია და, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს მილიციის ორგანოები, სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა გამო არნახულად გაიზარდა ყველა სახის დანაშაულობათა რიცხვი, განუკითხაობა სუფევს ირგვლივ... გადასაჭრელია უამრავი პრობლემა, რასაც კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ეროვნულ მილიციას ოპოზიციაში უდგას თანამემამულეთა გარკვეული ნაწილი, რაც ქმნის უხეში დაპირისპირებისა და ძმათა შორის შეიარაღებული შეტაკების საშიშროებას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას თავიდან აცილებული მშვიდობიანი გზით. დარბაზში ერთსულოვნად გამოითქვა აზრი, რომ აუცილებელია ყველა სახის არაოფიციალური და უკანონოდ შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღება, დაიწყოს აქტიური საზოგადოებრივი მოძრაობა ყოველგვარ დანაშაულობათა და დამნაშავეთა წინააღმდეგ, რაც უფრო ეფექტურსა და თვალსაჩინოს გახდის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობას.

ბატონმა დილარ ხაბულიანმა, თავის მხრივ, საქართველოს ჟურნალისტებს მოუწოდა აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისაკენ, რათა მათი საშუალებით ჭეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებზე შეიქმნას საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, წარმოჩენილ იქნას ფართო საზოგადოებრიობის წინაშე, თუნდაც, ყოველი მისი წევრის კონსტრუქციული წინადადება, მოსაზრება, არ დარჩეს ყურადღების გარეშე რესპუბლიკაში არსებული არცერთი პოლიტიკური ძალა, გაშუქდეს ყოველი ორგანიზაციის საქმიანობა ობიექტურად, მიუმხრობლად, რათა ჩვენი ცხოვრების ნათელსა და ჩრდილოვან მხარეებზე საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს სწორი, ჯანსაღი აზრი, ურომლისოდაც მარტოოდენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი აპარატის გულმოდგინება, გნებავთ, თავდადებაც, ვერ მოგვიტანს ჩვენთვის ესოდენ სასურველ და საჭირო შედეგს.

დასასრულ, ბატონმა ზაურ გომართელმა დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირს დაგეგმილი აქვს სისტემატური შეხვედრები არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის მუშაკებთან, არამედ ახალი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთანაც.

ელისო სიხარულიძე

# გზა ერთობის სა…

1990 წლის 4 ოქტომბერს ქართველმა მკითხველმა მიიღო კიდევ ერთი 16 გვერდიანი გაზეთი — „გზა ერთობისა". მიმდინარე წლის 19 ოქტომბრის ნომერში გავეცანით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორთა საბჭოს გამოხმაურებას ამ გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებით. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორთა საბჭოს პოზიციას და ვფიქრობთ, რომ ამ გაზეთის გამომცემლები: ქალბატონი კლარა აბრამია და მისი თანამზრახველნი არ დგანან ერთობის გზაზე. ისინი გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის, თუ კონსტანტინე გამსახურდიას ნათელ სახელებს ამოფარებულნი კუთხური განცალკევების გზას უფრო მიჰყვებიან და შლეგი ისააკ ჟვანიას მემკვიდრეობას აპირებენ.

დღეს, ისე როგორც არასდროს, ჰაერივით საჭიროა ქართველი ერის ერთიანობა, კონსოლიდაცია, რათა როგორმე აღვადგინოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობა. „გზა ერთობისა" კი დაქუცმაცებისაკენ მოგვიწოდებს. ამიტომ უნდა დაიგმოს კუთხური სეპარატიზმი და გაუქმდეს გაზეთი „გზა ერთობისა".

ერთხელ, გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა, რომ ერთ მუჭად უნდა შეიკრას მთელი ქართველი ხალხი, მთელი ქართული მწერლობა, რათა ცხვირ-პირი დაამტვრიოს ყველა იმ არამზადას, ვინც აპირებს ქართველი ერის დაქუცმაცებას. გაზეთი კი პირდაპირ მოგვიწოდებს, მეგრელებო, სამეგრელოს კულტურა აღორძინეთო. თუ არა ამას, აბა, რას ნიშნავს წარმოშობით ყაზახი, მაგრამ რუსი მწერლის, ბილინგვიზმის თეორიის მიმდევრის ჩინგიზ აითმატოვის სიტყვები: „დიდი სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო უდიდესი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მშობლიური მხარის სამეგრელოს კულტურის აღზევებაში". არ გვეგონა თუ არსებობდა ცალკე სამეგრელოს კულტურა! ცოტა ხნის მერე კიდევ გამოჩნდება ალბათ რომელიმე სხვა არაქართველი მწერალი და უკვე სვანებს, გურულებს, იმერლებს, კახელებს, ქართლელებს... „დაეხმარება" მათი კულტურის აღორძინებაში. ამაოდ ირჯება ჩინგიზ აითმატოვი. უმადურობაში რომ არ ჩამოგვართვას, ჩვენც გვინდა ვურჩიოთ, აჯობებდა თავისი მშობლიური კუთხისათვის მიეხედა და ყაზახური კულტურის გამდიდრებისათვის ეზრუნა, რუსები კი თავად მოუვლიან თავიანთ ქვეყანასა და მწერლობას არარუსი აითმატოვის დაუხმარებლად.

გაზეთის მე-16 გვერდზე რედაქტორი ქ-ნი კლარა აბრამია წერს: „გაკიცხვა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორს ელიზბარ ჯაველიძეს და მის მოადგილეს ჯუმბერ თითმერიას, რომლებიც პროვოკაციული მეთოდებით ხელს უშლიდნენ ჩვენი გაზეთის გამოსვლას".

ქ-ნო კლარა, რაც არ უნდა აუგად მოიხსენიოთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი და მისი მოადგილე, ხალხი არ დაგიჯერებთ, რომ ისინი აბსოლუტურად სწორ პოზიციას არ ადგანან ამ საკითხში... ხოლო თქვენ, ქ-ნო კლარა, ვგონებ, საკუთარი გაზეთი იმისათვის გჭირდებათ, რომ თქვენთვის არასასურველ პიროვნებებს გაზეთის ფურცლებიდან გადაუხადოთ სამაგიერო.

გაზეთის ბოლო გვერდზე წერია: „როგორი იქნება ჩვენი გაზეთი? ამის შესახებ მომდევნო ნომერში გიამბობთ. გამოიწერეთ გაზეთი „გზა ერთობისა".

მეგობრებო, ნუ გამოიწერთ ამ გაზეთს! კუთხური სეპარატიზმის მქადაგებელი გაზეთი ჭეშმარიტმა ქართველმა არ უნდა წაიკითხოს, ამ გაზეთმა ქართველი ხალხის მხარდაჭერა არ უნდა ჰპოვოს.

**დ. ქებურია** (საქართველოს რესპ. უზენაესი საბჭოს დეპუტატი), **ი. უგილავა, მ. ნოდია, ლ. ადამია, ნ. ხუფაცარია, ნ. ხუნწარია, რ. ბარკალაია, ი. კორძაია, ლ. ფარცხვანია, დ. შეროზია, დ. შელია, მ. ჯიქია, ქ. ხურცილავა, ნ. გოგია, ნ. ლაცუზბაია, ნ. მუჯირია, ა. ცაბურია.**

# ნუ დაგვივიწყებთ!

პატივცემულო რედაქციავ!

არ გავაზვიადებ თუ ვიტყვი, რომ ვწერ ქართველ ოფიცერთა სახელით.

ჩვენთვის ბოლოსდაბოლოს გასაგები გახდა, რომ საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს საკეთილდღეოდ სამსახური ილუზიაა. აუტანელია ჩვენი მდგომარეობა — იძულებით ვატარებთ საბჭოთა ოკუპანტური არმიის ფორმას. ჩვენს განცხადებებს სამსახურზე უარის შესახებ ყურად არავინ ღებულობს.

დივიზიისა და არმიის უფროსებმა შემოგვთავაზეს სამშობლოში დაბრუნება... ციხის გავლით. სხვა გზები თავდაცვის მინისტრის ბრძანებით აკრძალული ყოფილა. შინ დაბრუნების ამ მიზნისკენ მიმართული ჩვენი ყველა ღონისძიება საბჭოთა არმიის ოფიცრის „მაღალი წოდების" დისკრედიტაციად მიიჩნევა. ცოტაც და პროკურატურა აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს ჩვენ წინააღმდეგ. იქნებ აქედან უნებართვოდ წამოსვლამ უშველოს ჩვენს გაჭირვებას? იქნებ საქართველო დაგვეხმაროს და გამოგვინახოს შესაფერისი საქმე?

გამოგვეხმაურეთ, მოგვეცით რჩევა!

ჩვენს ექვსთვიან ბრძოლას თავისუფლებისათვის ტრაგიკული დასასრული ემუქრება.

პატივისცემით **ზაზა ქარქაშაძე**
(ლეიტენანტი)
ჩელიაბინსკის ოლქი

# საგანგებო შეკრება

29 ნოემბერს ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემია-ში" გადმოცემულმა სიუჟეტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოში. რესპუბლიკაში შექმნილ რთულ ვითარებაში ეს კიდევ ერთი გამაფრთხილებელი ნიშანია ცენტრის მხრიდან.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განცხადებაში „საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში შექმნილი მდგომარეობის შესახებ" აღინიშნა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მთავრობის უკანონო, არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, მათ ადგილზე კი დანიშნეს „უცხო პირები". ამის შედეგად მოხდა კომიტეტის მუშაობის პარალიზება.

სწორედ ამ ფაქტზე სათანადო რეაგირებისათვის შეიკრიბა თბილისში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და მთელი რიგი ტერიტორიული ორგანოების ოფიცერთა შემადგენლობა. კრებას თავმჯდომარეობდა ოფიცერი **მურმან კალანდაძე**, საპასუხო განცხადების პროექტი წარმოადგინა **თეიმურაზ ვაშაკიძემ**. შემდეგ გაიმართა კამათი, განცხადების ტექსტში შეიტანეს რამდენიმე შესწორება.

ოფიცერმა **ილია ნარიმანიძემ** განაცხადა: თითოეული ადამიანისა თუ კოლექტივის ცხოვრებაში დგება გადამწყვეტი მომენტი, როცა მან უნდა გააკეთოს არჩევანი — ბარიკადის რომელ მხარეს დადგეს, მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მტკიცედ ვდგავართ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმ ხელმძღვანელობის მხარეზე, რომელიც რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დანიშნა და რომელსაც არ ცნობს საკავშირო ხელმძღვანელობა. ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ არა მხოლოდ როგორც პატივსაცემ პიროვნებებს, არამედ გვაქვს პრინციპული მოსაზრებაც — შექმნილ მდგომარეობაში ერთი ნაბიჯით უკან დახევაც კი შეუძლებელია. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ — ჩვენ არავისთან კონფრონტაციაში არ შევდივართ, ყველასთან ვითანამშრომლებთ იმ ფარგლებში და იმ დონეზე, როგორც ამას საქართველოს უზენაესი საბჭო განსაზღვრავს... საერთოდ კი, მზად უნდა ვიყოთ სიტუაციის ნებისმიერი გართულებისათვის... რაც შეეხება ჩვენი მუშაობის პარალიზებას, ეს მოვლენა გუშინ არ დაწყებულა, არამედ წლების მანძილზე მიმდინარეობდა... საკავშირო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, განხეთქილება ჩამოაგდოს კომიტეტის თანამშრომლებს შორის, ჩვენსა და ხალხს შორის. და, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას, კარგად ვიცით იმ სცენარების მიხედვით, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში გათამაშდა.

ისნის რაიონის განყოფილების თანამშრომელმა **შიო სურმავამ** აღნიშნა, რომ აუცილებელია საქართველოს მოსახლეობამ იცოდეს სიმართლე 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ; საჭიროა განვუქარვოთ ხალხს ილუზიები, თითქოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, მისმა ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა მიმდინარე მოვლენების შესახებ... ჩვენთვის ცნობილია ის წრეები, რომლებიც რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების შესახებ მსგავს დეზინფორმაციას აწვდიან ცენტრს. აგრეთვე, ის ძალები რომლებმაც ძლიერი მაფია შექმნეს კომიტეტში...

**ტარიელ ვარდანაშვილმა** ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სწორედ 27 ნოემბრის შემდეგ დაიწყო რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მიზანმიმართული საქმიანობა ახალი ამოცანების შესასრულებლად.

კამათში მონაწილეობდნენ უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები მიხეილ მამარდაშვილი, ხლავა ზორენკო, ავთანდილ კუსრაშვილი, ამირან არჩვაძე, გია სულაძე. კანონპროექტში შეიტანეს შესწორებები, გამოითქვა ბევრი საყურადღებო აზრი.

**გია სულაძემ** აღნიშნა: „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა აუცილებლად უნდა შეხვდეს საკავშირო მთავრობის წარმომადგენლებს, პირადად პრეზიდენტ გორბაჩოვს... ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, საქმე ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ, მაგრამ ვისაც არა აქვს მორალური უფლება მიუთითოს სხვას, ის ნუ გამოვა ტრიბუნასთან."

შეხვედრაზე განაცხადეს, რომ სასურველია თითოეულმა მოქალაქემ უკეთ გაიგოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაობის სპეციფიკა. მისი ძირითადი მიზანი ახალ პირობებში — ხალხისა და სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა.

ოფიცერთა თხოვნით უახლოეს ხანში შედგება მათი შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ ზვიად გამსახურდიასთან.

დასასრულ, კრებამ ერთხმად მიიღო საპასუხო განცხადება, რომლის ტექსტსაც უკვე გაეცნო მკითხველი პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

ნინო კვიტაშვილი

# ახალი სამოკავშირეო ხელ-ფეხშეკრულების პროექტის გამო

ფაქტობრივი გაუგებრობანი ანუ, რას ესწრაფვის საქართველო და რას სთავაზობენ საქართველოს!

სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს შემდეგი აუწყა: „ამ პირობებში (ანექსირებული და დაპყრობილი ქვეყნის პირობები კი ყველასთვის ცნობილია) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შესაძლებლად არ თვლის ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ამით თავის თავზე აიღოს რაიმე ვალდებულება“.

დიახ, ასეა, სანამ საქართველო ჭეშმარიტ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს, სანამ საქართველოში არ აღსდგება დაკარგული სახელმწიფო სტატუსი, მანამ საქართველო ხელს ვერ მოაწერს შემოთავაზებულ „ხელშეკრულებას“. მითუმეტეს შემომთავაზებლებს არც არაფერი საწყენი არ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან პროექტის მეორე თავის პირველი პუნქტი გვაუწყებს, რომ „სსრ კავშირის რესპუბლიკათა წევრობა ნებაყოფლობითია“... ვითომ მართლა ასეა? მართლა ჩვენს ნებაზეა „საბჭოთა კავშირში შესვლა-გამოსვლა? განა თავის დროზე, ასე ჩვენი „ნებით“ არ გაგვაერთიანეს და აგერ 70 წელია ცხვირი ვერ გამოვყავით ამ „დიდი“ სახმოდან?“

დავიწყოთ პროექტის „ძირითადი პრინციპებიდან“:

„თითოეული რესპუბლიკა ხელშეკრულების მონაწილე სუვერენული სახელმწიფოა და ფლობს მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას თავის ტერიტორიაზე“. მეორე და მესამე პუნქტებში. ეს ჩვენი „სუვერენული სახელმწიფო“ კვლავაც რესპუბლიკად იქცევა, რომლის მოქალაქეებისათვის „გარანტირებულია მშობლიური ენის შესწავლისა და გამოყენების შესაძლებლობა“. იფ, შენი გულისა, რა მოხდენილადაა ნათქვამი, თურმე, ნუ იტყვი, გარანტირებული ხარ, რომ მშობლიურ ენას შეგასწავლიან, ასევე უფლებამოსილება გექნება ხანდახან გამოიყენო კიდევაც შენი მშობლიური ენა (რაღა თქმა უნდა, საჭიროებისამებრ), ჯერ ერთი, ვისგან ხარ გარანტირებული, ან რა გარანტიები სჭირდება სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს? მერე მეორე, მშობლიური ენა შალაშინი ხომ არ არის ვინმემ გათხოვოს და საჭიროებისამებრ გამოიყენო? იქნებ მართლა ბნელა?

პროექტში დავიწყებულია რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა და შემდგომ მხოლოდ რესპუბლიკათა „თავისუფლებაზეა“ საუბარი.

მეხუთე პუნქტში ისევ გამოკრთის რესპუბლიკის „სახელმწიფო“ სტატუსი, აქ კი „თვითნებობის ყოველგვარი ტენდენციების წინააღმდეგ“ ილაშქრებენ.

ხელ-ფეხშეკრულ რესპუბლიკას თურმე უფლებაც კი აქვს, რომ საერთაშორისო სარბიელზე გავიდეს და „კაცობრიობის წინაშე მდგომი ყველა სხვა გლობალური პრობლემები გადაჭრას“. რესპუბლიკის, ანუ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს მოქალაქე იმდენად თავისუფალია, რომ სსრ კავშირის მოქალაქეცაა, „სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკის მოქალაქე ერთდროულად სსრ კავშირის მოქალაქეა“.

თუ გაგიგიათ სახელმწიფო სახელმწიფოში იყოს შემავალი? ეს მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეიძლება მოხდეს, თორემ ჭეშმარიტად, დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიძლება ვისმე მეკავშირე იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მასში შემავალი. მოგეხსენებათ, ენგური მანამაა ენგური, სანამ შავ ზღვას შეუერთდებოდეს, შემდეგ, ის, რაც შეუერთდა, უკვე შავი ზღვის წყალია. ამაზე შესანიშნავად თქვა პოეტმა:

„იმღერე, სანამ ენგური გქვია
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა“.

დიახ, ასეა...

თქვე კაი ხალხო, ჩვენ კიდევ მოტყუება გვჭირდება? რა, მთელი ჩვენი ცხოვრება მოტყუებულები არა ვართ?

მეორე თავის მე-7 მუხლში, სადაც საკუთრებაზეა საუბარი, საკუთრების ყველა ფორმა ნებადართულია, თურმე რესპუბლიკა ყველაფრის პატრონია, თუმცა ყველაფერს ვერ დაესაკუთრება, თუნდაც იმ ქონებას, „რომელიც საჭიროა სსრ კავშირის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის“.

შენ რომ გგონია, მიწა მაინც გეკუთვნის, შენი მიწა, მიწა წინაპართა სისხლით გაპოხილი, მიწა უძველესი, ნურას უკაცრავად: „რესპუბლიკების კანონმდებლობით მიწის, მისი წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების საკუთრებითი ურთიერთობის რეგულირებამ ხელი არ უნდა შეუშალოს კავშირის უფლებამოსილებათა რეალიზაციას“. ესეც შენი სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო — საქართველო...

სახეშეცვლილი იმპერია შეტევაზეა გადმოსული, ადრე თუ უფრო შენიღბული იყო, ახლა ნიღბჩამოხსნილია...

მეორე თავის მეცხრე მუხლი ცინიკურად ჟღერს, რესპუბლიკებს, ანუ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ყველაფრის უფლება აქვთ (კანონის უზენაესობა იგულისხმება) თავის ტერიტორიაზე, მაგრამ, ამავე დროს, არაფრის უფლება, კაცი იკითხავს, კი მაგრამ, როგორ შეუხამეს ერთმანეთს უფლება და უუფლებობა? როგორ და მშვენივრად. როგორ და ასე: „რესპუბლიკურ კანონმდებლობას რესპუბლიკათა ტერიტორიაზე აქვს უზენაესობა ყველა საკითხზე, იმ საკითხების გარდა, რომლებიც განეკუთვნება კავშირის გამგებლობას“. ვაი, შე საცოდავო, დიდ სახელმწიფოში შემავალო ფრიად თავისუფალო და სუვერენულო სახელმწიფო-რესპუბლიკავ!

რამდენს გაუხარდებოდა პირველი თავის „ძირითადი პრინციპის“ ამაღელვებელი და ხელგაშლილი ტექსტი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის შემქმნელთა: „თითოეული რესპუბლიკა ხელშეკრულების მონაწილე სუვერენული სახელმწიფოა და ფლობს მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას თავის ტერიტორიაზე“.

ახლა ვიკითხოთ, რას ფლობს „თავის ტერიტორიაზე“? ან რომელ „თავის ტერიტორიაზე“? სსრ კავშირს რომ ეკუთვნის? ტყუილიაო, მეტყვიან, ამ პროექტის შემთხზველები, მე კი ვიტყვი: ფიცი მწამს და მეორე თავის მესამე მუხლი — „ტერიტორიები“ მაკვირვებს: „სსრ კავშირის ტერიტორია შედგება ხელშეკრულების მონაწილე ყველა რესპუბლიკის ტერიტორიებისაგან“.

ყოველივედან დავასკვნათ: თუ სსრ კავშირის რესპუბლიკათა წევრობა ნებაყოფლობითია, გინდა შეხვალ ამ კავშირში და გინდა არა; გავიხსენებ მესამე თავის 22 მუხლს: „სამოკავშირეო ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან. მისი ხელმომწერი რესპუბლიკებისათვის იმავე თარიღიდან ძალადაკარგულად ითვლება 1922 წლის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ.

შეხვალ? წაიშლება ძველი თარიღი ანექსიისა და დაპყრობისა და დაიწყება ახალი ანექსია, არ შეხვალ და ანექსირებული და დაპყრობილი ხარ. აი, თავისუფლება საბჭოური გაგებით.

22-ე მუხლი წმინდა წყლის იმპერიული მუქარაა, ასე მუქარით მთავრდება ეს „ახალი სამოკავშირეო ხელ-ფეხშეკრულების პროექტი“.

ყველაფერი ნათელია. მივხედოთ ერთმანეთს, ერთმანეთის პატრონი მხოლოდ ჩვენა ვართ!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

# პატივი ვცეთ სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნას!

„ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 5 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ტარიელ ჭოღლიძის პატარა წერილი „კოტე, შალვა და კიდევ თხუთმეტი თავგანწირული ასპირანტი“. წერილის დასაწყისში აღნიშნულია, რომ 1942 წლის ბოლოს საქართველოს სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით დახვრიტეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩვიდმეტი ასპირანტი იმის გამო, რომ მათ პროტესტი განაცხადეს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე საქართველოს ტერიტორიის მიღმა — საქართველოს დამპყრობ და დამმონებელ რუსეთის დასაცავად“.

წერილში დასახელებული კოტე ჭოღლიძე და შალვა შავიანიძე აქტიური მონაწილე იყვნენ 1942 წლის შეთქმულებისა. ბრალდებულთა შორის აღმოვჩნდით ჩვენც, ასე რომ, კარგად ვიცით, რა იყო და როგორ. ბ-ნი ტარიელი სწორად ასახელებს დახვრეტილთა რაოდენობას, სხვა მხრივ კი ციტირებული ადგილი არ შეესაბამება სინამდვილეს და იწვევს რამდენიმე შენიშვნას. აღვნიშნავთ მთავარს:

1. პასუხისგებაში ვიყავით მიცემული ოცდაცამეტი. მათ შორის ორი ქალი. გამომძიებელი იყო ერთი უშნო ვინმე, გვარად მარქაროვი (თუ მარქარიანი). გაგვასამართლა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა (და არა საქართველოსამ) კრასნოდარელი ფომინის თავმჯდომარეობით. მდივანი იყო პეტროსიანი. ტრიბუნალის შემადგენლობაში ქართველი არავინ იყო. ასე რომ, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, ქართველი ახალგაზრდების ბედს წყვეტდნენ სხვა ტომისა და მოდგმის ადამიანები. აი, ამათ მიუსაჯეს 17 ბრწყინვალე ახალგაზრდის დახვრეტა. 13-ს — გადასახლება სხვადასხვა ვადით, ხოლო სამი გაგვამართლეს. მოსკოვმა არ შეიწყალა დახვრეტამისჯილები და განაჩენი აღუსრულებიათ 17 ოქტომბერს (და არა წლის ბოლოს). აი, ვის ხელში იყო მაშინ ქართველთა ბედი!

2. დახვრეტილთა შორის რამდენიმე არ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი;

3. 1942 წლის შეთქმულება დიდი ისტორიული ფაქტია. იგი, რა თქმა უნდა, უბრალოდ ხელწამოსაკრავი და განსაქიქებელი ხრულებითაც არ გახლავთ, როგორც ეს წარსულის ავადმყოფური ფსიქოლოგიით დაავადებულ ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს. ტირანიამ ათასობით უდანაშაულო და თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ეროვნული მოძრაობა არ ჩამკვდარა, არ შეწყვეტილა თვით მძვინვარე მეორე მსოფლიო ომის დროსაც. განა ამის დამადასტურებელი მაგალითი არ არის სამშობლოსათვის თავდადებული ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდების 1942 წლის შეთქმულება? რა თქმა უნდა, ეს ურყევი ისტორიული ფაქტია.

შეთქმულთა ჩანაფიქრი, მათი განსჯისა და თავდადების საგანი იყო უაღრესად კეთილშობილური, პატრიოტული: ფაშისტური გერმანიის არმია, რომელიც პირველ ხანებში სწრაფად მოიწევდა წინ, თუკი საქართველოს საზღვრებს მოადგებოდა, რამე ეღონათ, რომ ჩვენს ქვეყანას ომის ხანძარი არ მოსდებოდა, სოფლები და ქალაქები არ გადაბუგულიყვნენ, ისედაც მცირერიცხოვანი ქართველობა არ გაწყვეტილიყო, აღედგინათ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სხვა ქვეყნის კოლონია არ გამხდარიყო... აი, ეს გახლდათ 30 შეთქმულის დასჯის საბაბი, და არა ის, თითქოს ისინი დაესაჯოთ „იმის გამო, რომ მათ პროტესტი განაცხადეს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე“...

შეთქმულებს იარაღისთვის ხელი არ მოუკიდებიათ, აჯანყება არ მოუხდენიათ, მათი საქმიანობა სიტყვებს არ გასცილებია. საბჭოთა არმიამ რომ შეაჩერა მტრის წინსვლა, ბევრგან უკუაგდო და მისი გამარჯვება საეჭვო გახდა, შეთქმულებს, რამდენადაც ეს ჩვენთვის გასამართლების პროცესში გახდა ცნობილი, შეუნელებიათ თუ შეუწყვეტიათ ამ საგანზე ფიქრი და მსჯელობა, მაგრამ სასჯელს მაინც ვერ ასცდნენ.

შენიშვნას იწვევს წერილის მესამე აბზაციც, სადაც წერია: „დახვრეტის განაჩენის გამოცხადების შემდეგ „გაყინულ“ დარბაზში კოტეს წამოწყებით მსჯავრდებულებმა სიმღერა „სამშობლო“ დააგუგუნეს და ამით ამცნეს უმართებულო ტირანულ ძალას, რომ მათი სისხლი მარადისობას უერთდებოდა“.

განაჩენი 20 სექტემბერს გამოგვიცხადეს შინსახკომის მიწისქვეშა ოთახსა თუ სარდაფში (და არა სასამართლოში), ღამით, დაახლოებით 10 საათზე. გულის შემზარავი ღამე იყო. ყველანი დაზაფრული, გაოგნებული ვიყავით; დაჭიმული ნერვებითა და დაძაბული ყურადღებით მოვისმინეთ სატანური განაჩენი. არავითარი სიმღერა! დამნაშავეა ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე, ვინც ძმის დაკარგვით გულდათუთქულ ტარიელს თავისი ფანტაზიით გამონაგონი ნამდვილ ამბად მოაჩვენა.

ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში (12.X.1990) დაიბეჭდა შალვა ამინაშვილის პატარა წერილი „ზედმეტი ხომ არ მოგვდის?“, რომელიც ტარიელ ჭოღლიძის წერილის საპასუხოდ არის გამიზნული. ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ იგი არ არის კომუნისტური იდეოლოგიის დამცველი და ერთი იმათგანია, „ვინც მთელი არსებით გმობს სტალინურ დიქტატურას, ვინც სიხარულით შეხვდა ძველი კერპების მსხვრევას, ლენინური ურჩხულისაგან თავისუფლების მოედნის განთავისუფლებას, ორჯონიკიძის, კიროვის, ძერჟინსკის ძეგლების ჩამოგდებას“, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილის სათაური და მისი შინაარსის სულისკვეთება თქმულის დამადასტურებლად არ გამოდგება.

ამაზრზენია, ბ-ნო შალვა, ძმის დაკარგვით გულდათუთქული ტარიელისადმი თქვენ მიერ დასმული კითხვა: „ის 17 კაცი ჩვენს საამაყო ქაქუცა ჩოლოყაშვილს გინდათ ამოუყენოთ გვერდით და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების შარავანდედით შემოსოთ? მაშინ, როგორ მოვექცეთ მირზა გელოვანის, გიორგი ნაფეტვარიძის, სევერიან ისიანის, ვლადიმერ უბილავას, დავით პატატიშვილის, ათიათასობით მათსავით უწვერ-ულვაშო ბიჭების სახელებს, რუსული მიწის დაცვით — საქართველოს რომ იცავდნენ, საბჭოთა მიწის დაცვით, თავიანთი ოჯახის, ცოლ-შვილის, თუ დედ-მამის, წინაპრების ძვლების სიწმინდეს იცავდნენ?“ ავტორი ამ კითხვების დასმით არ კმაყოფილდება. იგი განაგრძობს: „ისე ნუ ვიზამთ, რომ, აქაოდა, რუსეთი ჩვენი დამპყრობელიაო (რაშიც ეჭვი არავის არ უნდა ეპარებოდეს), ყველა ქართველი გენერალი თუ ჯარისკაცი, ბოროდინოს ბრძოლიდან დაწყებული, ფაშიზმთან ომამდე — უგუნურებად გამოვაცხადოთ და ყველა, ვინც ლაჩრულად ომს თავი აარიდა, ტყეში გაიხიზნა ან მტრის მხარეზე დადგა, გმირებად და სამშობლოს ერთგულ შვილებად გამოვაცხადოთ, ყველაფერს თავდაყირა ნუ დავაყენებთ“. დასასრულ ბ-ნი შალვა იმასაც დასძენს, რომ 1942 წლის შეთქმულთა მოქმედება თავგანწირვა კი არა, უგუნურება ყოფილაო.

განუკითხაობაა, სრული განუკითხაობა. მართლაცდა, ყველაფერს თავდაყირა ნუ დავაყენებთ! ასე ზოგადად, მაგრამ მეტი სიცხადისათვის ზოგი რამ უფრო კონკრეტულად უნდა აღინიშნოს:

1. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნული გმირია. 1942 წლის შეთქმულნი, რომელთაგანაც 17 დახვრიტეს და 13 გადაასახლეს, დიახაც რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სულიერი მემკვიდრენი არიან: მათაც იმისთვის გასწირეს თავი, რისთვისაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი ძმადნაფიცნი იბრძოდნენ. ისტორია, პირუთვნელი ისტორია მათაც საპატიო ადგილს მიუჩენს ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში;

2. მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე და სხვები, ბრძოლის ველზე დაცემულნი თუ ცოცხლად დარჩენილნი, მიუხედავად მათი სამხედრო წოდებისა, საყოველთაო პატივისცემას იმსახურებენ და არა გვგონია, ისინი რომელიმე ქართველმა აუგი სიტყვით მოიხსენიოს. არც ის არ უნდა წასცდეს ვინმეს, რომ 1942 წლის შეთქმულნი დეზერტირებად, ლაჩრებად და უგუნურებად გამოაცხადოს. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ისტორიული ფაქტების შეფასების დროს მაქსიმალური პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება და სიფრთხილეა საჭირო;

3. გვაკვირვებს შალვა ამინაშვილის სწრაფი რეაქცია. ცხელ კვალზე რომ უარყოფითად გამოეხმაურა ტარიელ ჭოღლიძის პატარა წერილს. რომ დაინტერესებულიყო და გაეკითხ-გამოეკითხა, გაიგებდა, რომ შეთქმულთა დიდი ნაწილი ჯარში იყო გაწვეული. მან, სამწუხაროდ, ისიც ვერ გაითვალისწინა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს შეუძლებელი იყო, მსჯავრდადებულებს ცალ-ცალკე თუ კოლექტიურად განეცხადებინოთ პროტესტი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე და ამის გამო დაეხვრიტოთ ჩვიდმეტი და გადაესახლებინოთ ცამეტი (მათ შორის ერთი ქალი). ბ-ნ შალვასთვის, როგორც ჩანს, ისიც უცნობია, რომ მსჯავრდადებულები რეაბილიტირებულნი არიან.

1942 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული მასალები (დაკითხვის ოქმები, დაპირისპირებები, სასამართლო პროცესი...) რამდენიმე ტომს შეიცავს. ამ შეთქმულებასთან დაკავშირებით, ის, რაც ჩვენთვის არის ცნობილი, დაწერილი გვაქვს და ახლო მომავალში დაიბეჭდება. ცხადია, არქივების გახსნის შემდეგ ყველა დეტალი ცნობილი გახდება (მათ შორის ბოროტი გამცემიც, რომლის ფეხთა ქვეშ, თუ ცოცხალია, მიწა უნდა იწვოდეს) და სათანადო შეფასება მიეცემა როგორც ამ შეთქმულებას, ისე სამშობლოსათვის თავდადებულ შეთქმულთაც. აქ დავკმაყოფილდებით იმ მსჯავრდადებულთა დასახელებით, ვისი გვარი და სახელიც კარგად გვახსოვს. დახვრიტეს: გიორგი ახობაძე, გივი თარგამაძე, გიორგი იმერლიშვილი, მიხეილ იმერლიშვილი, მიხეილ კაციტაძე, ზურაბ მისაბიშვილი, მიხეილ საბაშვილი, გიორგი ქადაგიძე, შალვა შავიანიძე, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, კოტე ჭოღლიძე... გადაასახლეს: თინათინ გონიაშვილი, კიტა ბუაჩიძე, გიორგი კალანდაძე, აბო ფარესიშვილი, ვახტანგ შიბაშვილი... ა. ფარესიშვილს უცხო ცის ქვეშ აღმოხდა სული, დანარჩენები დაუბრუნდნენ სამშობლოს. ამათგან კარგად არის და ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა ბ-ნი კიტა ბუაჩიძე, სხვებს კი, ჯანმრთელობაშერყეულთ, ცხოვრების გზაზე ნაადრევად შემოაღამდათ.

შეთქმულნი იყვნენ ქართველი ერის რჩეული შვილები. პატივი და დიდება მათს უკვდავ სახელებს!

**თინათინ თუშმალიშვილი,**
დოცენტი;
**ლეო კვაჭაძე,**
პროფესორი.

# ვარიაციები

## გურამ ბენაშვილი

ჩვენს ირგვლივ, და არა მხოლოდ ჩვენს ირგვლივ, იცვლება ყოველივე და იბადება სრულიად ახლებური რეაქციების აუცილებლობა აწ მომხდარისა თუ მოსახდენის მიმართ.

მე ვამბობ რეაქციებს, რადგან ალბათ შეუძლებელია თუნდაც ჩვენს მცირერიცხოვან და ფსიქოლოგიურად არცთუ პოლარიზებულ ერს ზუსტად იდენტური აქმა და გააზრება ჰქონდეს, განსაკუთრებით ისეთი სუპერკარდინალური პრობლემისა, რასაც ერის თავისუფლება ჰქვია სახელად.

ხომ დიდი და ერთადერთია მიზანი, ხომ შეუძლებელია სულით ხორცამდე არ წარიტაცოს მოახლოებულმა ნათელმა, სამწუხაროდ, არაერთი გონებადაზრეტილი, ღრმა გრძნობებსა და ამაღლებულ ემოციებს გადარჩეული და მხოლოდ მერკანტილური იმპულსების მონური ინსტინქტებით აღბეჭდილი ჩვენი თანამემამულე და მაინც სხვადასხვაა (სხვანაირად შეუძლებელიცაა) მისკენ მიმავალ ბილიკთა წარმოდგენის და საკუთარი როლის ორგანიული გათავისების ურთულესი შეგრძნება.

ალტყინების ჟამი თანდათან უკან რჩება და ნელ-ნელა ილანდება ახალი ხვალინდელი დღის ჯერ არც თუ მთლად ცხადი კონტურები.

უსაზღვრო ვნებათაღელვით მიქანცებული ეროვნული ენერგია გაუბედავად, მაგრამ მაინც არქმევს თავთავის სახელებს სულის მიძინებული შრეებიდან ამოზიდულ გონიერსა თუ არაგონიერ, დამარხულსა თუ დეფორმირებულ შინაგან იმპულსებს....

და მაინც მისი ახლადდაბადებული, თითქოს ხასხასა, მაგრამ უკვე დაღლილი სინორჩე შესაძლოა კიდევ მრავალჯერ გადაფითრდეს, თავისი გამოუცდელი „გულუბრყვილობისა" და „უმანკო" ვნებათა მოძალების გამო...

●

მე ახლა რასაც ვიტყვი შესაძლოა მრავალთათვის ნონსენსი იყოს... და მიუხედავად ამისა, არსებობს ერთი მწარე სინამდვილე, რომელიც ფესვია ჩვენი დღევანდელი ღრმა დაბნეულობისა, მოჩვენებითი ორგანიზებულობის მიღმა აბობოქრებული ქაოსისა და ყოვლისმომცველი ანარქიისა.

საკითხი უაღრესად პრინციპულია და ბევრად უფრო რთული, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია... სამწუხაროა, რომ ეროვნული აღორძინების საოცრად მაღალმა სურვილებმა ქარიშხალივით კი გადაუარა ყოფითი კეთილდღეობის „ექსტაზით" გაოგნებულ თანამემამულეთ, საამოდ კი ალაგზნო მათი მომჩვარული, უძარღვო ცხოვრებასთან ლაციცით დაღლილი და მასთან მკვიდრად დამეგობრებული სულები, მაგრამ ამ ალტაცებით აელვარებულ თვალებში ხშირად, მხოლოდ უმწეო, შინაგან სულიერ საფუძველს მოკლებული, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით აღბეჭდილი წამიერი გაღიზიანებაც ირეკლებოდა...

ჩვეული მყუდრო საყუდარიდან ამოზიდული, იგი ბუდიდან ამოვარდნილ იმ ბარტყს ემსგავსებოდა, რომელსაც ჯერ ფრენის დრო არ დასდგომია და მხოლოდ ვიზუალური სივრცის გაუცნობიერებელი იმპულსები ეზიდებიან თავისკენ.

და ამიტომ აუცილებელია სულიერი აღორძინებისაკენ სწრაფვა.. აუცილებელია გაჩნდეს სურვილი საზოგადოებისა და ადამიანის ფსიქიკის სრულიად ახლებური ჭოვილის წარმოქმნისა, რომელიც ბოლომდე გაითავისებს ინდივიდუალური ცნობიერების და არა, [illegible]

არქიზაციის მოძალებული ტენდენციები.

პიროვნების სულიერი სიღრმეების მორალურ-ინტელექტუალური დიაპაზონი ის ერთადერთი ნაღდი საყრდენი უნდა იყოს, საიდანაც უნდა დაიწყოს ნებისმიერ იდეასთან კავშირი, მისი სიმაღლის დაუფლება, სწორედ ამიტომ, უპირველესია ადამიანთა სულის აღზრდა და ამ პასუხისმგებლობის ღრმა შეგრძნება და არა ვნებიანი ჟონგლირება ცხოვრების უტრირებული, შემზარავი და გამაოგნებელი პერსპექტივებით...

●

რა სულიერი ავლადიდებით ვემზადებით უდიდესი პასუხისმგებლობითა და მორალური სიმძიმით ნიშნეულ საკრალურ „სამყაროში" შესასვლელად, აი, კითხვა, რომელმაც ცინძლო გონიერი დააფიქროს და მავანთა საამოდ აჩქარებული გულისცემა დააცხროს...

რუსი ფილოსოფოსი კონსტანტინე ლეონტიევი ღრმად ყოფილა დარწმუნებული, რომ რუს ადამიანს შეუძლია იყოს წმინდანი და

ყნის ისტორიული ბედის მონაწილედ და ტანჯვით მავალ ეროვნული მოძრაობის ორგანულ წევრად, მაშინ მაინც უნდა შემოაცალო შენს ოდნავ გაადამიანურებულ სულს, ურამო ჟამის მიერ „ნაბოძები" სიბილწისა და ბოროტების ავადნაქსოვი საბურველი, რათა შვებით ამოისუნთქოს თავისუფალ ნათელ გრძნობებსა და გულწრფელ ემოციებს გადარჩეულმა ზენამ ახლადჭამოღვიძებულმა არსებამ...

რა იშვიათია ამგვარი სასწაული, რა უსაგნო ოცნებას ემსგავსება ფიქრი იმაზე, რასაც არასოდეს უწერია აღსრულება...

ამ ნაღვლიან სულისკვეთებას შესაძლოა არც ჰქონდეს რეალური საფუძველი... და მაინც...

●

რა გულუბრყვილობაა განცვიფრება, თუ რატომ გამოიყურება აშკარა უმრავლესობის შინაგანი ბუნება, ანუ მათი სულიერი „მაბიტუსი" გონებადახშული აგრესიის მრისხანე სიმაგრედ, რომელსაც

მიუხედავად საერთო არსებითი საფუძვლისა (ეროვნული განთავისუფლება), უცნაურია და დაუჯერებელი აგრერიგად მრავალრიცხოვან პოლიტიკურ პარტიათა შეუპრიგებელი კონფრონტაცია, სრული განზიდვა და შეუვალი იზოლირება ერთმანეთისაგან. იქნებ ეს ყოველივე თვითდამკვიდრებისა და თვითალიარების მძაფრი სურვილითაც იყოს გამოწვეული, საინტერესოა როდემდე გაჰყვებათ მათ ეს ფსევდოინდივიდუალიზმი...

●

საოცარია გალაკტიონის ექსტრავაგანტური ბიოგრაფიის ერთი ფურცელი, როდესაც მას ბრალად დასდეს ლენინის ორდენის განზრახ დაკარგვა.

ფრიად შეშფოთებულა თურმე მწერალთა ორგანიზაცია... ათასგვარი მითქმა-მოთქმა, ჭორი, სიცრუე და სიმართლე ერთმანეთში არეულა.

ბუნებრივია, ამ უპრეცედენტო „ცოდვის" ჩამდენიც ვერ იქნებო-

ნი, დიდ[illegible] ველებოდნენ გალაკტიონის დისკრედიტაციის მშვენიერად გათამაშებულ სპექტაკლს:

●

წმინდა ლიტერატურული ცხოვრება შესამჩნევად მოდუნდა და რა სამწუხაროა, რომ იგი, მხოლოდ პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა, ახლა „მშვენიერი" დროა შეურაცხმყოფელი პასკვილების შეთხზვისა, წარსულში იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი პიროვნებების გამოაშკარავებისა, მათი გაუმწეოებული ნაღვაწ-ნაჯაფის ირგვლივ დამცინავი ხიცილხარხარისა და აღგზნებულ და გაღიზიანებულ ადამიანთა აგრესიული სურვილების კიდევ უფრო გამძაფრებისა..

ან რით არის მათი იმპერიული თემატიკით გაჯერებული ნააზრევი უფრო გამორჩეული და თვალშისაცემი სხვა, მასზე უფროსი თუ მისი თაობის (შედარებით ახალგაზრდებისაც) გულისამრევი თხევდოლიტერატურული უნიჭობა.აგან.

საოცარია, რომ ამ შემთხვევაშიაც, ბედი მხოლოდ იმას სწყალობს, ვინც არასოდეს იბნევა და გენიალური ცხოველური ვეშის წყალობით არაერთხელ გადაურჩენია თავი ხალხის სიძულვილის ღრმა უფსკრულებში გადაჩეხვისაგან...

ო, როგორ მინდა მათი ცრუპატრიოტული ცხოვრებისა და შემოქმედების საამკარაოზე გამოტანა, თუნდაც მხოლოდ ციტირება მათი უმწეოზე უმწეო პათეტიკური ნაცოდვილარისა, ანუ სოციალისტური ცხოვრების ამაღლებული ჰეროიკის ხოტბა-დიდებით, მის „შემოქმედთა" წინაშე ერთგულების ფიცით აღბეჭდილი უნიჭო ლექსების სტრიქონებისა, რომელთა დაუსრულებელმა ნიაღვარმაც აავსო და „დაამშვენა" ჟურნალ-გაზეთებისა თუ ხშირ-ხშირად გამოცემული მათივე ლექსების კრებულთა ფურცლები...

არ დაჰკლებიათ მათ „პატრონთა" სიყვარული და პატივისცემა, პრემიები და სანუკვარი სავარძლები, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათი ელასტიური ბუნება მშვენივრად გრძნობდა ამგვარი ყოფის შესაძლო ეფემერულობას და არც ოპოზიციასთან ანუ პარტიულ ელიტასთან შეუთავსებელ, მათდამი ნეიტრალურად განწყობილ წრეებთან ჰკარგავდა მეგობრულ, უფრო კი ძმაბიჭურ კონტაქტებს.

არ ეთმობოდა არც ერთი მხარე, რადგან იქ, მაღლა, მისი ყალბი დიდებისა და მოჩვენებითი პოპულარობის თვალისმომჭრელი გვირგვინები იწვნებოდა, რომელნიც ბოლოსა და ბოლოს მასაც აჭრებდნენ საკუთარი პოეზიის „სიდიადეში", იმ „თვალშეუვალი" სიმაღლიდან „გაპატიოსნებული" და განდიდების ჩვაშიადმოკლებული, აწ უკვე დაბლა, მიწაზე ეშვებოდა და ბიჭურ-პატრიოტული ექსტაზით ჯნცვიფრებდა გულუბრყვილო, მაგრამ პოტენციაში ვინძლო ერთ დროს ალსაზევებელ დემოკრატიულ მასას....

ასე და ამგვარად მიიხევ-მოიხეოდა იერარქიულ სიმაღლეებს ორგანულად შეთვისებული ეს განსაცვიფრებლად ელასტიური სული ქართველი „შემოქმედისა", სამწუხაროდ, ასე ნაცნობი ეროვნულ სულთა გალერეისათვის.

შესაძლოა, დღეს, გუშინდელი დღის მხოლოდ შედარებით გულუბრყვილო და ყეყეჩ მეხოტბეთა გამოაშკარავების ჟამი იყოს, გაივლის დრო და ალბათ, გაცილებით უფრო შემზარავი, ორსახოვანი იანუსების ცხოვრებასა და მოღვა- [illegible]

არავითარ შემთხვევაში — პატიოსანი, რომ პატიოსნება — დასავლეთევროპელის იდეალია, საპირისპიროდ რუსისა, რომლის იდეალი წმინდანობაა.

რუსი მოაზროვნის ამ ფორმულაში ბრწყინვალედ არის გადახსნილი რუსული ფსიქიკის არსებითი მომენტი...

თავი დავანებოთ, საკუთარი ტკივილებით დღეს ბოლომდე გათანგულ ვეებერთელა ერის ბუნებრივ საწუხარს და ჩვენი მცირერიცხოვანი ერის ფსიქიკას მივაპყროთ თვალთახედვა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ არც მასშია მძლავრად ფესვგადგმული ყოველი ჯანსაღი და პერსპექტიული ერისათვის ნიშანდობლივი წარმოდგენა იმისა, რომ პატიოსნება აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის, რომ იგი მისი ღირსების განუყოფელი ნაწილია და რომ, ბოლოსა და ბოლოს, სწორედ იგი (პატიოსნება!) აყალიბებს სრულყოფილ პიროვნებას.

განა არ არის ჩვენთვის თვალნათელი, რომ პიროვნების ზნეობრივი თვითდისციპლინა არასოდეს ქცეულა დამოუკიდებელ და უმაღლეს ამოცანად ჩვენში, რომ საკუთარი კეთილდღეობის ნიჟარაში ჩამყუდროვებული ჩვენი თანამედროვე, საკუთარ გონებასა და მორალურ დიაპაზონს მხოლოდ იმ, მისთვის სასურველი საზომით საზღვრავდა და საზღვრავს, რაც შეუვალს გახდის მის მერკანტილურ ყოფას და მისთვის ასე თუ ისე ახლობელ ხალხში, რესპექტაბელურ იერს შეუნარჩუნებს...

და როგორც ბუნებრივი შედეგი ამისა, ჩვენი ე. წ. საზოგადოება ჯერჯერობით ამ სულიერი პროსტრაციიდან გამოსვლის ტკივილებითაა აღგზნებული... მისი ტანჯვით აელვარებული მზერა გაფაციცებით ეძიებს, თუნდაც წარმოსა- [illegible]

სრულიად უშფოთველად შეუძლია თანამოძმის დისკრედიტაცია და სიამოვნებისაგან გაოგნებული მძაფრ, სეირს მონატრებული ბრბოს წინაშე მისი უსაზღვრო ზიზღით მოშთობა.. ისინი ხომ იმ სულიერი წინაპრების ნაშიერნი არიან, რომელთათვისაც ადამიანთა ღირსება და, რაც მთავარია, მათი სიცოცხლეც კი ერთ გროშად არ უღირდათ...

იმ მსხვერპლთა შორის ერთი წამებული განსაკუთრებული დაჟინებით ითხოვს გახსენებას.... სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ოცდაექვსი წლის უბრწყინვალესი ლადო ასათიანი, უკანასკნელი მოლოდინის იმედით შეჩერებული და არყოფნის ზინდთან მხოლოდ ამიტომლა მოპაექრე...

თავისი პირველი და უკანასკნელი ლექსების წიგნი იყო ამ არაადამიანური მოლოდინის მიზეზი... სულ რამდენიმე ცალი, ვითარცა „სატყუარა" მომაკვდავისათვის მან(?) „დიდსულოვნად" მაინც გაიმეტა...

— ღმერთო! როგორ ატარა ნეტავ ამ უმანკო ჭაბუკის წინაშე ჩადენილი ცოდვა „სვებედნიერმა" და წლებდახუნძლულმა ჩვენმა თანამედროვემ.

მომაკვდავი პოეტის წიგნადშეკრული ლექსების დაჩეხვა და განადგურება, არავის ეგონოს ადამიანის მკვლელობაზე ნაკლები ცოდვა..

●

უსაზღვროდ აღზევებული და მოზეიმე ძალა ბოლოსა და ბოლოს შესაძლოა მოჩვენებითი აღმოჩნდეს, რადგან ზოგჯერ ავიწყდება, რომ მისი ბუნებრივი განვითარების გზა დიდი გამოცდისა და მიტევების ბილიკებით მიმავალი აღმართია, რომელმაც მხოლოდ გოლ- [illegible]

და მისთვის ჩვეული ირონიული ქირქილის ხასიათზე... საქმე კი აი, რაში ყოფილა... მისთვის მყუდრო ნავსაყუდრად ქცეულ ვერის ხიდის სკვერში ღამის სამ საათამდე მარტო მჯდარ მეოცნებე პოეტს მილიციელი დასდგომია თავს და საკმაოდ უხეშად უბრძანებია სკვერის დატოვება. თავისი დიდი სახელის მოიმედე გალაკტიონს გაუნდვია თავისი ვინაობა, თუმც არც ამას გამოუწვევია სასურველი საპასუხო რეაქცია. ერთადერთი, რასაც განუცვიფრებია მილიციელი, უცნობის მკერდზე მიმაგრებული ლენინის ორდენი იყო. მას „დიდსულოვნად" დაუტუქსავს ორდენოსანი, რომელიც ასე არცხვენდა ამ უმაღლეს ჯილდოს. საოცარია პასუხი გალაკტიონისა — „მე ვამშვენებ მას და არა ეს ლითონი მე".

აღშფოთებულ მილიციელს, პოეტის მილიციაში წაყვანა მოუნდომებია და, აი, მაშინ, გალაკტიონს მკერდიდან ლენინის ორდენი მოუგლეჯია და მილიციელისათვის სახეში უთხლეშია. შეურაცხყოფილს, უფრო კი შეძრწუნებულ მილიციელს ორდენი უმალ ხელში აუტაცია, გაუწმენდია, უკოცნია და ჯიბეში ჩაუდვია...

აწ უკვე იარაღმომარჯვებულს, დამორჩილებული პოეტი წინ გაუგდია და თვითონ უკანმიდევნებულს, ყოფილი პლეხანოვის პროსპექტით მილიციისკენ წაუყვანია. გზაზე, მათ შემთხვევით, მილიციის მაღალი ფუნქციონერი კაპიტანი ნაჭყებია შეხვედრიათ, რომელსაც დაუფრენია მილიციელი, ხოლო გალაკტიონი სახლამდე მიუცილებია.

მეორე დღეს ცეკას კომენდატურაში მისულა მილიციელი და ლენინის გალაკტიონისეული ორდენი ჩაუბარებია, როგორც ვერის სკვერში ნაპოვნი...

ამგვარი იყო ჩვენი დროის უდი- [illegible]

ნებ ყოველივე ეს დამღუპველიც იყოს არა მხოლოდ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის, არამედ იმ ერთეულებისთვისაც, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ცოდვათა შენდობის, გულმოწყალებისა და ცრემლიანი სიყვარულის ნიჭი... ო, რა საზიზღარია ალბათ წარსულის „რელიქტებად“ ქცეულ ამ „გულჩვილთათვის“ კორიდა, როცა აღგზნებულ და სეირს მონატრებულ ბრბოს გამაყრუებელ „ოლეს“ ძახილში, საბრალო ხარი „თამაშ-თამაშით“ უახლოვდება თავის აღსასრულს... მითუმეტეს, თუ ხარის ნაცვლად სეირის ობიექტად ადამიანია, არანაკლებ უმწეო და განწირული...

●

როცა პოლიტიკოსობა საყოველთაო ხასიათს მიიღებს, როცა თითქმის ყოველი მეორე მოქალაქე ხეირიანულად განაცხადებს პრეტენზიას ქვეყნის მმართველობაში აქტიური მონაწილის როლზე, როცა ე. წ. პლურალიზმის საფარქვეშ სულიერ-ინტელექტუალური უმეცრის შემზარავი და რაღაც დაუნაწევრებელი ყმუილი ეროვნული პოზიციის უფლებით სარგებლობს, და ბოლოს, როცა ამ საერთო ზღვარდაუდებელ ალტყინებას გამკითხავი აღარავინ ჰყავს, რა გასაკვირია ისტორიის მიერ ნაბოძებმა, თუნდაც ნომინალურმა თავისუფლებამ ანარქიის სახე მიიღოს. ფრიად სამწუხაროა, რომ პოლიტიკოსობის ბუმმა მნიშვნელოვნად დააქვეითა ერის სულიერება და მრავალთათვის „შეუმჩნეველ“ საყოველთაო ზნეობრივ აპათიას მისცა სადინარი..

სანამ აშკარად არ გამოიკვეთება ერთი უმყარესი და შეუვალი საყოველთაო პოზიცია, რომ მხოლოდ შრომით და მაღალი პროფესიონალიზმით (რაც უპირველესი და ერთადერთი რეალური გამომხატველია პატრიოტიზმისა, ანუ შენი ქვეყნის პატივისცემისა და სიყვარულისა) აღზრდილ ერს აქვს ხსნილი კარი ამ ურთულეს და იმავ დროს სანუკვარ „სამოთხეში“ შესაბიჯებლად, ისე ბუნდოვანი იქნება ყოველივე.

ყოველშემთხვევაში, რაღაც ელემენტი მაინც უნდა გაჩნდეს ერს პატიოსანი შრომის პატივისცემისა და ამ გზით მოპოვებული თვითკმაყოფილებისა, რომელიც ბუნებრივად უნდა გულისხმობდეს სამშობლოს წინაშე მოხდილ ვალს.

ზოგჯერ ერისკაცობის საყოველთაო სურვილი ხომ არ არის პროფესიონალური უნიათობის და უპერსპექტივობის ზნეობრივი კომპენსაცია, რომელმაც რესპექტაბელური იერით უნდა შემოსოს თაბნეული და ღირებულებაარეული საზოგადოების თვალში, ბუნებრივი ცხოვრების პირობებში არაფრით გამორჩეული, ხშირად კი ხელმოცარული ფილისტერი...

ჯერ განვთავისუფლდეთ და მერე ვიშრომოთ თავდადებით, თუ ახლავე ვიშრომოთ თავდადებით და თავისუფლებას ამგვარად დავეუფლოთ, — აი, უსერიოზულესი დილემა, რომლის მართებულ ამოხსნაზეც მრავალი ფიქრობს და დღემდე ვერ გადაუწყვეტია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აწ უკვე აღარავითარ ძალას აღარ ძალუძს შრომის იმ მექანიზმის ამუშავება, რომელიც სულს ღაფავს და საცაა თავის უკანასკნელ წრეს შემოხაზავს...

სამწუხარო ეს კი არ არის, სამწუხარო ისაა, რომ შრომის ამ სოციალისტური მექანიზმის უმაქნისობის პარალელურად ადამიანიც უნუგეშოდ გაუქნარდა და შრომა აუწერელ ტანჯვად და ვაებად გადაექცა.

აი, ის საშიშროება, რომელიც თავისუფლების ნათელში შესვლის ჟამსაც არა ერთხელ გაახსენებს თავს, ჩვენს მრავალმხრივ უიღბლო ერს... რაღაც ეჭვი კი მეპარება ყოველივე რადიკალურად შეიცვალოს და „შრომის ხუფევამ“ საყოველთაო ხასიათი მიიღოს... უახლოეს მომავალში მაინც...

„ღმერთო რა ბევრი ლაპარაკი, თუ ჩა ცოტა საქმე“ — მგონი როზლილდაც ევროპელ კალმით მოსაქმეს აღმოხდა ეს გულწრფელი ოხვრა, ალბათ ჩვენი მდგომარეობის არცთუ ანალოგიური ვითარების შემყურეს, რამეთუ იგი მაინც ევროპელი იყო და ჩვენი გაჭირვების მსგავსს ვერაფერს ნახავდა...

●

წარსულის რემინისცენცია კვლავ ჩვენი საუკუნის სულისგამრყვნელი პერიოდიდან, რომელიც კიდევ ერთხელ აცოცხლებს გალაკტიონის განწირულ შებმას მის გასანადგურებლად აფოფრილ ბოროტებასთან.

იყო დრო, როდესაც ბავშვივით „გაჭიუტებული“ პოეტის დასაოკებლად და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი მწერალთა კავშირიდან გასარიცხადაც კი, ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი ფუნქციონერის ხელდასმითა და თვით იმჟამინდელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა ინიციატივით, მისი (გალაკტიონის, რა თქმა უნდა) ახალი დანაშაულებრივი საქმე გაიმასჭნდა“.

რა იყო ეს ახალი ცოდვა? კონსერვატორიის მცირე დარბაზში ათი ლიტერატურული სალამო, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა თურმე მრავალრიცხოვანზე მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი მისი გენიალური პოეზიისა. მაგრამ იმავ დროს, ეს ის ათი სალამოა, რომელმაც დაამწუხრა და ბოროტი შურით აღავსო მასთან „პირველობის მოცილე“ ლექსის მწერალნი და მათი ინიციატივით სასწრაფოდ შეითითხნა „თავნება“, „აბეზარი“ და „უპასუხისმგებლო“ ლიტერატურული „მანიაკის“ დამამცირებელი საქმე.

ფლეგმა და საკუთარ აზრს მოკლებული პარტიული ბოსის დახტურით, მწერალთა მაშინდელმა სამდივნომ გალაკტიონი კავშირში მიიწვია (არა გუნდრუკის საკმევად, რა თქმა უნდა), რათა იქ, მის კედლებში მომხდარიყო კავშირის რიგებიდან მისი მოკვეთა(!)...

ნახევარი საათის დაგვიანებით მობრძანებულა გალაკტიონი, ჩამოვარდნილი „საყდრული“ მდუმარება ისევ მას დაურღვევია. აი, ამ სამარცხვინო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის მეხსიერებით აღდგენილი დიალოგი, სასაცილოცაა და სატირალიც ერთხა და იმავე დროს. მისი მოპატიჟების მიზეზში ღრმად გარკვეულს ახე მიუმართავს მავანთა და მავანთათვის:

— ძამიკო დ.. ძე, ოდესღაც თქვენ ძალიან გიყვარდათ ჩემი პოეზია და პოეტთა მეფედ მთვლიდით, ახლა აზრი ხომ არ გამოიცვალეთ ძამიკო?!“

— „არა, ბატონო გალაკტიონ!“ — ხმამაღლა წარმოუთქვამს ცეკას მაშინდელ განყოფილების გამგეს.

ისევ გალაკტიონს წამოუწყია:

— „ძამიკო ს... და ძამიკო ი... თქვენ ხომ არ გამოგიცვლიათ აზრი ჩემს პოეზიაზე?!“

— „არა, ბატონო გალაკტიონ“— წაულუღლუღია ორივეს.

— ძამიკო დ..., ძამიკო გ..., — არც თქვენ შეგიცვლიათ აზრი გალაქტიონის ლექსებზე?“

„თქვენ ქართული პოეზიის მეფე ბრძანდებით!“ — წამოუძახია ორივეს.

„აბა მშვიდობით ბრძანდებოდეთ ძამიკოებო! მეფე არაფერზე აგებს პასუხს“. — თავისი მაღალი ღირსების შესატყვისი მანერით წამომდგარა და დაუტოვებია დარბაზი...

ჩემთვის წარმოუდგენელია მოსმენა მათი პათეტიკური სიტყვებისა, ვინც თავისი თანადგომა და ცრემლი მხოლოდ მიცვალებულისათვის გაიმეტა.

გალაქტიონის უბედურება ის კი არ იყო, რომ ვერ იპოვა ქვეყანა, სადაც არ არსებობდა „შიში“, — უბედურებაა ისიც, რომ ცხოვრობდა ადამიანთა შორის, რომელთა უმეტესობასაც დახშული ჰქონდა სმენა და დავსილი გონების თვალი“ (ოტია პაჭკორია).

●

მიმართავდა რა ისრაელ ხალხს და ჩამოთვლიდა მათ უმძიმეს ცოდვებს, მოსეს ამგვარი რამ წარმოუთქვამს: „იმისათვის, რომ არ ემსახურებოდით უფალს, შენ ღმერთს, სიხარულითა და კეთილი გულით, როცა დოვლათში იყავი“ (მეორე რჯული, XVIII, 47), რამეთუ მისთვის სიხარული ყოფიერების მხოლოდ თანაბარი წვა ყოფილა და არა განცხრომისაგან მონიჭებული სიამოვნების წამიერი ალი, რომლის მხურვალე აბურბურების დაცხრომასთან ერთად ჩამოდგება სევდის სულისმომწყვლელი გრძნობა, წილნაყარი შინაგან სიცარიელესთან, სულიერ ძალთა მოქანცვასთან და უიმედობასთან...

საოცრად კანონზომიერია, რომ სიხარული უმთავრესია იმ რელიგიურსა და ფილოსოფიურ სისტემებში, რომელნიც სიცოცხლის აზრად ყოფიერებას ამკვიდრებენ.

წინასწარმეტყველთა წიგნებში ძალუმად გამოკრთის მშვიდი ალფრთოვანებით ძალამიცემული, ღვთაებრივი აპოლოგია სიხარულისა:

„მაშინ იხარებდნენ ქალწულნი შესაკრებელთა შორის ჭაბუკთათა და მოხუცებულნი მხიარულ იყვნენ ერთბაშად, და გარდავაქციო გლოვა მათი სიხარულად და ვყვნე იგინი განმხიარულებულ...“ (იერემია, XXXI, 13).

ან: „აღმოივსეთ წყალი მხიარულებითა წყაროთაგან ცხოვრებისათა“ (ესაია, XII, 3).

ღმერთი იერუსალიმს მისი სიხარულის ქალაქს შეარქმევს „როგორ ვერ გადარჩა დიდების ქალაქი, ჩემი მხიარული სადგომი“ (იერემია, XIX, 25).

იესოს არაერთ თქმაში სიხარული წარმოიდგინება, როგორც ყოფიერების თანმდევი გრძნობა. მისი უკანასკნელი, მოციქულთა მიმართ ნათქვამი სიტყვა კვლავ სიხარულის მარადი რწმენითაა სხივჩამდგარი „ეს გითხარით თქვენ, რათა ჩემი სიხარული თქვენში დარჩეს, და სრულ იყოს თქვენი სიხარული (იოანე, XV, 11).

რათა გამოფხიზლდეთ სულიერი კმაყოფილების ტკბილი ილუზიისაგან, უნდა მივუახლოვდეთ ადამიანური ბუნების თვალსა და ხელშუა დაკარგულ იმ ხატს, რომლის უყურადღებობით დაძენძილი ღვთაებრივი ნაკვთებიდან ჯერ კიდევ გამოკრთის თავისუფლების, გონიერებისა და სიხარულის წარუხოცელი ნათელი.

ისტორიის სამრეკლოდან მოულოდნელად დარისხებულმა ზარების რეკვამ მიძინებული სულის გამოფხიზლების და შინაგანი განწმენდის უმალ, ერის ერთიანი საკურთხევლის წინაშე მორჩილად მუხლმოდრეკა, ერთმანეთისადმი მოწიწება და სიყვარული უნდა გავვილვივოს წმინდა საქმეთა საკეთებლად და არა იმავე საკურთხევლის დაპატრონების ჯიუტი სურვილი.

არავის აქვს უფლება ამ წმინდა საკურთხევლისაკენ მშვიდად და გულდინჯად მიმავალი შეაჩვენოს და ერის ინტერესებისადმი გულგრილობა დასწამოს მხოლოდ იმიტომ, რომ მავანთა მსგავსად თავქუდმოგლეჯილი არ შევარდა ეროვნული მოძრაობის „მაღალგუმბათოვან ტაძარში“ და მათ მსგავსად არ დაიკავა „კუთვნილი“ ადგილი.

რა საოცარი ნონსენსია ამგვარი ფიქრი... რომ აღარაფერი ვთქვა უზნეობაზე...

ამ ბოლო დროს შოთა ნიშნიანიძის რამოდენიმე ლექსმა კიდევ უფრო მძაფრად წარმოადგინა მისი ფილოსოფიური და ზნეობრივი ძიებისაკენ მკვეთრად მიდრეკილი ინტერესი. მისთვის, როგორც ანალიტიკოსისათვის, ნიშანდობლივია დროის მკვეთრად გამოხატული მსოფლმხედველობრივი ტენდენციების ღრმა განსჯა და, რაც არსებითია, ზუსტი და უკომპრომისო აქცენტებით ოპერირება ტაბუდადებული შეხედულებებისა. თუ არ ვცდები, პოეზიაში, მან პირველმა გამოხატა მწვავე დამოკიდებულება იმ განუკითხაობის მიმართ, რომელმაც ყოველგვარი რევერანსების გარეშე ხმა აიმაღლა დღევანდელი ქართული მწერლობის უნიკალური ღირებულებისა და მნიშვნელობის დასამცირებლად.

დღეს, განსაკუთრებით მტკივნეულია შეურიგდე განკიცხული და იგნორირებული შემოქმედის ბედს და მხოლოდ ფილოსოფიური ჭვრეტით დაიცხრო მოწოლილი ვნება. მტკივნეულია იმიტომაც, რომ შენს მიერვე დარწეული აკვნიდან ავადგამოზეზებული ყრმა გიბღვერის, რომელსაც არაფრით უნდა დაიჯეროს შენი კეთილგანწყობა, მასზე მზრუნველისა და სულიერი აღმზრდელის შენეული როლი...

●

რა ძნელია გაიცნობიერო იმ ადამიანთა ზნეობრივი და ინტელექტუალური იმპულსები, რომელთაც არასოდეს ეპარებათ ეჭვი საკუთარი აზრისა თუ მოქმედების სიმართლეში. ამ აღმოჩენით უსაზღვროდ ამაყნი, სხვა ირგვლივ მყოფ მოკვდავთაგან აშკარად „გამორჩეულნი“, იმ ამაღლებული „ადგილების“ მუდმივი ბინადარნი არიან, საიდანაც შეუძლიათ წყალობის თვალი გადაავლონ მათი დიად მოძღვრების მორჩილად შემთვისებელ ადამიანთა შედედებულ მასას და სრულიად ახალი ჭეშმარიტებებით დაატკბონ მათი ყურთასმენა.

მათ „იციან“ ის, რაც ჯერ არავინ არ იცის, ან იცის, მაგრამ რად გინდა — აუცილებლად საბრალო დილეტანტის დონეზე, ამიტომ ისევ მისთვის ჯობია არ იცოდეს, თორემ ისინი, ანუ „ყველაფრისმცოდნენი“ თუ გალიზიანდნენ (და ეს ხშირად ემართებათ) იმ დამახინჯებულ ცოდნასაც თავზე გადაახევენ და თავლაფდასხმულს საჯაროდ გამოაჭენებენ.

მათი ძლიერება და სიმართლე მათსავე მანიაკალურ ახირებაშია, არ უნდა მოიწონონ არაფერი დღევანდელი, რომელიც გუშინდელიდან მომდინარეობს, რადგან ცოცხალი შემოქმედის პიროვნება, მითუმეტეს თუ იგი ჩვეულებრივი ადამიანური კეთილდღეობით ცხოვრობს, ფრიად და ფრიად საეჭვოა. ამდენად ლოგიკურია საეჭვო იყოს სხვებისაგან და არა მათგან მოწონებული ამ „განებივრებული“ პიროვნების ნალვაწიც.

მათ ძალზედ თავშეკავებით, ანუ საკმაოდ ძუნწი კომპლიმენტებით უნდა შეაფასონ და წყალობის თვალით გადახედონ მხოლოდ ერთი-ორ თანამედროვე სულიერ მოღვაწეს, ანუ იმათ, ვისაც მათთან უწყალო შეხების წერტილები გააჩნია.

და ბოლოს მათ, სიგიჟის ექსტაზში შესულებმა, დაუხრულებელი „რიტორიკული ორნამენტაციებით“ უნდა განადიდონ ჩვენი საუკუნის კვლავ ერთი-ორი საყოველთაოდ აღიარებული კლასიკოსი. ამ ქებადიდების ტალღებში შეცურებულთ, არც საკუთარი „ტანჯული“ და უსაზღვრო შესაძლებლობებით აღბეჭდილი სახე უნდა დაკარგონ, უნდა დაინახონ რაღაც, თუნდაც შორეული მსგავსება მათსა და იმ კლასიკოსებს შორის... რომ არის რაღაც საოცრად საერთო იმპერიულ ძალებთან მათ დამოკიდებულებაში, რომ ისინიც მათსავით უმწეო მსხვერპლნი არიან ბოროტებისა და უსამართლობისა, რომ ისეთი რამ ესმით მათში, რაც საქართველოსათვის ბუნდოვანია, და სწორედ ამიტომ, ისინი და მხოლოდ ისინი არიან მათი ჭეშმარიტი სულიერი მემკვიდრენი. მთავრდება ფიქრთა უსაშველო ნიაღვარი და შინაგანად საოცრად ამაღლებულნი, ტოვებენ „მათით აღფრთოვანებულ“, თუმცა მათთვის მაინც საეჭვო ღირსების დარბაზს, დარწმუნებულნი იმაში, რომ ყველაფერი თქვეს და დამატება რაიმესი სისულელეა.

ახლა, ამ ბოლო დროს, მათ ჩვენი მწერლობისათვის ისე აღარ სცალიათ.. სხვა, განუზომლად უფრო დიდ და მნიშვნელოვან საქმეებს არიან შეჭიდებულნი... ღმერთმა იქ დაულოცოს მათ გზა, მაგრამ, არ დაავიწყდეთ საოცრად გონიერი მოაზროვნის რამოდენიმე შეგონება.

„განთავისუფლდი ნარცისიზმისაგან, და მიიღე ყოველი ტრაგიკული შეზღუდვები, რომელნიც ადამიანური არსებობისათვის, შინაგანად არიან დამახასიათებელნი“.

„შეიგრძენ შენი თავი შენს ადგილზე“.

„ისწრაფე დაიცხრო, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შენი სიავე, დაამცრე ზიზღისა და სიძულვილის გრძნობა, განთავისუფლდი ილუზიებისაგან“.

„იცხოვრე კერპთაყვანისცემის გარეშე...“ (!!!)

და ბოლოს:

„ეცადე არ მოატყუო სხვა, მაგრამ არც შენ იყო მოტყუებული“.

(ე. ფრომი)

იმ შორეული თუ ახლობელი ნათელისაკენ მიმავალ ქართველ მამულიშვილს, არ ეგების ამგვარ მატივ, მაგრამ უცილობელ ჭეშმარიტებათა უგულებელყოფა... რადგან ამ ახალ ასპარეზზე შემაზრზენი ხდება არაგონიერი ინსტინქტებით ნაკარნახევი მორალით მოქმედება, მითუმეტეს თუ მასში ჭარბობს მზვაობრობა, სიამპარტავნე, შურისძიებისა და რევანშის წყურვილი, გაბოროტებულ ქონდრისკაცთა ეს „მაზოხისტური“ ცდუნებანი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# მიეძღვნა სიმონ ჯანაშიას ხსოვნას

სრულიად საქართველოს გიორგი შარვაშიძის საზოგადოების ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოეწყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ჯანაშიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სიმონ ჯანაშია, ახალგაზრდა, ორმოცდაშვიდი წლის გარდაიცვალა, მაგრამ უაღრესად ღრმა კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1926 წელს, ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით დანიშნეს საქართველოს ისტორიისა და აფხაზური ენის ლექტორად.

სიმონ ჯანაშიას დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზური ანბანის ჩამოყალიბებაში. მანვე შეადგინა ქართული საკითხავი წიგნი აფხაზური სკოლებისათვის. საოცარი სითბოთი და სიყვარულითაა განმსჭვალული მისი ნარკვევი „გიორგი შარვაშიძე“, რომელიც აფხაზეთის ღირსეული შვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. სიმონ ჯანაშია იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც აფხაზეთის ისტორიის კვლევა მაღალ დონეზე აიყვანა.

არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის არც ერთი სფერო, ასახვა რომ არ ეპოვა ს. ჯანაშიას ნაშრომებში. ამიტომაც იყო ასე მრავალფეროვანი მოხსენებებიც.

საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებზე სიმონ ჯანაშიას შრომებში — ისაუბრა პროფესორმა მერი ინაძემ.

ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი კარდინალური საკითხი სიმონ ჯანაშიას შრომებში — ასეთი იყო პროფესორ ედიშერ ხოშტარია-ბროსეს მოხსენების თემა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი ანჩაბაძემ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო, თუ როგორ არის გაშუქებული აფხაზეთის ძველი ისტორია სიმონ ჯანაშიას ნაშრომებში.

მეცნიერის ღვაწლზე ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში ისაუბრა პროფესორმა ვალერიან ითონიშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები: გურამ ყორანაშვილი და ქველი ჩხატარაიშვილი.

პროფ. გივი ჟორდანიამ და კოტე ჩოლოყაშვილმა გაიხსენეს სიმონ ჯანაშიას შესანიშნავი ადამიანური თვისებები, ისაუბრეს ამ დიდ ღვაწლზე, რომელიც მიუძღვის მეცნიერს სამშობლოში დაბრუნებული ქართული განძის აღწერასა და დაბინავებაში.

გიორგი შარვაშიძის საზოგადოებას კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიება აქვს დაგეგმილი.

მირანდა ტყეშელაშვილი.

# აკაკის ანდერძი



აკაკი წერეთლის საიუბილეო წელს, ვფიქრობთ, მკითხველთა ფართო წრეს დააინტერესებს ამ დიდებული მამულიშვილის მიერ შთამომავლობისათვის დანატოვარი ანდერძის ისტორია, მით უფრო, რომ იგი ფართო მხჯელობის საგანი, რამდენადაც გვახსოვს, არ გამხდარა.

გაზეთ „თემში“, რომლის რედაქტორიც იყო აკაკის ახლო მეგობარი გრიგოლ დიასამიძე და რომელშიც გარდაცვალებამდე აქტიურად თანამშრომლობდა პოეტი, გარდაცვალების შემდეგ ბევრ სხვა საინტერესო პუბლიკაციასთან ერთად, გამოქვეყნდა აკაკის დაუბეჭდავი ლექსები, რამდენიმე უცნობი პუბლიცისტური წერილი, გამოუქვეყნებელი „აკაკის წინანდელი ანდერძი“ და „აკაკის ანდერძი“. („აკაკის წინანდელი ანდერძი“ შეცვლილი სათაურით — „უკანასკნელი სურვილი“, — შეტანილია აკაკის თხზულებათა სრულ კრებულშიც, თხუთმეტტომეულის მე-14 ტ., გვ. 322). „წინანდელი ანდერძი“ დაწერილია 1907 წლის 1 ოქტომბერს. ეს თარიღი საგულისხმოდ გვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ხულ რალაც ერთი თვით ადრე, მოულოდნელად სიცოცხლეს გამოასალმეს დიდი ილია... ამით თავზარდაცემულ აკაკის გადაუწყვეტია შემდეგი სათხოვარი დაეტოვებინა თანამედროვეთათვის:

„1. ჩემი სურვილია, რომ გელათში დავიმარხო, დავით აღმაშენებლის ფერხთით, თუ შესაძლებელი იქნება.

2. დავიმარხო უბრალოდ, ღარიბად, ისე, როგორც შეეფერებოდეს ჩემ გატარებულ ცხოვრებას.

3. გვირგვინები ნუ იქნება. მათ ნაცვლად თუ მაინცდამაინც ნიშნები რამე იყოს, რომ ხარჯი არა მოვიდეს რა.

4. ჩემი სახლი გადაეცეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომ იქ სახალხო შკოლა იქნას გამართული.

5. ჩემი თხზულებები გადაეცეს: იაკობ გოგებაშვილს, გრიგოლ და ალექსანდრე დიასამიძეებს და ვახტანგ ლამბაშიძეს. იმათ განკარგულებით უნდა გამოიცეს თანახმად სერგო ბახტაძის სურვილისა და წმინდა მოგებიდან, თუ იქნება ხოლმე, ნახევარი ეძლიოს ჩემ ცოლშვილს, რადგანაც მათ მეტს ვერას ვუტოვებ და დანარჩენი ნახევარი მოიხმარონ ხოლმე მათის სურვილისამებრ. აკაკი, 1907 წ. 1 ოქტომბერი“ (გაზეთი „თემი“, 1915 წ. 8 მარტი).

„აკაკის წინანდელი ანდერძი“ რამდენიმე მომენტით იქცევს ყურადღებას: აკაკის მორიდებული და გულშიჩამწვდომი ნატვრაა ერთიანი და ძლიერი საქართველოს შემქმნელი მეფის — დავით აღმაშენებლის — ფერხთით დასვენება გელათის წმინდა მიწაზე. საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს — 26 იანვარს, — შუაღამისას გასრულდა აკაკის ხორციელი არსებობა და დაიწყო მისი სულის ზეციური ცხოვრება. ვფიქრობთ, ამ ანდერძში წინათგრძნობის ერთგვარი კვალიც შეიმჩნევა. დიდებული მგოსნის სიცოცხლე ტანჯვა-წამებით სავსე იყო. „უგვირგვინო მეფედ“ შერაცხულს მეფური სიმტკიცე და ბრძენი... 

ბა და დალხინებული ყოფა არ ღირსებია, ამიტომაც უბრალოდ, უპრეტენზიოდ სურდა განშორებოდა სააქაო ცხოვრებას. მისი ფიქრი სალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვება-გამომზეურებას, სახალხო სკოლის გახსნას, ქართველების კულტურულ აღორძინებას დატრიალებდა თავს, ამიტომაც საცვარეულო ქონებას, მისი ნაწერების პუბლიკაციით მიღებულ შემოსავალს უტოვებდა შთამომავლობას.

როგორც ჩანს, გარკვეული დროის გავლის შემდეგ, აკაკის შეუვსია და დაუკონკრეტებია, ამ ქვეყნიდან წასვლის შემდგომ შესასრულებელი თავისი ნება. 1912 წლის 7 ნოემბერს ქუთაისში, ნოტარიუს დავით აბდუშელიშვილთან დაუმოწმებია კიდეც თავისი ანდერძი, რაც დაკრძალვის დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „თემმა“ (1915 წ. 8 თებერვალი). ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ შევახსენოთ იგი დღევანდელ მკითხველს (ტექსტი ოდნავ განსხვავებულია აკაკის თხუთმეტტომეულის მე-14 ტომში დაბეჭდილი „აკაკის ანდერძისაგან“, გვ. 589).

„მე, თავადმა აკაკი როსტომის ძე წერეთელმა, რომელიც ვიმყოფები საღ ჭკუაზე და მტკიცე გუნებაზე, საჭიროდ დავინახე ჩემი სიკვდილის შემდგომ ასეთი საანდერძო განკარგულება მოვახდინო:

ყველა უძრავ ქონებას უანდერძებ — ცოლს — ნატალია ბაზილევსკაიას და შვილს — ალექსი წერეთელს, რომ უფლობდნენ მას, სარგებლობდნენ მთელის სიცოცხლის განმავლობაში. ამ მამულიდან სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად უტოვებ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. რომ იქ გაიხსნას ღღდათა სკოლა ჩემის სახელობისა. ვენახსა და დანარჩენ ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართულ ზღაპრებისა, არაკებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემის ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის. რადგან ზემოხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ვთხოულობ, როდესაც უფალი თავისთან გამიწვევს, დამასაფლაოთ კარის ეკლესიის გვერდით სოფელ სხვიტორში; გთხოვთ დამასაფლაოთ უბრალოდ და უგვირგვინოდ. თუ ვინმეს ექნება გვირგვინით ჩემი კუბოს შემკობის სურვილი, ვთხოვ გვირგვინის ფასი გადასცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ზამოაღნიშნული მიზნისათვის ამ ანდერძში გამოთქმულ ჩემი ნების აღმსრულებლად ვნიშნავ: თავადს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს, სერგო ლუკას ძე ბახტაძეს, კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილს და ექიმს ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილს“.

გაზეთმა „თემმა“ გამოაქვეყნა, აგრეთვე „აკაკის სურვილი“, რომელიც დღემდე არც ერთ გამოცემაში არ შესულა. ვფიქრობთ, აკაკის ხელნაწერიდან გადმობეჭდილი ეს სურვილი თვალნათლივ წარმოაჩენს აკაკის უკეთილშობილეს ბუნებას, იუმორით სავსე სილაღეს და დიდ ადამიანურ პატიოსნებას (დაიბეჭდა გაზეთ „თემში“, 1915 წ. 16 თებერვალს). ეს სურვილი აკაკის 1912 წლის 1 ნოემბერს გადაუტანია ქაღალდზე, მოვიხმობთ მთლიანად:

„თუ ჩემს სიცოცხლეში ვერ მოვასწარი, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი მემკვიდრეები, ვინც იქნებიან, ვალდებული არიან გადაუხადონ ვალი შემდეგ პირებს: ივანე ელიაშვილს ექიმს — ასი თუმანი, გრიგოლ ელიავას ექიმს — ოცდაათი თუმანი, პრიჩეტნიკ ვაშაძეს — ოცდათხუთმეტი თუმანი, გლეხს ოთია ცხადაძეს — ოცი თუმანი, ლვდელ-მონაზონს ჭუმბურიძეს — ოთხი თუმანი, მთავარ დიაკონს ფარნაოზ ზაბახიძეს — ოცი თუმანი და სპირიდონ ზაბახიძეს — ოცი თუმანი.

ჩემმა მოვალეებმა, თუ თავის ნებით შემოიტანონ რაც მართებთ ხომ კარგი და თუ არა, ნუ შეაწუხებთ, ღმერთმა შეარგოს.

ბ-ნ კონსტანტინე იოსების ძევ აბდუშელიშვილო! როგორც ერთ ჩემ „დუშეპრიკაშჩიკთაგანს“, გთხოვ ეს ჩემი სურვილი სისრულეში მოიყვანო.

თავ. აკაკი წერეთელი“.

როდესაც აკაკის ანდერძის აღმსრულებლები დაკრძალვის მეორე დღეს შეკრებილან თბილისში აკაკის ბინაზე (ოლღას ქუჩა, დოვლათოვის ბინა №41), აღმოჩენილა ორი დაკეტილი ჩემოდანი — წითელი და შავი, რომლებშიც ეწყო ხელნაწერები, ფული 3 მანეთი, 8 ნახევარკაპიკიანი, საზღვარგარეთის პასპორტი. მთელი ეს ქონება ანდერძისამებრ გადაეცა საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების გამგეობას — ექვთიმე თაყაიშვილს.

როგორც ცნობილია, აკაკი, ანდერძის მიუხედავად, არ დაკრძალულა სხვიტორში, კარის ეკლესიის ეზოში. ქართველი ხალხის სურვილით, მისი ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს, სამი დღე-ღამე ქვაშვეთის ეკლესიაში დაასვენეს და მთაწმინდის სავფლობ მიაბარეს მწუხარების ჟამს, 8 თებერვალს, 1915 წლისა.

აკაკის გამოსათხოვარი ზამგლოვიარო დღეები, მისი დაკრძალვა იქცა საქართველოში მცხოვრები ყველა ერის, აღმსარებლობის, მიმართულების, თუ რწმენის მქონე ადამიანთა გაერთიანების სიმბოლოდ. საგულისხმოა, რომ პროცესიას მთაწმინდისაკენ მიუძღოდნენ ნიკო ნიკოლაძე და ნოე ჟორდანია. ანდერძისამებრ, გვირგვინები არ ხლებია ცხედარს, განშორების სიტყვებმა და ცრემლის ნიაღვარმა „წალეკა“ იმდროინდელი თბილისი. მწუხარებამ გააერთიანა, საერთო საფიქრალით და ინტერესით შეაკავშირა კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნოების, წოდების და მიმართულების ადამიანები, რაც ცხადად აისახა ნიკო ნიკოლაძის გამოსათხოვარ სიტყვაში: „ჩემზედ უკეთ სხვები მოგახსენებენ აკაკის დიადი ნიჭის და ღვაწლის ღირსებას. მე მარტო იმას აღვნიშნავ, რომ თვით თავის სიკვდილით მან ახალი შესამჩნევი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. ყველას დაანახვა, რომ მის გლოვაში ერთი გრძნობა და გული ჰქონია მთელს ჩვენს ერს, მხარეს, წოდების, ქონების, ასაკის, სქესის და თვით პარტიის განურჩევლად. მისმა კუბომ გარს შემოირტყა და ერთ ნებას ძმურად დაუმორჩილა ყველა ჩვენი მიმართულების მეთაურები, რომელთაც წინეთ ეგონათ, ვითომ მათ შორის საერთო არა მოიძიება რა. იმედი ვიქონიოთ, არა მარტო გლოვაში, ყველა სხვა ჩვენს საერობო საქმეში და გასაჭირში გამოგვადგება ამის შემდეგ ეს მადლიანი მაგალითი. ჰხედავთ რამხელა ჯარი გვყოლია? ოღონდ შტაბი არსად გაგვაჩნია, ურომლისოდ ამ განსაცდელით სავსე დროში ერი არა თუ წინ ვერ წაიწევს, ვერც კი გაძლებს. იქნება აკაკის ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რომ დღევანდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის სახეიროდ, როგორც უკვდავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელი“ (გაზეთი „თემი“, 1915 წ. 16 თებერვალი).

მრავლისმეტყველია დაკრძალვისას აკაკის ფენომენის გრიგოლ რობაქიძისეული შეფასება, რომელმაც სრულიად ახალი კუთხით გახსნა აკაკის პოეტური სამყარო: „რაღაც ქედმაღალი და თან უბრალოა ის, რომ ქართველი ერი შიცვალებულს მგოსანს მხოლოდ სახელით მიმართავს: აკაკი... პოეზიის პირველი საფეხური ალეგორია და მეტაფორაა, მეორე — სიმბოლო, საცა ალეგორია და მეტაფორა გადადიან. მესამე (უმაღლესი) — მითი, რომელშიაც სიმბოლო გაიხსნების დინამიურად. აკაკი, ცხადია, მითის მქმნელი მგოსანი არ არის, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ მრავალს მის ნაქნარს თამამი დაჰქროლავს მითის სახით. ნამდვილი მგოსნობაც სწორედ ეს არის — წარმოშვა „მითიური“ განცდა, ყოველი ნამდვილი ხელოვნება აქეთ ისწრაფვის“ (გაზეთი „თემი“ 1915 წ., 18 თებერვალი).

ვფიქრობთ, საყურადღებოა „თემის“ რედაქტორის და აკაკის ანდერძით მისი ნების აღმსრულებლის გრიგოლ დიასამიძის წინადადება, რომელმაც აკაკის გარდაცვალებისთანავე ქართველ ხალხს სთხოვა დაეწესებინა აკაკის დაბადების დღის — 9 ივნისის — მახლობელ კვირას პოეტის მშობლიურ სხვიტორში დღესასწაული „აკაკის დღე“. „ამ დღეს უნდა იმართებოდეს აკაკის სამახსოვროდ მგოსნის ნაწერების კითხვა და მისი ცხოვრების სხვადასხვა ამბების გახსენება... ამავე დროს, ეს იქნება მადლობის გადახდა ჩვენი ერის იმ ნაწილის მიმართ, რომელმაც ნება დაგვრთო აკაკის ნეშტი გადმოგვესვენებინა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, რომელიც განსაკუთრებულად უყვარდა ჩვენს დაუვიწყარ აკაკის“ (გაზეთი „თემი“, 1915 წ. 8 თებერვალი). მადლიერი შთამომავლობა არ მოშლის აკაკის დღესასწაულს მის მშობლიურ კუთხეში.

**დალი ჩიქვილაძე**

აკაკი 150

## ახალი თარგმანები

### ალექსანდრ პუშკინი

მე თქვენ მიყვარდით, ჩემს სულში ჯერაც
იქნებ კვლავ ღვივის გრძნობა ფარული,
მაგრამ თქვენ მეტად ნუ შეშფოთდებით,
ნუ შეგაწუხებთ ეს სიყვარული!

მე თქვენ მიყვარდით. უიმედობით
და თანაც ეჭვით ვიყავ ვნებული,
ღმერთმა ქნას, თქვენზე ასევე წრფელად
სხვაც ყოფილიყოს შეყვარებული!

### ზინაიდა გიპიუსი

მაჩვენე, უფალო, მე ხალხი მაჩვენე!
ნეტავ ქმნილებანი შენნი თუ არიან,
თუ იგი ნაყოფი ღვარძლივით მწარეა?
მაჩვენე, უფალო, მე ხალხი მაჩვენე!

ძალა დამიბრუნე, მომეც სიყვარული
და ჩემი ხილვანი მომეც ღამეული,
გაცისკროვნება და ფრთები დარხეული...
მომეცი, უფალო, ჩემი სიყვარული.

და გამარჯვების ჟამს მეც თან წამიყვანე,
ოი, მბრძანებელო, ყველგან და ყოველში,
შენსა ნათელში და შენსა სამყოფელში
თავდავიწყების ჟამს მეც თან წამიყვანე!

თარგმნა ჯუმბერ ჟუმბურიძემ

# ვახტანგ ხარჩილავა

●

გადაშლილი მაქვს მწუხარე წიგნი,
ვწერ სამშობლოზე ნაღვლიან წერილს—
ცოტ-ცოტა ყველამ გავყიდეთ იგი,
ცოტ-ცოტა ყველამ მოვითბეთ ხელი.

მივნებდით ცბიერ და მაცდურ
დრო-ჟამს
და ცრუ ტაძრები ქვიშაზე ვაგეთ
და ის სამშობლოც, რაც მამებს მორჩათ,
ახლა შვილებმა ვხარჯეთ და ვფლანგეთ.

...შავი სისხლი დის ამ წიგნის შიგნით,
ვწერ სამშობლოზე მწუხარე წერილს —
ცოტ-ცოტა ყველამ გავყიდეთ იგი,
ცოტ-ცოტა ყველამ მოვითბეთ ხელი...

●

სულისთვის ჯერაც ვერ მოგვივლია,
ვამაყობთ ხორცით — ძონძით.
ჩვენ დაგვავიწყდა, რარიგ ტკბილია
სიცოცხლე სამშობლოსთვის.

ჩვენ გადავყევით ცრუ იდილიას,
დარდიმანდობით მოვცდით
და დაგვავიწყდა, რარიგ ტკბილია
ტკივილი სამშობლოსთვის.

ო, უსამშობლო კაცი მლილია,
თუ ავმაღლდებით — ლოცვით,
რომ გაგვახსენდეს, რარიგ ტკბილია
სიკვდილი სამშობლოსთვის.

### მე გვიან შეგხვდი...

მე გვიან შეგხვდი, ბედნიერებას
ნაგვიანევად ვხვდები ნიადაგ,
როგორც მზეს წკვარამ შუაღამეში,
რომელსაც ჩასვლა დააგვიანდა.
ან როგორც მთვარეს დღისით,
რომელსაც
გადაავიწყდა წასვლა აქედან
და მიაცილებს კრიალა ცაზე
შემცბარი მზერა მოქალაქეთა.
გზა აერევათ ზოგჯერ იმათაც,
ვინც თავის ბედს და ნაპირს ელტვიან.
ზედმეტი არის მთვარე დღისით და
შუაღამისას მზეც ზედმეტია.
მაგრამ ასეთი უცნაურობა
ხანდახან მაინც იცის ბუნებამ,
თავისი თავის უარსაყოფად,
თავისი თავის გასამტყუნებლად.
შენ მომევლინე ისე უეცრად,
ვით მზე ღამით და ვით მთვარე
დღისით,
როდესაც ამის ღირსი არ ვიყავ,
როცა მღელვარე ჩაჩუმდა სისხლი.
უცებ დასტოვე შენ კალაპოტი,
მდინარესავით კარზე მომადექ,
როცა სულ მცირე დრო დამრჩენოდა
წყნარ და ნაღვლიან შემოდგომამდე.
ყველა თავისი გზით მიდის ბოლოს,
დღეს მზე წაიყვანს და ღამე მთვარეს,
მაგრამ რა ვუყოთ, როგორ ვუშველოთ,
რით დავუბრუნოთ სინათლე თვალებს.
დღეს მზე წაიყვანს და ღამეს მთვარე
და განლაგდება თავისი წესით
ცად მნათობები, მაგრამ რა ვუყოთ
იმ გულს, რომელიც კივის და კვნესის:
— მე შენ მიყვარხარ! მე შენ
მიყვარხარ!
მე შენ მიყვარხარ და მენატრები!
და ბნელ ღამეში გზააბნეული
დალასლასებენ ჩვენი ლანდები.
ყველა თავისი გზით წავა ბოლოს
და ამ დილასაც საღამო შეცვლის
და მხარნაქცევი ყველა მნათობი
ცად განლაგდება თავისი წესით.

### ოთახი

მე ის შევკარი ოთხი კედლისგან
და გარეშემო შემოვიშენე,
როგორც ნიჟარა ან როგორც გარსი,
შემოვიშენე და შიგ შევედი.
ის საკანია, როცა მარტო ვარ,
სახლად იქცევა, როცა ორნი ვართ.
ამ კედლებს ახსოვთ დღესასწაული,
ახსოვთ ცრემლიც და მელანქოლიაც.
აქ მოფრინავდნენ უცხო ქალები —
გულუბრყვილო და მფრთხალი ჩიტები
და ქღურტულებდნენ და ჰიკჰიკებდნენ
ხან თამამად და ხან მორიდებით.
უცხო მუსიკას, უცნაურ შვებას
და ბანგს მათრობელს ნაზიარებნი,
როგორც თევზები აკვარიუმში
ვნების ტალღებში დავსრიალებდით,
რომ ერთი ღამით მაინც გვეპოვა
ჩვენ ერთმანეთში თავშესაფარი
და თენდებოდა, და მთავრდებოდა
იმ ერთი ღამის ლურჯი ზღაპარი.
მე ერთი ვიყავ მხოლოდ მტყუანი,
ისინი ყველა იყვნენ მართლები
და მიდიოდნენ მერე დაღლილნი,
ცრუ სიყვარულში ღამენათევნი.
მე ვინც მიყვარდა, მე ვინც მწყუროდა
მთელი ცხოვრება ვისაც ვეძებდი,
აქ არ მოსულა! გზა ვერ გაიგნო
ბნელში მავალმა ხელისცეცებით.
ჩემი ოთახი! აი, ეს არის,
რაც მე მარგუნეს დედამიწიდან
და აქ იყრიდა თავს ყველაფერი,
რაც სახესა და იერს იცვლიდა.
აი, ეს არის, რაც მე მეკუთვნის,
რაც გამოსტაცა ოთხმა კედელმა
სივრცეს და თითქოს მთელი სამყარო
ამ ათ კვადრატულ მეტრში ეტევა.
ამ ათ კვადრატულ მეტრში ეტევა
ზღვაც, ოკეანეც, ცაც, ვარსკვლავებიც.
ზოგჯერ წვიმს. ზოგჯერ თოვლი
ჩამოდის,
ზოგჯერ მწუხარე წუხან ქარები.
და როგორც ნიშში, მე ამ ოთახით,
სამყაროს მფეთქავ სხეულში შემდგეს
და არვინ იცის, თუ რა მოხდება,
თუ რა მომივა ცოტა ხნის შემდეგ.
კუბოა იგი და როს მოვკვდები
(სიკვდილიც დროზე უნდა
ვახსენოთ...),
გამომიღებენ, როგორც კუბოდან,
რომ სხვა კუბოში გადამასვენონ.
თუმც, იქნებ სჯობდეს აქვე დამტოვონ,
ანდა წამიღონ ოთახიანად,
რომ ორივ ერთად ჩაგვნთქას ქვესკნელმა
და შეგვისრუტოს ხარბმა ხვიარამ.
ეს მერე... ჯერ კი, ჯერ ცოცხალი ვარ
და გაზაფხულის ვნებით ივსება
ჩემი ოთახი და ენატრება
სიყვარული და თავდავიწყება.
აბორგებული და ძილგამკრთალი
ქარით, ქალით და „მთვარის
სონატით",
საცაა ამ სახლს გამოეყოფა
და შეერევა ცას, ვით ხომალდი.

●

ეს სიყვარული ჰგავს იმ მდინარეს,
ჩავლილ მდინარეს, რომელიც ცდილობს
უკან ამოჰყვეს დამშრალ კალაპოტს
და დაუბრუნდეს თავის სათავეს.

ეს სიყვარული ბალახს ჰგავს დამწვარს,
ისევ რომ ლამობს აბიბინებას,
რომ შემობრუნდეს სხვა დროის
ნაცვლად
უკვე ჩავლილი დროის დინება.

რომ შეკავშირდეს ქვები დაშლილი,
აებას ერთურთს და ტაძრად დადგეს
და გაწყვეტილი აღდგეს კავშირი,
აღდგეს კავშირი მიწიდან ცამდე.

თოვს ნაღვლიანად და ფანტელების
ციდან გაბმულა თეთრი მძივები.
დრო გაცოცხლების, დრო გამთელების,
დრო დარღვეულის აღორძინების.

მაგრამ, მითხარი, როგორ აღსდგება
ისევ ბრიალა ცეცხლი ფერფლიდან,
როგორ დადგება ისევ საყდრებად,
რაც ქარს შეერწყა და შეეფლითა,

წვიმამ იწვიმა, უკვე იწვიმა,
თოვლმა ითოვა, უკვე ითოვა,
რაც დაიხარჯა, რაც გაიწირა,
დრომ წასაღებად რაც მოითხოვა.

...ეს სიყვარული ჰგავს იმ მდინარეს,
ჩავლილ მდინარეს, რომელიც ცდილობს
უკან ამოჰყვეს დამშრალ კალაპოტს
და დაუბრუნდეს თავის სათავეს...

# ჯანსუღ კორძაია

### დემოკრიტე

მე თვალებს ვითხრი! და გადაქრება
ეს მზეც, ეს ზეცაც და ეს ფერებიც,
და პართენონის სვეტების წყებაც,
და შეგრძნებათა ეფემერებიც.

უნდა გადაქრეს!..
ელვარებს ლურჯად
ალმოდებული მხურვალე რვალი...
მე თვალებს ვითხრი, სამყაროს უნდა
შევხედო
მხოლოდ
გონების
თვალით.

●

...და ერთი წუთიც... და ბაგრატიდან
შეხედავ გელათს და გაოცდები,
...მზე ოცნებობს და მზის ნახატიდან
ცად მიფრინავენ თეთრი ფრთოსნები.

მთებს, სილურჯეში შემოჰრილ
კონცხებს,
მზე ფერადებად აღვრის ოცნებას,
...წინასწარ იცი,
რომ გაგაოცებს
და მაინც გიპყრობს ეს გაოცება.

●

ფიქრთან, რომელიც წამით მიწყდება,
იწყება ფიქრი, ფიქრი მეორე,
და ის მეორეც...
რადგან იწყება,
შენით იწყება და გიმეორებს.

შენ გიმეორებს!
შენ, ვით ბიბლიას,
ისე მარადისს და უთარიღოს,
რადგანაც ჩემს ფიქრს არ შეუძლია,
რომ მხოლოდ შენზე ფიქრი არ იყოს.

### რის მოლოდინში?

რა ჩამორეკა სიონის ზარმა?
რა იმედებით ცოცხლობს ატენი?
რის მოლოდინში ლოცულობს ზარზმა?
რას, რას ავედრებს ღმერთს ზედაზენი?

რა გრიგალს უხმობს დიდგორის
სევდა?
რა ოცნებებით იწვის კრწანისი?
რის აცხადებას მოელის მცხეთა,
მამადავითი და სამთავისი?

### გელათის მონასტრის კარიბჭესთან

მოველ, რომ ისევ, ისევ და კვლავაც
ვუსმინო: შენი ზარების რეკვას,
და დავუჩოქო: დავითის საფლავს,
და ვეთაყვანო: მესიის ფრესკას,
ვუცქირო: შენს ცას, როგორც
მინანქარს,
ვით ხატავს შენი მზე მეწამული,
და უმძაფრესად,
და უმძაფრესად,
და უმძაფრესად,
ვიგრძნო მამული.

●

სამყარო არის, მაგრამ, რომ არის
მხოლოდ ახლაა ნამდვილად ცხადი,
...შენ მოდიოდი
და მზისფერ თმებით
განგების ახალ სასწაულს ჰგავდი.

და შედგა წამი,
წამიც და გულიც,
გულიც და ქუჩაც,
ქუჩაც და მარტიც,
...სამყარო არის, მაგრამ, რომ არის
მხოლოდ ახლაა ბოლომდე ცხადი.

●

ეს ის ფერფლია...
იმ ფიქრის კოცონს
აბრიალებულ კოცონს რომ დარჩა.
როცა დანებდი სვეს, როგორც
მონღოლს,
როცა სატანად მოვიდა განსჯა.

და დარჩა ფერფლი! ჟამი კი მიჰქრის,
ვით სივრცეებზე ცხენი [illegible],
ისევ აღსდგება ფიქრი, ვით სფინქსი.
და ამ ფერფლს...
სული არ შეუბერო.

●

ის სიყვარული ხსოვნაა ახლა,
ის მწუხარებაც და მონატრებაც,
ის შემოდგომაც,
ქცეული ქარვად,
მთებად,
ზარებად
და მონასტრებად.
ის პოვნაც,
ზეცის, იმ ზეცის პოვნაც,
ის ტკივილებიც და ის იარაც...
ხსოვნაა,
მაგრამ
ის სულის ხსოვნა —
იმ სიმაღლეებს რომ ეზიარა.

### პართენონი

ეს სიცხადეა თუ ეჩვენება?..
ზეცაც სხვაა და მზეც სულ სხვაგვარი,
და განთიადიც... სულ სხვა ფერებად,
სხვა ზღვის ნაპირზე ნაკალმასარი.

ნუთუ ისე, ვით წარღვნის ამბავში,
სამყაროს ბჭენი მართლა შეიძრა,
და მას...
სხვა მზის ქვეშ, სხვა ქვეყანაში
და სულ სხვა მთაზე გამოეღვიძა.

### გაოგნებული დრო პირჯვარს იწერს

გაოგნებული დრო პირჯვარს იწერს,
მაცხოვარს შესცქერს მუხლებმოყრილი,
და ისევ ქრისტეს
და კვლავაც ქრისტეს
უხმობს, რომ ახსნას სულზე ბორკილი.
ეპოქა მოკვდა!
დღე განკითხვისა
იყო უცილო და გარდუვალი,
და შვა განგებამ დაღვრილ სისხლიდან
ჟამი — მკვლელიც და ჰირისუფალიც.
გაორებული დრო პირჯვარს იწერს
სულში ღვთაების გადასარჩენად,
და ისევ ქრისტეს
და კვლავაც ქრისტეს,
ხელახლა ქრისტეს უხმობს მაშველად.



ზურაბ დათუაშვილის ფოტო

## ოთია იოსელიანი

# შინაბერა

დარეჯანი ისეთი ქალია, თუ მოინდომებ, წუნსაც დასდებ, გაკილავ: მოგრძო ცხვირი აქვს, მომხხო წვივები და არც ტანწერწეტაა. თუ კაი თვალით შეხედავ და არ უკირკიტებ: ჩვენში ცხვირპაჭუა ხანთლით საძებარია და ვერც სანთელივით ჩამოქნილ წვივებიან ქალს გადაეყრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ამ ბოლო დროს ის ალვისტანიანნიც გაგვიიშვიათდა. ასე რომ, შეხვდები, დაინახავ და გეამება, მაგრამ როცა ჩაივლის, მერე რომ თვალი ვერ მოაშორო და კისერი მოგექცეს, ამნაირი არაფერი.

საშუალო, მჭრთალია, არაფერი ვარგა, მაგრამ ტანადობისათვის უკეთესია, ვინემ კრუხის პალო, ან აყლაყუდა. (მაღალი კაცი — ჰო, მაგრამ ქალი — არამც და არამც, სასურველი არაა. კოცნა რომ მოუნდომო, თუ არ დაიხარა, ვერ შეწვდები. სიმაღლეს შესაფერისი წონაც აქვს და წუმპეში ან ღელეზე რომ ფეხი არ დაუსველო და ხელით გადაყვანა დაგჭირდეს, წელი არ უნდა მოგწყდეს).

დარეჯანი ხასიათით გუნება-განწყობილების ადამიანია. თავი ხან ჯოჯო და მაიმახი ჰგონია, ხან — სანდომიანი, მაგრამ არა მზეთუნახავი ან ფრთიანი ანგელოზი.

ერთი სიტყვით, გააჩნია, რა თვალით შეხედავ ან თვითონ როგორ უცქერის თავის თავს.

მაგრამ ერთი კია, რაც ჰკუაში ჩავარდა, მას აქეთ, ჯერ ვაჟებისა და მერე მამაკაცების მიმართ გაჩენილი ფარული, მწუთხე, უნდილი ღიმილი ვერ იქნა და ვერ მოიცილა. დარეჯანს ისინი გულსაკლავად საბრალონი ეჩვენებოდა და უნდოდა ეთანაგრძნო, მაგრამ რაკი მათ ეს არ იცოდნენ და თანადგომას არ ითხოვდნენ, უწყალო ქირქილის გუნებას უჩენდნენ და, თუ ამას არაფრით ამჟღავნებდა, გულსშიგნით ყოველთვის დასცინოდა. მათი უგერგილო ღნაშვა, ტრფობის სიძუნწე თუ სიყვარულისთვის თავის გაუმეტებლობა, დარეჯანის თვალში მათ მარხული ბერივით ასაცოდავებდა. თითქოს არ იცოდნენ თავიანთი მოწოდება და ასაწყლებდნენ და ადამბლავებდნენ სამყაროს იმ ნახევარს, რომელსაც კვარივით შეეძლო ანთებულიყო, ოღონდ სამიჯნურო ნაპერწკალი წასდებოდა.

შეიძლება ეს იმის ბრალიც იყო, რომ დარეჯანს ძმა არ ჰყავდა. მამა ომიდან დაბრუნებული ინვალიდი კაცი იყო. ვითომ, ერთხანს რომ გამომჯობინდა, მერე დაოჯახდა, სამი ქალიშვილის გაჩენა მოასწრო და ფრონტებზე „გმირულად დაღუპულთა" რიგებს მიემატა. დარეჯანის დები კი ის იყვნენ, რაც დარეჯანი. გოგონობიდანვე სიყვარულზე მეოცნებენი და თავალების გამოლამებამდე მომლოდინენი.

და უთუოდ იმის ბრალიც იყო, რომ თავიდან ვაჟები სულ სხვად ესახებოდა, რაც, ალბათ, ქვრივი დედის და მამიდების უსაფუძვლო სიფრთხილემ შექმნა: ბიჭს თვალი არ გაუსწორო, არ შეხვდე. არ დაელაპარაკო, არ დაემგზავრო და სადმე წაყოლაზე გაფიქრებაც ხომ ქვეყნის დაქცევაა! ღმერთი ალარაა და ხატი, სიტყვა არ გაიგონება და ფიცი არ დაიჯერებაო!.. დედა კი არა, ხალხური სიბრძნეც ამას უჩიჩინებდა: „ნუ იცინი, ნუ მაცინებ — გაგვაჭორიჭორებენო, გაგვიგებენ სიყვარულსა, დაგვაშორიშორებენო". ან „გოგო, გოგო, ტყეში წამო, ჩიტის ბუდე ვიცი მეო. — არა, ბიჭო, ვერ წამოვალ, რაც მომივა ვიცი მეო". ასე შეიქმნა ვაჟი ვნების ცეცხლით ალმოდებული, მაცდუნებელი და გამტაცებელი, რაც დარეჯანს თავიდან აფრთხობდა და ტანჯვას იმდენად ეკრძალვოდა, რამდენადაც იცოდა, მიახლოვებისთანავე სამსხვერპლოდ იყო განწირული.

ეს ის დრო იყო, სოფელი რომ იცლებოდა. მოხუცების, ბეიბრ[illegible]ბა და თითოოროლა ბედგამწყრალ, საფრ[illegible] ერთებდაპრილთა ანაბარა რჩებოდა. დარ[illegible]ანისთვის ვის ცხელოდა და ეგონა, ის სატრფიალო კოცონი იქ ენთო, საითკენაც ახალგაზრდობა ილტვოდა.

[illegible] მელობა, მართლაც სწავლის წყურვილსა და ცოდნით თავის დამძიმებას ხომ არ ნიშნავს; გაექცეს გაბეჩნებულ, უსიყვარულო, კარზე და პირზე ბოქლომდა[illegible]ულ სოფელს.

მშობელი მთა [illegible]ბარი, ტყე და მდინარე შვილივით გულში კი ჩაგიკრავს, მაგრამ მამაკაცური ვნებით შენი ქალური ჟინის სახად კი არა. ნამდაყრილ ყვავილებიან კორინდრის ნოხზე ვნებით გათანგულს იქნებ უდაბნოს ცხელ სილაზე ვნებადამცხრალის ბედი შურდეს? ყველაფერი ცრუა, ყალბი და უმომავლო, რასაც ჰქმნი და ჰმსახურობ, თუ ვნებადაშრეტილ არარაობას ჰმონობ.

ჯაჭვის ბოლო რგოლი ხარ, რომელიც შენამდე [illegible]

[illegible] ნელობის მოწყობას აპირებდა, ეზოს ბოლოში ღელე ჩამოდისო... ცოლად რომ ვინმე წამომყვეს, შიმშილით მომიკვდება, იქნება ზოგჯერ თევზის შეჭამანდი მაინც გავუხერხოო.

დარეჯანმა ის დამცინავი ღიმილი ვერ შეიკავა: თევზის შეჭამანდით აპირებს ქალის მოხიბლვას, სხვა ღირსებები არ გააჩნიაო? მაგრამ იმ პატარა, თხელყდიანი ბროშურის შოვნას მაინც დაჰპირდა, სატბორე მეურნეობის ანბანს რომ გვასწავლის.

ასე, ერთ დღეს, ჩამოუქროლა იმ გათავხედებულმა ბიჭუნა ამურმა, ჰკრა დარეჯანს გულში ოქროს ისარი და ჰკუიდან შეშალაო, რომ ვთქვათ, არ იქნება მართალი. მერეც, თანდათან, ვითომ გულშიც რომ შეუშვა, ვერ დავიჩემებთ გრძნობით ისე გათანგულიყოს, განსჯის უნარი წართმეოდეს. სიყვარულის დროს რომ განსჯის უნარი შერჩება, ქალია თუ კაცი, იქ ის ოქროს მშვილდისრიანი შეთე ბიჭი ბრალში ალარაა. და, ალბათ, ის განსჯაა, რომ ყველაფერს ღუპავს. თუმცა, ზოგჯერ, და არცთუ იშვიათად, განუსჯელობაც...

პირდაპირ, არ იცი კაციშვილმა, რა გზას დაადგე!

(ის დაფიქრება, სიდინჯე, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი... რა თქმა უნდა, გონების ნაყოფია, მაგრამ უგუნურებად არც ისინი ჩაითვლებიან, საქმეს რომ ახედ-დახედავენ, ჰკუაში დაუჯდებათ, არც აცივებენ, არც აცხელებენ და გადაწყვეტილებას იღებენ. თუმცა გადაწყვეტილება, ალბათ, ამირანს უნდა მიეღო. მაგრამ ამასობაში გულხელდაკრეფილი არც დარეჯანი უნდა მჯდარიყო და იმ გამკილავი ღიმილით ცალყბად შესთავაზა: — სანამ მაგ საშეჭამანდე ბროშურას გიშოვიდეთ, რაიმე რომანს ხომ არ წაიღებდითო?

[illegible]

ამაზე დარეჯანს ისევ მწარედ უნდოდა დაეცინა, მაგრამ ტუჩზე შიგნიდან იკბინა. გაიქცა და ამირანს „ტრისტანი და იზოლდა" მოურბენინა.

ამირანმა, ვითომ, ქე მაქვს წაკითხული თუ გაგონილიო, მაგრამ წაღებით მაინც წაიღო.

[illegible]

არც სიცილი.

...და უნდოდა ყველაფერი გაეკეთებინა, თუ საჭირო იქნებოდა, აელო ხელი სინდისზე, პატიოსნებაზე, სამსახურზე, ნათესაობაზე; თავი მოეკლა და არ დამორჩილებოდა ბედს. არ დარჩენილიყო ასე მარტოდმარტო და ასე სა-

[illegible]

ზარმა მაინც, ვითომ, ბიძგი მისცა. მოძრაობის დუნე წადილი გაუჩინა, წყალწაღებულმა ხავსს მოკიდება დააპირა: ლოგინიდან წამოდგომა, ხელ-პირის დაბანა და ჩაცმა-დახურვა მოანდომებინა. სარკის წინაც კარგა ხანს ტრიალი გადაწყვიტა და გულამოღებულ კაბაში და კაბაზე მოცმულ, თავის ნაქსოვ,

[illegible]

რა ექნა დარეჯანს, როგორ არ დაეცინა ამისთანა კაცისთვის, რომელიც, როცა თევზი ექნებოდა შეჭამანდად, ქალის შეყვარებას შერე აპირებდა.

მაინც ჩაწყდა გული. გაურუვნელი იყო ამირანი, გულუბრყვილო. ვითომ პატიოსან ცხო[illegible]

[illegible] ლო... ვერც დარეჯანმა იმარჯვა, ვერ უშოვა ის ბროშურა, არ ეძება...

[illegible]

საცილო[illegible] პატიოსანი. ასე, ბეტონის ოთხ კედელში [illegible]მომწყვდეული, არავის მომლოდინე, არავის მომხმობი და არავისაგან მონატრებული.

კი, ბატონო, მაგრამ სანამდე, როდემდე, რა [illegible]... თუ არაფერს ისაშველებ, თუ ხელსა და ფეხს არ გაანძრევ, დალუნავ თავს და შენთვის გაილურსები, ვინაა რომ [illegible]

[illegible]

შავ-თეთრი შალის ძაფით გაწყობილ, ტანზე კარგად მომდგარ ჯემპრში გამოწყობა მოანდომა.

თავმოწონება და თვითდაჯერება!..

[illegible] — ყოველ საქმეში გამარჯვების საწინდარია. უნდა გჯეროდეს საკუთარი ძალისა, შენვე უნდა გწამდეს შენი და ამის მერე შეიძლება [illegible]

[illegible]

# ღია კარის მტვრევა

1990 წლის 9 ნოემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ლადო სულაბერიძის წერილი — „უშველეთ ჩვენს მომავალ თაობებს!“ წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები სქელტანიანია, გაჟღენთილი კომუნისტური იდეოლოგიით და ჩვენი ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე დონეზე მიუღებელია. ავტორი მოითხოვს ორიგინალური სახელმძღვანელოების სასწრაფოდ შექმნას და ამის წინააღმდეგი, აბა, ვინ არის? ეს ხომ ჩვენი საყოველთაოდ ცხობილი გასაჭირი და სატკივარია! ისიც ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში მასწავლებელმა „მეთოდურად სწორი პოზიცია“ უნდა დაიკავოს, არ განაგრძოს მასალის ძველებურად, ნათარგმნი წიგნებიდან გამოარჩიოს „საიმედო წყაროები“ და „ზედამხედველი კონტროლიორის“ შიშით ბავშვებისაგან არ მოითხოვოს „ძველმანების“ სწავლა.

ბატონი ლადო სულაბერიძე წერს: „წელსაც უდევთ ჩვენს მოსწავლეებს მაგიდაზე ერთმანეთზე დაწყობილი სქელი წიგნები“, „მაინც გამოდის ყოველწლიურად მილიონობით, ასიათასობით, ათასობით“; „რო ვთარგმნით და ვთარგმნით რუსი ბავშვებისათვის დაწერილ სახელმძღვანელოებს, რო ვამტკიცებთ და ვამტკიცებთ ამ თარგმანებს სამინისტროში, ნუთუ არავის მოსდის აზრად, რომ ღვთის წყალობით გვყავს ჩინებული სპეციალისტები ამ დარგებისა, რომელთაც შეუძლიათ შექმნან სახელმძღვანელოები ქართველი ბავშვებისათვის?!“

აი, ასეთ ფონზეა მკაცრად გაკრიტიკებული წერილში რუსულიდან ქართულად ნათარგმნი ორი სახელმძღვანელო — „მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან“ და „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“. ამგვარი კრიტიკა, კერძოდ კი „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ იდეოლოგიურ მანკიერებათა მხილება პირველი როდია და, თავისთავად, რაღა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარად დაგვიანებული და უადგილოა. ამასთანავე, ბატონი ლადო სულაბერიძე ხსენებული „საფუძვლების“ ავტორებთან ერთად ქართული გამოცემის რედაქტორსაც — ამ სტრიქონების ავტორს და, აგრეთვე, მთარგმნელს — ლუიზა ფუტკარაძესაც ასახელებს და, მაშასადამე, ნაკლოვანებებისათვის, შექმნილი სიტუაციისათვის მკითხველს მათაც პასუხისმგებლად წარმოუდგენს. ეს, ისევე როგორც განსახილველ წერილთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა გარემოება, მართებულად ვერ ჩაითვლება.

წერილში, ერთი მხრივ, ლაპარაკია სახელმძღვანელოების ყოველწლიურად გამოცემაზე, ხოლო, მეორე მხრივ, არაა მითითებული „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ გამოცემის წელი. ეს სახელმძღვანელო ქართულ ენაზე უკანასკნელად 1988 წელს დაიბეჭდა (უკანასკნელისწინა ქართული გამოცემა 1984 წლისაა).

რაც მთავარია, ბატონი ლადო სულაბერიძე მკითხველებს უმალავს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს 1990 წლის 22 მარტის № 127-ე ბრძანებას. ამ აქტით საქართველოს სახალხო განათლების სისტემის „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სასწავლო პროგრამიდან დროებით (ახალი პროგრამის შემუშავებამდე და სახელმძღვანელოს შედგენამდე) ამოღებულია „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ (სახელმძღვანელოს ამოღება აღინიშნა საქინფორმის ცნობაში და ამაზე პრესაში პოლემიკაც გაიმართა. — იხ. „კომუნისტი“, 1990 წლის 6 და 31 მაისი, 16 აგვისტო; „ლიტერატურული საქართველო“, იმავე წლის 15 ივნისი). იმავდროულად, სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების ჯეროვანი სახელმძღვანელოს შესაქმნელად საჭირო ღონისძიებანი განახორციელეს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლებმა (დამხმარე სახელმძღვანელო უკვე წარდგენილია რესპუბლიკის განათლების სამინისტროში). მაშ, რაღას აკრიტიკებს და ვილას ებრძვის, რისთვისღა იღჯება ბატონი ლადო სულაბერიძე? ეს ხომ ღია კარის შემტვრევაა და სხვა არაფერი!

ბატონმა ლადო სულაბერიძემ საქართველოს განათლების სამინისტროსაც კიცხა დასცა, მაგრამ, ჩანს, არც იქ სხედან გულხელდაკრეფილნი. აი, რას წერდა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით მიმდინარე წლის მაისში საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე ბატონი კონსტანტინე გაბაშვილი: „საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო დღენიადაგ ზრუნავს ახალი სახელმძღვანელოს შესაქმნელად. წელს, სასწავლო წლის დასაწყისამდე დაგეგმილია ქართველ იურისტთა მიერ დაწერილი სახელმძღვანელოს განხილვა — „საქართველოს სსრ სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ საშუალო სკოლებისათვის, რის შემდეგაც მასში შეტანილი იქნება შესაბამისი შესწორებანი, გამრავლდება როტოპრინტის წესით 15-ათასიანი ტირაჟით და დაურიგდება სკოლებს. პირველი წლის აპრობაციის შემდეგ მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით სახელმძღვანელო გამოიცემა ღრმა ბეჭდვის წესით... ბუნებრივია, ამ წიგნის განხილვისა და რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავების შემდგომ სახელმძღვანელოც შესაბამისად გადაისინჯება, დაიხვეწება და გაუმჯობესდება“ („კომუნისტი“, 1990 წლის 31 მაისი).

აღსანიშნავია, რომ „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ არსებული სახელმძღვანელოს შესაცვლელად მუშაობა თვით რუსეთშიც კარგა ხანია მიმდინარეობს. საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველოს 1989 წლის მაისის თვის ცნობით, „1989-1990 სასწავლო წლისათვის საკავშირო გამომცემლობა „პროსვეშჩენიე“ პ. გურეევის, გ. დავიდოვის და სხვათა ავტორობით გამოცემულ მე-8 (რეფორმის მე-9) კლასის სახელმძღვანელოს — „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ ნაცვლად სცემს ახალ სახელმძღვანელოს (ლ. ნიკიტინა და სხვ. — „საბჭოთა სამართალი“)“. ბატონ კონსტანტინე გაბაშვილის სიტყვით, „არსებული წიგნი რომ სუსტია, ეს მოსკოვშიც აღიარეს, რის გამოც მისი ხარვეზების შევსების მიზნით დაიწერა ახალი წიგნი „მასალები კურსისათვის“... სხვა ავტორთა კოლექტივის მიერ“.

აქ უნდა ითქვას, რომ ისედე უარყოფითი აზრის შექმნა „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სახელმძღვანელოზე როგორც საქართველოში, ისე მოსკოვშიც ბევრწილად სწორედ ქართული გამოცემის რედაქტორის დამსახურებაა.

თარგმანზე მუშაობის დროს, წიგნის რედაქტირებისას, აშკარად საგრძნობი იდეოლოგიური გადამლაშების გარდა, თვით სამართლებრივი მასალის წარმოჩენის დონემ, საკუთრივ სამართალმცოდნეობითმა მხარემაც დაგვაეჭვა. ეჭვი თანდათან ძლიერდებოდა. საჭირო გახდა საქმის ვითარების დაწვრილებით გამოკვლევა, რისაც სათანადო ლიტერატურასა და წყაროებზე რამდენიმე თვის დაძაბული მუშაობა მოუნდა. გამოირკვა, რომ სახელმძღვანელო სერიოზულ შეცდომებს შეიცავდა.

მდგომარეობა ადრევე ეცნობა გამომცემლობა „განათლების“ ხელმძღვანელობას, რომელიც საქმეს გულისყურით მოეკიდა. გამომცემლობის დასტურით — წიგნი დაიწყო რედაქტორის წინათქმით („ქართული გამოცემისათვის“). სახელმძღვანელოს დაერთო რედაქტორისეული შენიშვნები, სქოლიოებში გასწორდა დედნის უზუსტობანი, ამასთანავე, თარგმანში, შესაძლებლობის კვალობაზე, ჩაერთო ქართული სინამდვილის ამსახველი მასალები. რედაქტორის შენიშვნების საერთო რაოდენობამ ცხრა ათეულს გადააჭარბა (სქოლიოებში სულ 96 ასეთი ცვლილება-დამატებაა). რაც, ვგონებ, უპრეცედენტო შემთხვევაა სახელმძღვანელოების გამოცემის ისტორიაში. ჩვენის მხრივ მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. დედნისეული ტექსტის არსებითად შეცვლის უფლება, ცხადია, არც მთარგმნელს ჰქონდა და არც რედაქტორს.

სახელმძღვანელოს რედაქტირების პარალელურად, კრიტიკული შენიშვნები ვრცელ რეცენზიად ჩამოყალიბდა. იგი განიხილა და მოიწონა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სამართალმცოდნეობის სექციამ და მისივე რეკომენდაციით დაიბეჭდა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში“ (ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1988, № 4, გვ. 82-98). საქართველოში დაბეჭდვამდე რეცენზია „უჩიტელსკაია გაზეტას“ რედაქციაში მივიტანე, მაგრამ იქ გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. „მაცნეში“ გამოქვეყნებული რეცენზია (ჟურნალის ცალკე ამონაბეჭდის სახით) რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელობამ 1989 წლის 3 მაისს გაუგზავნა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრს, გამომცემლობა „განათლების“ დირექტორს, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს და საკავშირო გამომცემლობა „პროსვეშჩენიეს“ დირექტორს. ამ გამომცემლობიდან მიღებულია წერილობითი პასუხი, რომ ჩვენი რეცენზია იქაც ყურადღებით განიხილეს და მოიწონეს (მადლობაც კი გამომიცხადეს „კონკრეტული და კონსტრუქციული კრიტიკისა და წინადადებებისათვის“, რაც იშვიათი შემთხვევაა საკავშირო უწყებათა პრაქტიკაში). მართალია, „პროსვეშჩენიემ“ უარი თქვა სახელმძღვანელოს ხელახლა გამოცემაზე. ასეთი გამოცემა რომ მზადდებოდა, ამას ადასტურებს გამომცემლობა „განათლების“ მოსკოვიდან 1988 წლის ოქტომბერში მიღებული ვრცელი მასალა („საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ 1987 წლის რუსული გამოცემის მორიგი, ორიგინალური შესწორებები), რომელიც 86 ფურცელს მოიცავს და სახელმძღვანელოს 78 გვერდს შეეხება (მასალა გამოიგზავნა შესაბამისად შესწორებული ახალი ქართული გამოცემის „მოსამზადებლად, რაც, ბუნებრივია, აღარ განხორციელდა).

ამ უარყოფითი რეცენზიის, „უძრაობის პერიოდის იდეოლოგიითა და პრინციპებით დაწერილი“ სახელმძღვანელოსადმი ჩვენი დამოკიდებულების დადებითი შეფასება პრესაშიც აისახა. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „მაშ, როგორ ვასწავლოთ...“ (31. V. 90) მოყვანილია ჩვენი რეცენზიის დასკვნითი ნაწილი, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლება სარეცენზიო წიგნის მიხედვით, სათანადო ახსნა-განმარტებათა გარეშე, დაუშვებელია. ამავე წერილში ვკითხულობთ: „...პატივცემული იაკობ ფუტკარაძე თვითონ გახლავთ ამ სახელმძღვანელოს რედაქტორი, და რაოდენ საგულისხმო და მისასალმებელია, რომ მას ეყო მოქალაქეობრივი და პროფესიული გამბედაობა, თავადვე უარეყო ეს წიგნი“.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება, რაც თავის წერილში ბატონმა ლადო სულაბერიძემ მკითხველებს უმართებულოდ წარმოუდგინა.

სრულ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბატონი ლადო სულაბერიძე იწუნებს წიგნის ისეთ ქვესათაურებს, როგორიცაა, კერძოდ, „სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი“, „ადმინისტრაციული სამართალი“. ასეთი ქვესათაურები აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სახელმძღვანელოში.

ამ ბოლო ხანებში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როდესაც საბჭოური იდეოლოგიის განქიქებას თვალში საცემი აქტიურობითა და სხვაზე უფრო ხმამაღლა დაყვირებით ცდილობს ის, ვინც ადრე კომპარტიასა და მის ლიდერებს გუნდრუკს უკმევდა. სწორედ ასეთ გაორებულ მდგომარეობაშია ბატონი ლადო სულაბერიძე. ამას ყველა შეიტყობს მის ნაწერებზე თვალის ერთი გადავლებით.

დღეს ბატონმა ლადო სულაბერიძემ განგაში ატეხა იმის გამო, რომ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებულ სახელმძღვანელოებში ლაპარაკია სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების მწვავე წინააღმდეგობაზე, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფაზე, საბჭოთა სამართლის დარგებზე, საბჭოთა სახელმწიფოზე, იმაზე, რომ სამშობლოდ მიჩნეულია სსრკ („ძალით შეკოწიწებული თხუთმეტი რესპუბლიკის კავშირი“). ახლა მას აღაშფოთებს ის, რომ „ზოგი მასწავლებელი გადაუშლის... ბავშვებს სახელმძღვანელოს და ზეპირად დაისწავლეთო, ეტყვის იმ ლექსზე, რომელშიც 25 თებერვლის საბჭოური ქება-დიდებაა გამოთქმული“.

ადრე კი პოეტი ლადო სულაბერიძე აღფრთოვანებული იძახდა, რომ „ოქტომბერი ჩვენი, გამარჯვების ზარით მოჰყვა ხალხს და ლენინს. კომუნიზმის ცას ბრწყინავს მუქი მისი, იკაშკაშოს ასე, — მზეა მარადისი“. იგი პიონერებს (ბეიბეთურთ!) საბჭოურ სასოფლეებში ხვის უხმობდა („პიონერო, ჩაიცვი! ჩქარა, სკოლის ეზოში უკვე იკრიბებიან!“) და აღგზნებული იყო იმით, რომ „პიონერული [illegible] ზებს, პიონერული [illegible] რები“; „გმირული [illegible]“ განცდით იგონებდა „ჭირ არნახული ქარტეხილების ფრთებქვეშ“ დაპაბუკებას, ზედა ვანში ბებიასთან ყოფნას 1924 წელს, როდესაც „აჯანყებულ მენშევიკურ ბანდას მოსდევდნენ... დედულეთის მაღალ მთებისაკენ ბოლშევიკური რაზმები“ და „მხარზე შაშხანაგადაკიდებული“ მამამისი (ბიძასაც „მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული“) „მენშევიკების ამბოხების ჩაქრობის შემდეგ, ვანის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეობიდან ქუთაისში გადაიყვანეს სამუშაოდ“. მან გამოაქვეყნა ლექსი „ლავრენტი ბერია“ („სულ სიხარულით დასამღერია შენი გმირობა და ლაშქრობანი“).

მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენდა „დიდი ლენინის ძეგლი“ და მცხეთის, ზედაზნისა და ჯვრის ტაძრის ხილვის შემდეგ ზაჰესისაკენ გვეპატიჟებოდა ბელადის სახების საცქერლად („დავტოვოთ სამარხები, ზაჰესთან წამო ეხლა“). პოეტი აქ ტკბებოდა იმით, რომ „წინ ხელგაშვერილ ლენინს მტკვარი გრილ შხეფებს აფრქვევს“ და ბელადის ძეგლი „თითქოს ხელს უქნევს მგზავრებს“. ასევე, მისი თქმით, ნასაკირალთანაც „ყვავილებისკენ ხელგაშვერილი, მზისკენ მზირალი... გურიის გულში ბრწყინავს ლენინი“. სმოლნში მდგარ ასეთ ძეგლს კი პოეტი პირდაპირ სასწაულებრივ ძალას მიაწერს: „რევოლუციის სათავესთან, აქედან, მთავარ გზებისკენ ხელი გაუწვდია ვლადიმერ ლენინს... ლამაზად მოთოვს და ცივი თოვლიც შეადნება ამ ხელის სითბოს“.

1979 წელს გამოცემული კრებულის შესავალში ბატონი ლადო სულაბერიძე ლაპარაკობს „საბჭოთა ხალხების დიად მშენებლობებზე“, „უდიდესი მასშტაბების მოვლენებზე ჩვენს ქვეყანაში“ (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია), „მრავალ სიძნელეთა გმირულად გადამლახველი ახალი ადამიანის“ — „საბჭოთა ადამიანის სულიერ სიძლიერეზე“, „საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის დიადი მეგობრობის მაგისტრალზე“ (ბამი), სადაც, თურმე ნუ იტყვით, „მტკიცდება და უფრო ღრმად იდგამს ფესვებს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ძმობა და მეგობრობა“.

კომუნისტური იდეოლოგიის, „მამულისათვის თავგანწირული კომუნისტების“ აპოთეოზია ბატონი ლადო სულაბერიძის ლექსი „ჰიმნი პარტიას“. მასში „დიდი მეცხრე ხუთწლედის მონაწილე“ პოეტი „დღეის გზნებით“ იფიცება, რომ „ვერ მივატოვებთ პარტიის დროშას, პარტიის სინდისს, რომლითაც მივქრით კომუნისტურ მომავლისაკენ“. პატივცემული ლადოს პოეტური ხილვით, „ქართული ასოებითაც... ამოქარგულს“ — „შვინდის ფერი აქვს პარტიის დროშას, ჩაქუჩნამგლიანს, ამ დროშით მივქრით, წინ მივილტვით, მაღლა ვიზრდებით... მიაფრიალებს მას პარტია დიდი ლენინის... უკან იხევენ ამ დროშის წინ ავი სულები... ამ ჩირაღდანით გზებს მივაგნებთ ძნელად მისაგნებს“ („პარტიავ, ყველა ბნელს გავაქცევთ შენი სახელით“).

ასე ფიქრობდა და წერდა ბატონი ლადო სულაბერიძე. ახლა კი, ყოველივე ამის მიუხედავად, მთარგმნელსა და რედაქტორს საყვედურობს ნათარგმნი (!) წიგნის საბჭოური იდეოლოგიის გადმოცემის გამო.

ვრცელი კომენტარი ზედმეტია. აშკარა სიძულვილის მდგომარეობაა.

**იაკობ ფუტკარაძე**

# სოლჟენიცინი და „ტურტლიანი სოსო“

## თამაზ ნატროშვილი

როდესაც ალექსანდრე სოლჟენიცინმა თავის „არქიპელაგ გულაგში“ გვამცნო, „ოსობლაგებში“ მრავლად იყვნენ უკრაინელები და ბალტიისპირელები, მაგრამ ქართველები თითქმის არ შემხვედრია და გადასახლებაშიც არ მინახავსო, ბუნებრივი იქნებოდა, რომ ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხი მიჩქმალულიყო იმ უდიდესი რეზონანსის ფონზე, რომელიც სოლჟენიცინის წიგნმა გამოიწვია ყველგან, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში.

მაგრამ, ღვთის წყალობით, არ მიჩქმალულა. ანდრეი სახაროვმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ხაზი გაუსვა სოლჟენიცინის მიერ დაშვებულ უსამართლობას და ისიც დასძინა, რომ ქართველების ხვედრითი წილი, სუბიექტური ფაქტორების გამო, სხვებზე მეტიც იყო რეპრესიების მსხვერპლთა ოდენობაში (ალბათ, გულისხმობდა სტალინისა და ბერიას თავისებურ მიკერძოებას საქართველოსადმი). აქვე უნდა ითქვას, რომ სახაროვის პაექრობა სოლჟენიცინთან, ძირითადად, ეხებოდა რუსეთის ბედიღბალსა და პოლიტიკური მომავლის გზებს. მით უფრო დასაფასებელია ამგვარი გამოქომაგება, რითაც არასოდეს ვყოფილვართ განებივრებული.

ოდნავ მოგვიანებით, როი მედვედევმა თავის რეცენზიაში „არქიპელაგ გულაგის“ მესამე ტომზე გარკვეული ადგილი დაუთმო აღნიშნულ საკითხს. უფრო ვრცლად დაასაბუთა სოლჟენიცინის წიგნში მოტანილი დაკვირვების უზუსტობა და ისტორიული სინამდვილის უხეში დამახინჯება.

როგორც ჩანს, სოლჟენიცინმა შემდგომში გაითვალისწინა კრიტიკული შენიშვნა და, კეთილსინდისიერად გაასწორა შეცდომა. ზემოხსენებული პასაჟი აღარ გვხვდება „არქიპელაგ გულაგის“ 1987 წ. გამოცემაში (ვერმონტი-პარიზი).

სოლჟენიცინმა, ფაქტიურად, აღიარა თავისი არაობიექტურობა ერთ, კერძო საკითხში. ასეთი საქციელი მისთვის საკმაოდ უცხო ხილი უნდა იყოს. სხვათა შორის, მედვედევის რეცენზიაში გამოთქმული სხვა შენიშვნები იგნორირებულ იქნა. ანდა როგორ გაუწევდა ანგარიშს, როდესაც უმეტესწილად გაკრიტიკებული იყო არა ფაქტების სიზუსტე, არამედ მწერლის ჩამოყალიბებული კონცეფცია ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის თაობაზე. მათი უთანხმოების ერთ-ერთი საგანი ისაა, რომ სოლჟენიცინი, მრავალი საბჭოთა ისტორიკოსისა თუ მწერლისგან განსხვავებით, მასობრივი ტერორისა და რეპრესიების პიონერად სრულიადაც არ მიიჩნევს სტალინს. სწორედ სოლჟენიცინმა, თუ არ ვცდები, პირველმა საბჭოთა კავშირში, გამოამზეურა ლენინის ღვაწლი ამ საქმეში. ამასთან ერთად, არც ტროცკისა თუ ტუხაჩევსკის აპოლოგეტად გვევლინება („პერესტროიკის“ ტრუბადურთა საპირისპიროდ). სოლჟენიცინი ამტკიცებს, რომ რუსი ხალხი მზად არ იყო ოქტომბრის რევოლუციისათვის და არაფრად სჭირდებოდა იგი. ხოლო მედვედევი, ქადაგი „ჭეშმარიტი მარქსიზმ-ლენინიზმისა“, თავგამოდებით ესარჩლება ლენინს და მთავარ დამნაშავედ ქვეყნის კატასტროფასა და გულაგის სისტემის შექმნაში შერაცხავს სტალინს.

ასეა თუ ისე, მედვედევის შენიშვნებმა, ეტყობა, გაალიზიანა სოლჟენიცინი და ამ ათიოდე წლის წინათ, მან საკმაოდ მკვახე სტრიქონები დახარჯა თავისი კრიტიკოსის შესამკობად. სოლჟენიცინის აზრით, მედვედევი არ მიეკუთვნებოდა დისიდენტებს (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით) და საბჭოთა კავშირში პირადად მას არაფერი ემუქრებოდა, რადგან საუკეთესო ხერხებით იცავდა რეჟიმს, უფრო გონივრულად და მოქნილად, ვიდრე ოფიციალური პრესა (სოლჟენიცინი იქვე გადასწვდა როი მედვედევის ძმას — ინგლისში მცხოვრებ ჟორეს მედვედევს).

დავუბრუნდეთ წამოჭრილ საკითხს.

პროტესტმა გაჭრა და მორალური სატისფაქცია მივიღეთ. ასე რომ, აღარაფერი უნდა გვედარდებოდეს. მაგრამ ინტერესს იწვევს გარკვევა იმისა, თუ რამ წარმოქმნა, რამ ასაზრდოვა და რამ გამოიტანა დღის სინათლეზე ანკარა სიმართლის სამოსელში გადაცმული შებღალვა სიმართლისა — ვითომდა, სტალინი და ბერია იმდენად ელოლიავებოდნენ ქართველებს, რომ ციმბირის სუსხი არ აგემეს. შემთხვევითი უზუსტობაა თუ ძვალ-რბილში გამჯდარი შეხედულების შედეგი?

სოლჟენიცინის „არქიპელაგში“ ასახულია არა მარტო მილიონობით ადამიანთა გაუგონარი ტრაგედია, ნაადრევი სიკვდილისა თუ ხანგრძლივი გულაგის ქვეშევრდომებად რომ აქცია ულმობელმა სისტემამ, არამედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოხვედრილ ხალხთა სავალალო ხვედრიც.

დღევანდელ ვნებათა ღელვის ვითარებაში ძალზე საყურადღებო და მრავლისმთქმელი გახლავთ გამოჩენილი რუსი მწერლის მსჯელობა ამა თუ იმ ხალხის შესახებ. სოლჟენიცინი დაუფარავად ამხელს ეროვნული პრობლემის წყლულებს, ნიღაბს ჩამოხდის ოფიციალურ თვალსაზრისს, ვარდისფერი სათვალით ჭვრეტის ნაცვლად, პირდაპირ თვალებში შეჰყურებს შიშველ სიმართლეს. მწერალმა თითქმის ოცი წლით გაუსწრო ე. წ. საჯაროობას. რასაც საბჭოთა კავშირში ჩურჩულით ამბობდნენ, ხოლო დასავლეთის „ხმების“ ინფორმაციას მტრული პროპაგანდის ცილისწამება ერქვა, სოლჟენიცინმა იშვიათი გამბედაობით განაცხადა თავის მართლაც ეპოქალურ წიგნში, რომელიც ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას დაასრულა.

სოლჟენიცინი „არქიპელაგის“ მესამე ტომში საგანგებოდ ეხება უკრაინელთა ბედს. მოკლედ მიმოიხილავს რუსებისა და უკრაინელების ხანგრძლივ ისტორიულ ურთიერთობას — კიევის რუსეთიდან ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამდე; აღნიშნავს ენებისა და ზნეჩვეულებათა განცალკევებას, სკეპტიკურად მოიხსენიებს უკრაინის „გაერთიანებას“ რუსეთთან, იმოწმებს ლენინის სიტყვებს („პრავდა“, 1917 წლის 7 ივნისი) იმაზე, რომ ბოლშევიკები თვლიან უკრაინას „რუსი მეფეებისა და კაპიტალისტების მიერ მიტაცებულად“, მიუთითებს ამ კურსის გაქარწყლებას რევოლუციის შემდგომ პერიოდში და ბოლოს დაასკვნის:

„ასე რატომ გვალიზიანებს უკრაინელთა ნაციონალიზმი, სურვილი ჩვენი ძმებისა — ილაპარაკონ და ბავშვები აღზარდონ და აბრებიც გამოაკრან თავიანთ ენაზე? ამ მხრივ მიხეილ ბულგაკოვიც კი („თეთრ გვარდიაში“) აჰყვა მცდარ გრძნობას. თუკი ბოლომდე ვერ მოხერხდა ჩვენი შერწყმა, თუკი რაღაცით განვსხვავდებით (ისიც საკმარისია, რომ ამას შეიგრძნობენ ისინი, უმცროსნი), ძალზე სამწუხაროა! მაგრამ რას იზამ, თუკი ასეა? რას იზამ, თუკი ფუჭად ჩაიარა დრომ, და ყველაზე უფრო ფუჭი გამოდგა 30-იანი და 40-იანი წლები, და საკითხი ყველაზე მეტად გამწვავდა არა მეფის, არამედ კომუნისტების დროს! მაშინ ასე რად გვალიზიანებს მათი სურვილი გამოყოფისა? რაო, ოდესის პლაჟები გვენანება თუ ჩერკასის ხილი?

ამას გულისტკივილით ვწერ: უკრაინული და რუსული შერწყმულია ჩემს სისხლში, გულსა და გონებაში. მაგრამ ლაგერებში უკრაინელებთან მეგობრული ურთიერთობის მდიდარმა გამოცდილებამ თვალი ამიხილა და დამანახა მათი სატკივარი. ჩვენი თაობა ვერ ასცდება წინამორბედთა შეცდომების ანაზღაურებას.

ფეხი დააბაკუნო და იყვირო: „ეს ჩემია!“ — ყველაზე მარტივი გზაა. განუზომლად უფრო ძნელია წარმოთქვა: „ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს!“. რა საოცარიც არ უნდა იყოს, არ ასრულდა მოწინავე მოძღვრების წინასწარმეტყველება — ნაციონალიზმი ჰქნებაო. იგი რატომღაც გაიფურჩქნა ატომისა და კიბერნეტიკის საუკუნეში. და დრო დგება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გადავიხადოთ ქველა ვექსილი თვითგამორკვევისა, დამოუკიდებლობისა, — ჩვენ თვითონ გადავიხადოთ და აღარ დაველოდოთ, სანამ კოცონზე დაგვწვავენ, მდინარეებში ჩაგვახრჩობენ და თავებს დაგვჭრიან. ვართ თუ არა დიდი ერი, უნდა დავამტკიცოთ არა ტერიტორიის სიდიდით, არა სიმრავლით ქვეშევრდომი ხალხებისა, არამედ ჩვენი ქცევის სიდიადით, უნდა დავამტკიცოთ სიღრმით ხნულისა, რომელსაც გავავლებთ იმ მიწაზე, რაც დაგვრჩება სხვა ქვეყნების გამოკლებით, ჩვენთან ერთად ცხოვრებას რომ აღარ მოისურვებენ.

უკრაინის გამოყოფა ძალზე მტკივნეული იქნება. მაგრამ უნდა იცოდე მათი აწინდელი საერთო დუღილი. თუკი ვერ მოგვარდა საუკუნეთა მანძილზე, — მაშასადამე, ჩვენ გვერგო წილად კეთილგონიერების გამოვლენა. ჩვენ ვალდებული ვართ, რომ გადაწყვეტილების მიღება მათვე მივანდოთ — ფედერალისტებს ან სეპარატისტებს, ვინც ვის დაარწმუნებს. თუ არ დავუთმობთ — უგუნურება იქნება და სისასტიკე. და რაც უფრო რბილად, მეტი მოთმინებით მოვეპყრობით, მით უფრო მეტი იმედი დარჩება, რომ მომავალში აღდგეს ერთიანობა.

დაე იცხოვრონ ცალკე, გამოსცადონ. ისინი მალე იგრძნობენ, რომ ყველა პრობლემა როდი გადაიჭრება გამოყოფით“.

მართალია, ფინალური აკორდი სოლჟენიცინის „არქიპელაგიდან“ ვრცლად დამოწმებული ტექსტისა ოდნავ ეწინააღმდეგება მთელი მსჯელობის პათოსს და დისონანსი შეაქვს წინარე მოსაზრებათა სიმკაცრეში, მიუხედავად ამისა, წარუშლელი შთაბეჭდილება გვრჩება, როდესაც ვკითხულობთ სამართლიანობის წყურვილით შეპყრობილი რუსი მწერლის ნაღვლიან ფიქრებს საბჭოეთში გაერთიანებული ხალხების შესახებ. გულს მართლაც ეამება მისი გულწრფელი მონანიება, სხვათა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებას რომ ლამობს.

„არქიპელაგის“ იმავე ტომში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით მეხულგულება ესტონელები და ლიტველები. თუმცა ერთ ბედქვეშ მყოფი ტუსაღები ვართ, ისე მრცხვენია მათი, თითქოს მე დავატუსაღე. შეურყვნელნი, მუყაითნი, სიტყვის ერთგულნი, მოკრძალებულნი, — რისთვის ჩაითრიეს დასაფქვავად იმავე, წყეულ დოლაბებში? არავის უშლიდნენ ხელს, ცხოვრობდნენ წყნარად, დალაგებულად, ჩვენზე უფრო ზნეობრივად — და აი, მათი დანაშაული ისაა, რომ ბინადრობენ ჩვენს იდაყვქვეშ და ჩვენგან გადაულობავთ ზღვა. „სამარცხვინოა, რომ რუსი ხარ!“ — წარმოთქვა გერცენმა, როდესაც პოლონეთს ვახრჩობდით. ხოლო საბჭოთა ადამიანი რომ ხარ, ორმაგად სამარცხვინოა ამ უწყინარი, უმწეო ხალხების წინაშე“.

ერთობ უცნაურია, რომ სოლჟენიცინი თავისი გულის სითბოს უწილადებს ესტონელებსა და ლიტველებს, მაგრამ რატომღაც ავიწყდება ლატვიელები. თუმცა დავიწყება რა სათქმელია, იქვე მოიხსენიებს, ოღონდ სხვა ბანაკში ათავსებს. ისინი ვერ იმსახურებენ მწერლის კეთილგანწყობას.

„ჩემი დამოკიდებულება ლატვიელების მიმართ უფრო რთულია. აქ რაღაც ბედისწერაა. ყოველივე ეს ხომ თვითონვე დათესეს“, — წერს სოლჟენიცინი. გულისხმობს იმას, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასა და მასობრივი ტერორის განხორციელებაში ლატვიელებს საკმაოდ დიდი წვლილი შეუტანიათ.

„არქიპელაგის“ სხვა მონაკვეთში ვკითხულობთ, რომ ოცდაჩვიდმეტში რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა ყველა ლატვიელი მსროლელი და ლატვიელი ჩეკისტი: „დიახ, ლატვიელები, აკუშერები რევოლუციისა, სულ ახლახან ჩეკას ზერთვსა და სიამაყეს რომ წარმოადგენდნენ“. და კიდევ ერთხელ გაკენწლავს ლატვიელებს: „ლატვიელი მსროლელნი — რევოლუციის ადრეული წლების ყველაზე საიმედო ხიშტები, რომლებიც ერთიანად დაატუსაღეს 1937-ში და ჯაშუშობა დასწამეს!“

ოცდაჩვიდმეტის იმ მსხვერპლთა შორის, რომელთაც, სოლჟენიცინის აზრით, სავსებით დამსახურებულად მოიმკეს ის, რასაც თვითონ თესავდნენ, გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეთა, მხედართმთავართა და ჩეკისტთა სიაში დასახელებულ არიან ცნობილი ლატვიელი ჩეკისტები: პეტერსი, ლაცისი, ბერზინი.

ამრიგად, სოლჟენიცინის კლასიფიკაციის მიხედვით, ლატვიელების ადგილი არ აღმოჩნდა, ასე ვთქვათ, „წმინდათა“ ბანაკში და ისინი მიეკუთვნენ „უწმინდურებს“. ლატვიელ მსროლელთა თუ ჩეკისტთა გამოისობით მთელი ხალხი იმსახურებს მწერლის უნდობლობას.

იგივე კრიტერიუმი მჟღავნდება სხვა შემთხვევაშიც.

ფრანგი სლავისტი ჟორჟ ნივა შენიშნავს, რომ სოლჟენიცინის მეორე ცოლი ტომით ებრაელია და მიუხედავად ამისა, მწერალს მაინც სწამებენ ანტისემიტიზმის გამოვლინებას. კერძოდ, დამოწმებულია ფრანგი მწერლის ჟან კატალას საყვედური იმის თაობაზე, რომ სტალინის მიერ გაჟლეტილ ებრაელ მწერალთა შესახებ „არქიპელაგში“, სიტყვაც არაა დაძრული, ხოლო გულაგის სისტემის ფუძემდებელთა ებრაული გვარები ხაზგასმით არის ჩამოწერილი. ამასთან ერთად, სოლჟენიცინის წიგნს, რომელიც არ გამოირჩევა ილუსტრაციების სიუხვით, ამ ცნობილ ჩეკისტთა ფოტოსურათებიც ამშვენებს. ესენი არიან: იაგოდა, ფრენკელი, რაპოპორტი, ბერმანი, კოგანი, ფირინი, ჟუკი.

სოლჟენიცინმა დაუყოვნებლივ გაიმართლა თავი:

„მე უბრალოდ ჩამოვთვალე ყველა, ვინც იმ წლებში ხელმძღვანელობდა მთელ გულაგს და ბელომორკანალს, სამუშაოთა წარმოებას. ჩემი ბრალი როდია, რომ ისინი ებრაელები ყოფილან. მე ხელოვნურად არ შემირჩევია მათი გვარები, ასე გვიჩვენა ისტორიამ. კომუნისტურ ხელისუფლებასთან კამათისას ყოველთვის ვპასუხობდი მათ: მაშინ კი არ უნდა შეგრცხვეს დანაშაულისა, როდესაც მას აღწერენ, არამედ მაშინ, როდესაც სჩადიან დანაშაულს, და ისტორიკოსის მოვალეობაა მიუთითოს ის, რაც მოხდა... ყოველი ადამიანის ვალია — აღიაროს თავისი დანაშაული, და ყოველი ერის ვალია — აღიაროს თავისი მონაწილეობა ცოდვებში. და ამიტომაც, თუკი ებრაელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, ვფიქრობ, რომ თვითონ ისინი დაწერენ ყველაფერს და მართებულადაც მოიქცევიან“.

ასეთი ახსნა-განმარტება, რასაკვირველია, ნავთს დაასხამდა ცეცხლზე. მით უმეტეს, რომ ზემოთქმულით როდი ამოიწურება მწერლის მისამართით ნასროლი ბრალდება.

სოლჟენიცინის შეხედულებით, ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში მოახდინეს გადამთიელებმა, უცხოტომელებმა და მისი მთავარი მსხვერპლი შეიქნა რუსი ხალხი. თუ გავიხსენებთ ოქტომბრის ბელადებისა და წინამძღოლთა გვარებს, ადვილი მისახვედრია, თუ ვინ მოუნათლავს მწერალს „გადამთიელებად“. მათი გადამწყვეტი როლი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასა და გულაგის შექმნაში ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებაა სოლჟენიცინისათვის.

ოპონენტები ვალში არ დარჩენილან. როდესაც რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ გადასცა ერთ-ერთი თავი სოლჟენიცინის მრავალტომიანი ეპოპეიდან „წითელი ბორბალი“, რომელშიც მოთხრობილია სტოლიპინის მკვლელობა (ებრაელი სტუდენტის ხელით), ამ ფაქტმა მყისვე გამოიწვია ისრაელის კნესეტში საგანგებო კომისიის შექმნა „ანტისემიტიზმის აფეთქების“ საქმის განსახილველად. „ამერიკის ხმამ“ აუკრძალა სოლჟენიცინის „არქიპელაგ გულაგის“ კითხვა, ხოლო დიქტორი, რომელმაც ამ წიგნის ფრაგმენტი თვითნებურად გაუშვა ეთერში, დაითხოვეს სამსახურიდან. აკრძალულ იქნა აგრეთვე გადაცემა სტოლიპინის მკვლელობის სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით.

ერთი სიტყვით, ანტისემიტიზმში ეჭვმიტანილი სოლჟენიცინი შეურიგებელი თავდასხმების ობიექტი გახდა...

როგორც ვხედავთ, სოლჟენიცინის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ხალხისადმი, მნიშვნელოვანწილად, განსაზღვრავს მათი პოლიტიკური ფიზიონომია წარსულში ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი წვლილი ოქტომბრის რევოლუციაში, სამოქალაქო ომსა და მასობრივ რეპრესიებში. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს მწერლის მსჯელობა ლატვიელებსა და ებრაელებზე.

რაც შეეხება ქართველებს, მართალია, სოლჟენიცინი კონკრეტულად არაფერს ამბობს, მაგრამ საქმის არსი ისედაც ნათელია. მკითხველმა, შესაძლოა, ზედმიწევნით არ იცოდეს ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პოპულარული ფიგურების, აგრეთვე ჩეკას დიდმოხელეთა ეროვნული წარმომავლობა, მაგრამ რომელი ხალხის შვილი განაგებდა საბჭოთა კავშირს თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე, საყოველთაოდ არის ცნობილი.

რასაკვირველია, სავსებით გასაგებია სოლჟენიცინის განსაკუთრებული სიძულვილი სტალინისადმი. საერთო-სახალხო მოტივს ემატება საკუთარი ჭირ-ვარამი. უნდა გვახსოვდეს, რომ 1945 წლის თებერვალში წითელი არმიის ორდენოსან კაპიტანს ფრონტიდან პირდაპირ კონცლაგერში უკრეს თავი და მხოლოდ სტალინის სიკვდილმა მოუტანა თავისუფლება. „არქიპელაგში“ მწერალი ნაირ-ნაირი ეპითეტებით აჯილდოებს სტალინს: „ყასაბი... ბანდიტი... აზიელი დიქტატორი... თბილისელი პლებეი... სატანა, რომელმაც დაასახიჩრა მთელი ჩემი ცხოვრება“ და ა. შ.

ანგარიშსწორება საძულველი სტალინის სამშობლოსთან „არქიპელაგით“ არ დამთავრებულა.

1968 წელს დასავლეთში გამოქვეყნდა სოლჟენიცინის რომანი „გარსი პირველი“, სადაც აღწერილია პოლიტიკურ ტუსაღთა ცხოვრება მოსკოვის გარეუბან მარფინოს „შარაშკაში“, რომელიც წარმოადგენდა ტექნიკური დარგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს გულაგის სისტემაში. რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და პერსონაჟთა უმრავლესობას გამოკვეთილი პროტოტიპები ჰყავს. ასე მაგალითად, ლევ რუბინი გახლავთ ცნობილი გერმანისტი, ლევ კოპელევი (ამჟამად იმყოფება ემიგრაციაში), დიმიტრი სოლოგდინი — ინჟინერი, დიმიტრი პანინი (გარდაიცვალა ემიგრაციაში), ხოლო მთავარი გმირი გლებ ნერჟინი ერთობ წააგავს თვით ავტორს. სოლჟენიცინი ზოგჯერ უკიდურესი სიზუსტით, იოტისოდენა ცვლილების გარეშე, იმეორებს რეალობას თავისი რომანის ფურცლებზე. ორიოდე ნიმუშის დამოწმება საკმარისია ნათქვამის დასადასტურებლად: ნერჟინს, ისევე როგორც სოლჟენი-

(დასასრული მე-12 გვ.)

(დასასრული)

ცინს, დაპატიმრებამდე კაპიტნის სამხედრო წოდება ჰქონდა და ფრონტზე საარტილერიო ბატარეას მეთაურობდა. 1949 წლის დეკემბერში ნერჟინს უსრულდება ოცდათერთმეტი წელი (სოლჟენიცინიც დაბადებულია 1918 წლის დეკემბერში). რუბინი ექვსი წლით უფროსია ნერჟინზე (ისევე, როგორც კოპელევი—სოლჟენიცინზე).

ამ წვრილმანი ფაქტების ერთობლიობა მიგვანიშნებს, რომ სწევე დოკუმენტური იერით უნდა იყოს აღბეჭდილი პერსონაჟთა ცხოვრების ეპიზოდები, მათი მსოფლმხედველობა და ა. ი. სოლჟენიცინი კვერს უკრავს ამ ვარაუდს: „მარფინოს შარაშკა და თითქმის ყველა მისი მკვიდრი დახატულია ნატურიდან". აღსანიშნავია, რომ დახაზულებულმა პანინმა, სოლჟენიცინის მარფინოსდროინდელმა მეგობარმა, დასავლეთში გამოქვეყნებულ თავის მოგონებებს უწოდა „სოლოგდინის ჩანაწერები". მაშასადამე, თავს აიგივებს სოლჟენიცინის პოპულარული რომანის გმირთან.

ჭარბი დოკუმენტურობით გამორჩეული მხატვრული ნაწარმოები, ალბათ, კიდევ უფრო მეტად მოითხოვს სიზუსტეს ისტორიული სინამდვილის ასახვისას, როდესაც საქმე ეხება მთელი ქვეყნის ცხოვრებას, ამა თუ იმ ხალხის ადგილს მოვლენათა მსვლელობაში და სახელგანთქმულ ისტორიულ პირთა პორტრეტებს.

ამ მხრივ, სოლჟენიცინის რომანში, ცოტა არ იყოს, სცოდავს. მე-20 თავში ასეა გადმოცემული კრემლის მბრძანებლის მიერ ომისდროინდელი ვითარების გახსენება:

„უღალატეს უკრაინელებმა.— უღალატეს ლიტველებმა, ესტონელებმა, თათრებმა, ყალმუხებმა, ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ლატვიელებმა — რევოლუციის ბურჯმა ლატვიელებმაც უღალატეს! და თვისტომი ქართველებიც კი, მობილიზაციებისაგან რომ დაიფარა — ისინიც ვითომდა არ ელოდნენ ჰიტლერს!".

დამოწმებულ ფრაგმენტში სოლჟენიცინი, „ოსობლაგეზზე" მხჯელობისგან განსხვავებით, პირად გამოცდილებას აღარ ეყრდნობა. იმას როდი გვაუწყებს, ჩემს სამხედრო შენაერთში ქართველები არ შემხვედრიაო, არამედ მოწმედ მოჰყავს სტალინი და შინაგან მონოლოგში ათქმევინებს: ქართველები საომრად არ გამიშვიაო. ამჯერად თვით სტალინი აღიარებს პროტექციონიზმის ფაქტს. ხოლო უმაღლეს მთავარსარდალზე უკეთ ვის ეცოდინებოდა, თუ რომელ ხალხს რამდენი სისხლი დაალვრევინა ომში და რომელი თალხი იხსნა სისხლის ღვრისგან. ავტორს გამოუყენებია საკმაოდ ეფექტური და წომგებიანი ხერხი — სტალინის პირით გადმოგვცეს თავისი ლალი ფანტაზიის ნაყოფი. ახლა წარმოვიდგინოთ მკითხველის რეაქცია. მან მშვენივრად იოეხსენება საქვეყნოდ ცნობილი ინფორმაცია ომის წლებში ზოგიერთი ხალხის „ღალატის" თაობაზე. იქვე კითხულობს წარმოშობით ქართველი ბელადის მიერ მშობელი ქართველი ხალხისათვის გაწეულ შეღავათს და ვინაიდან მწერლის ნაიქვამი აქამდე ერთგულად მისდევდა ისტორიულ სინამდვილეს, მკითხველი აქაც ენდობა წაკითხულის უტყუარობას. აბა, ვინ იფიქრებს, რომ სიმართლის სიმბოლოდ აღიარებულ სოლჟენიცინს სიცრუე ოსტატურად შეუზავებია სიმართლესთან, რათა თავის გუნებაზე „გაემდიდრებინა" ისტორია, ამასთან ერთად, მკითხველის ცნობიერება, ბოლო ხანებში აბობოქრებული დეზინფორმაციის გავლენით, სავსებით მომზადებული ხვდება ყოველგვარ ფანტასტიკურ ცნობას (საბჭოთა კავშირში რომანი დაიბეჭდა მიმდინარე წელს).

ამრიგად, სოლჟენიცინი ამტკიცებს, რომ სტალინის წყალობით ქართველები გადაურჩნენ მობილიზაციებს და ომში მონაწილეობა არ მიუღიათ.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია... განა საჭიროა იმ შთამბეჭდავი ციფრების დამოწმება, ომში ქართველების მონაწილეობასა და მსხვერპლის ოდენობას რომ მეტყველებს? მკითხველს თავს აღარ შევაწყენ ტრაგიკული სტატისტიკით, რომელიც მრავალჯის დაუმოწმებიათ ჩვენში.

როდესაც სოლჟენიცინი თავის „არქიპელაგში" მოგვითხრობს სტალინის ბრძანებით ჩრდილოკავკასიელი ხალხების გადასახლებას შუა აზიაში, ბუნებრივია, ვერ მალავს აღშფოთებას. მართლაც, რა შეიძლება იყოს იმაზე შემზარავი, ვიდრე მთელი ხალხის დასჯა მისი წარმომადგენლების (ათი იქნება თუ ათასი) დანაშაულის გამო. მაგრამ თვითონ მწერალიც, ფაქტიურად, სტალინივით აფასებს მთელ ხალხს ერთეულთა ან გარკვეული ჯგუფისადმი ანტიპათიის საფუძველზე. ამიტომაც, მეძლებისდაგვარდ, შეურისხავს ლატვიელები, ებრაელები, ქართველები.

1975 წელს პარიზში გამოქვეყნდა სოლჟენიცინის ლიტერატურული ავტობიოგრაფია „ხბო მუხას ერჩოდა", რომელმაც გამოიწვია ალექსანდრე ტვარდოვსკის ოჯახისა და მეგობრების გულისწყრომა.

ვლადიმერ ლაკშინი, „მარჯვენა ხელი" ტვარდოვსკისა ჟურნალ „ნოვი მირში", უპირველესი ქომაგი სოლჟენიცინის გახმაურებული მოთხრობისა „ივან დენისოვიჩის ერთი დღე" (1962 წ.), მწერლის ახალ ნაშრომზე მსჯელობისას წერდა: „სოლჟენიცინმა, აღზრდილმა სამართლიანი სიძულვილით სტალინიზმისადმი, შეუმჩნევლად შეიწოვა თავის ტვინსა და სულში მისი შხამები, და იქნებ ამიტომაც არის მის წიგნში ესოდენ ბევრი შეუწყნარებლობა, გაბოროტება, ზრიკები, უმადურობა".

ოლგა კარლაილი, რუსული წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი (შვილიშვილი მწერალ ლეონიდ ანდრეევისა) ლაპარაკობს თავის როლზე იმ საიდუმლო ქსელის შექმნაში, რომელიც დახმარებას უწევდა სამშობლოში მყოფ სოლჟენიცინს. საზღვარგარეთ გამოეცა „არქიპელაგი გულაგი" და „გარსი პირველი". შემდეგ მიუთითებს მწერლის უმადურობას (მას ზიზღითა და მტრულად მოიხსენებია კარლაილი), ხატავს „დესპოტის" პორტრეტს, ვინც უყოყმანოდ სწირავს თავის ახლობლებს, თუკი რაიმე დასაძრახი მოეჩვენება რომელიმე მათგანის საქციელში. ლაკშინიც და კარლაილიც აღნიშნავენ სოლჟენიცინის „ტირანიას", რომელიც ფანატიკურად არის შეპყრობილი თავისი იდეით და გულგრილად ეპყრობა ნის აღმსრულებელ ადამიანებს.

დიახ, სოლჟენიცინს, ერთი მხრივ, უწოდებენ „ჩვენი დროის დანტეს" (სავსებით სამართლიანად) და, მეორე მხრივ — „ტირანსა" და „დესპოტს" (ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ).

„არქიპელაგში", გადმოგვცემს რა თავისი ახალგაზრდობისდროინდელ ეპიზოდს, როდესაც ბეწვზე გადაურჩა შინსახკომში სამსახურის დაწყებას, მწერალი დასკვნის: „და ორმოცთან. საითაც უკვე ხელი უნდა ვკრათ ჩვენზედ ავისმქნელთ, გაოგნებულნი ვჩერდებით: აგრე აეწყო მხოლოდ, რომ ჯალათებად ჩვენ კი არა, ისინი იქცნენ. აბა ერთი, მოვებმეთ მალიუტა სკურატოვს, მგონი, არც ჩვენ ჩავიჭრებოდით!" (მალიუტა სკურატოვი — ივანე მრისხანის მიერ დაარსებული დამსჯელი უწყების „ოპრიჩნინის" თავკაცი).

შესაშური გულწრფელობითა და ტანჯვაგამოვლილი ადამიანის ბრძნული გულისხმიერებით ნათქვამ სიტყვებს ჭეშმარიტად ქრისტიანული შემწყნარებლობის სულისკვეთება ამშვენებს. მაგრამ ზემოთ განხილულ შემთხვევებში სოლჟენიცინს რატომღაც ავიწყდება შემწყნარებლობა, ცალკეული პიროვნების მოყვარე და გულშემატკივარი შესაბამის გრძნობებს ვეღარ ამჟღავნებს ათვალწუნებული ხალხების ხსენებისას, რომელთაგან ყველაზე მეტად არ ეპაშნიკება ქართველები — თვისტომნი სტალინისა.

სოლჟენიცინის რომანში „გარსი პირველი" რამდენიმე თავი ეთმობა სტალინს.

1964 წელს მწერალმა რომანი წარუდგინა „ნოვი მირის" რედაქციას. ზემოხსენებული ლაკშინი თავის დღიურში წერდა: „თავები სტალინზე, ცოტა არ იყოს, ფელეტონურია". მანვე აღნიშნა რედკოლეგიის სხდომაზე, რომ სტალინის ასახვა მხატვრული თვალსაზრისით ხადავოდ გამოიყურება (საქმეში ჩახედული პირნი მწერალს უკიჟინებდნენ „კრემლის გამდევლის" ყოფაცხოვრებითი დეტალების უზუსტობასაც). სოლჟენიცინმა უპასუხა, რომ ჯეროზით ძალზე მცირე ინფორმაცია მოიპოვება სტალინის შესახებ და მწერალს უფლება აქვს მიხვედრისა, გამოცნობისა. დასძინა, რომ აბაკუმოვი (სახელმწიფო უშიშროების მინისტრი) გუმანით ალწერა და ამჟამად ისინი, ვისაც აბაკუმოვთან უმუშავია ან შეხვედრია მას, უდასტურებენ, მართალი ხარო. ვერ დაუჯერებიათ, რომ მწერალს არასოდეს უნახავს იგი.

სოლჟენიცინი იხსენებს: „მე კი მიმაჩნდა: დაე, მოიმკოს სტალინმა, რაც დათესა თავისი თავის გასაიდუმლოებით. იგი ცხოვრობდა იდუმალებით მოსილი და ახლა ყველას აქვს უფლება დაწეროს მასზე ყველაფერი საკუთარი წარმოდგენის შესაბამისად. ეს არის უფლება და ეს არის ამოცანა ხელოვანისა — წარმოადგინოს თავისი სურათი და გაიტაცოს მკითხველი".

როგორც სოლჟენიცინის შემოქმედების მკვლევარი პეტრე პალამარჩუკი წერს, რომანში გამოყვანილი სტალინი სრულიადაც არა ჰგავს რეალურად არსებულს. იგი დახატულია საშუალო საბჭოთა ზეკის წარმოსახვით.

მკითხველის მეხსიერებაში მკაფიოდ რჩება გალერეა ოსტატურად გამოძერწილი პორტრეტებისა. გვაღელვებს ტუსაღთა უჩვეულო თავგადასავალი, მათი ბედის თავბრუდამხვევი ტრიალი, დამოკიდებული კომპრომისის უნარსა თუ იდეალისტურ თავგანწირვაზე. დიდი ინტერესით ეცნობი მათი განცდებისა და აზროვნების მრავალფეროვან სამყაროს. ნამდვილად უხერხულია ასე გაკვრით, სახელდახელო სიტყვებით ამ რომანის ღირსებათა აღნიშვნა. „გარსი პირველი" გაცილებით ვრცელ ანალიზსა და გაცილებით მეტ ქებას იმსახურებს. სწორედ ამიტომაც გვხვდება თვალში, რომ სოლჟენიცინის რომანში სტალინის პორტრეტის ნაცვლად მოცემულია კარიკატურა (უფრო ზუსტად — პასკვილი), რომელსაც ასულდგმულებს შეუნილბავი და მძაფრი სიძულვილი.

აი, თუნდაც ორიოდე სტრიქონი სტალინის ბავშვობაზე:

„ტურტლიანი სოსო არ ამოძვრალა ტლაპოებიდან, თამარ მეფის გორაკის მახლობლად რომ იყო"...

სხვას რომ თავი დავანებოთ, რა შუაშია აქ თამარ მეფე და მისი არარსებული გორაკი გორში?!

ახლა სიბერეში ვნახოთ „ტურტლიანი სოსო".

საიუბილეო ზეიმის შემდეგ თავს უქეიფოდ გრძნობს, თურმე მაგრად გამომძლარა, მუცელი ლოდივით ემძიმება, მყრალად აბოყინებს და ყაზზობა სტანჯავს. სალოლი და ბელადონა არ შველის, ხოლო სახაქმებელი ზრთის დალევა არ ეპიტნავება.

ბრწყინვალე შტრიხებია იმისათვის, რომ ერთი ხელის მოსმით ღმატო უარყოფითი გმირი!

თუკი კუჭ-ნაწლავის მოქმედებას ან უმოქმედობას ესოდენ დიდი მნიშვნელობა ეწიჭება ადამიანის დახასიათებლად, მაშინ ამ რომანის სხვა პერსონაჟებმა (მათ შორის — ჩეკისტებმა) რაღა დააშავეს? ნუთუ ყველას წესრიგში ჰქონდა ორგანიზმი?

კიდევ ერთი იაფფასიანი ხერხი გამოჭიმულა წინა პლანზე — ქართული აქცენტის უზომო ექსპლუატაცია, როდესაც უმოწყალოდ მახინჯდება რუსული ენის ორთოგრაფია და ყურადღება გამახვილებულია რუსულ სიტყვებში მახვილის არასწორად დასმაზე. შესაძლოა, ამ „შეუწყნარებელი ველურობის" ერთხელ მითითება საჭიროც იყოს კოლორიტის შესაქმნელად, მაგრამ მთელი აბზაცების გადატვირთვა (როგორც დიალოგში, ასევე შინაგან მონოლოგში) ესოდენ არასერიოზული ვარჯიშით უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებს. ნუთუ მარტოოდენ რუსი მკითხველისათვის აიტკივა თავი ავტორმა? ამ პასაჟებს თარგმანში ხომ დაეკარგება მთელი ეშხი და იდეური ფუნქცია (ვაი სირცხვილო, რუსული ენის უცოდინარი განაგებდა რუსეთს!).

ტვარდოვსკის ერთხანს სჯეროდა რომანის დაბეჭდვა „ნოვი მირში" და, თვით სოლჟენიცინის სიტყვით, მოითხოვდა მე-20 თავის („ეტიუდი დიადი ცხოვრებისა") ამოღებას, ხადაც მწერალი ცდილობდა ფსიქოლოგიურად და გარეგანი ფაქტებით დაემტკიცებინა ვერსია სტალინის თანამშრომლობისა მეფის ოხრანკასთან (აღნიშნული მოსაზრება თავდაპირველად გამოთქმულ იქნა „არქიპელაგ გულაგის" პირველ ტომში).

საფიქრებელია, რომ სოლჟენიცინი სხვა ძალზე საეჭვო მასალასთან ერთად, რომელიც შორსა დგას პირველწყაროთაგან და შინაპარტიული კინკლაობის ანარეკლი უნდა იყოს, ეყრდნობა ამერიკელი სოვეტოლოგის ისააკ ლევინის პუბლიკაციას ჟურნალ „ლაიფის" ფურცლებზე (1956 წ.) ეს გახლავთ რუსეთის პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ ერიომინის წერილი, დათარიღებული 1913 წლის 12 ივლისით, ენისეის ოხრანკის უფროსის ალექსეი ფეოდოროვიჩ ჟელეზნიაკოვის სახელზე. წერილში აღნიშნულია, რომ ტურუხანის მხარეში გადასახლებული იოსიფ ვისარიონოვიჩ ჯუღაშვილი — სტალინი 1906 წლიდან თანამშრომლობდა ოხრანკასთან თბილისში, ბაქოსა და პეტერბურგში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არჩევის შემდეგ (პრაღა, 1912 წ.) პეტერბურგში დაბრუნებული სტალინი აშკარა ოპოზიციაში უდგება მთავრობას და სავსებით წყვეტს კავშირს ოხრანკასთან.

სხვათა შორის, ამერიკელ სოვეტოლოგებს ერთხელაც არ გამოუყენებიათ დამოწმებული დოკუმენტი, რაც ცხადად მეტყველებს, რომ ისინი სიყალბედ მიიჩნევდნენ მას. სამაგიეროდ, ლევინის პუბლიკაციამ დიდი გამოძახილი ჰპოვა დღევანდელ საბჭოთა კავშირში და სენსაციების მოყვარულ წვრილფეხა ჟურნალისტთა საკბილოდ იქცა.

ამ დოკუმენტის სიყალბე გამოწვლილვით არის დამტკიცებული საარქივო საქმის სპეციალისტების ბორის კაპტელოვისა და ზინაიდა პერეგუდოვას ნარკვევში „იყო თუ არა სტალინი ოხრანკის აგენტი?"

მათი არგუმენტების სიმრავლიდან მხოლოდ ერთს დავიმოწმებ.

მითითებულია შეცდომა, რომლის აღმოჩენა საარქივო საქმის ექსპერტობას არ მოითხოვს. რევოლუციამდელი მართლწერის თანახმად, ოფიციალურ საბუთებში პიროვნების მამის სახელს სხვაგვარად წერდნენ, ვიდრე დღეს. მაგალითად, „ივან პეტროვიჩის" ნაცვლად იწერებოდა „ივან პეტროვ". ხოლო ერიომინის წერილში ვკითხულობთ: „იოსიფ ვისარიონოვიჩ" (1913 წელს ერიომინს უნდა დაეწერა „იოსიფ ვისარიონოვ").

თვით პუბლიკატორი „ერიომინის წერილისა" იძულებული იყო ეღიარებინა, რომ სტალინის ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილი ბიოგრაფები, „მათ შორის მისი უმძვინვარესი მტერი ლევ ტროცკი, უარყოფდნენ ამ ბრალდებას, როგორც საზარელსა და აბსოლუტურად დაუსაბუთებელს".

სოლჟენიცინის რომანში კი სტალინი ზის და თავისი ხელით ქექავს ათასობით ფურცლებს, დაუთვალიერებლად ისვრის სავსე საქაღალდეებს ცეცხლში და მაინც გამორჩება საძიებელი საბუთი, კინაღამ არ გამოუჩხრიკეს ოცდაჩვიდმეტში...

მწერლის ფანტაზიას, ჩანს, ფრთებს ასხამს სწორედ „ერიომინის წერილი". ამას თვალნათლივ მეტყველებს ის გარემოება, რომ სოლჟენიცინის მიხედვით, ცენტრალურ კომიტეტში არჩევისთანავე ოცდათორმეტი წლის კობა მტკიცედ გადაწყვეტს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ოხრანკასთან (ეს ფაქტი მხოლოდ „ერიომინის წერილში" გვხვდება).

მწერალს ვერავინ წაართმევს უფლებას — შექმნას თავისი მხატვრული სამყარო. მაგრამ, ჩემი აზრით, ისტორიულ პერსონაჟზე თხრობისას, ფანტაზია არ შეიძლება უსაზღვრო იყოს და ანგარიშს აღარ უწევდეს ისტორიულ სინამდვილეს.

რა თქმა უნდა, არსებობს მეტნაკლებად დამაჯერებელი ფანტაზიაც. რაღა შორს წავიდეთ, იმავე რომანის 22-ე თავში სტალინი იხსენებს ომის პირველ დღეებს, როდესაც ქვეყნის უმძიმესი ვითარებით შეძრწუნებული თავის ოთახში იკეტებოდა და მუხლმოყრილი ლოცულობდა. ღმერთს აღთქმა მისცა: თუკი გადარჩებოდა დაღუპვას, რუსეთში უეჭველად აღადგენდა ეკლესიას და ღვთისმსახურთა დევნა-დაჭერას შეწყვეტდა. სოლჟენიცინი მიგვანიშნებს, რომ ამ სცენას მისი შემოქმედებითი ფანტაზია კვებავს („არავის უნახავს, არავინ იცის, არავისთვის უთქვამს"). მაგრამ ენა ვერ მოგიბრუნდება საყვედურის სათქმელად, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ნებისმიერი ათეისტი (მით უფრო — ყოფილი სემინარისტი) სასიკვდილო განსაცდელის ჟამს შეევედროს უფალს და შემწეობა ითხოვოს. ზაბრალოოდ, მკითხველზეა დამოკიდებული, დაიჯერებს თუ არა აღნიშნული ფაქტის ფსიქოლოგიურ სიმართლეს. მაგრამ ძალზე ძნელია ენდო იმ ინფორმაციას, რომელიც მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ გააბათილა. ელემენტარული ჭორის გარდაქმნა მხატვრულ სინამდვილედ დიდოსტატის კალამსაც გაუჭირდება.

სოლჟენიცინმა კი უყოყმანოდ, დაუეჭვებლად სცადა აშკარა სიყალბის ხორცშესხმა. როგორც ჭეშმარიტების წყაროს, ისე დაეყრდნო უნიჭოდ შეთითხნილ დოკუმენტს. ის, რაც არ დაიჯერა ცოცხალი სტალინის უპირველესმა და უმძვინვარესმა მტერმა ტროცკიმ, სოლჟენიცინისათვის სახარბიელო ლუკმა გამოდგა. ეტყობა, ერთადერთ მიზნად დასახული ჰქონდა საძულველი ფიგურის დამცირება და ლაფში ამოსვრა. როგორც ადამიანი, როგორც ყოფილი ტუსაღი, ალბათ ცამდე მართალია. მაგრამ სიყვარულივით დამაბრმავებელი სიძულვილი და ამგვარი მარტივი შურისძიება არ ამშვენებს მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მწერალს. ამით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ტალანტს მიაყენა ჩრდილი, არაერთხელ უთქვამთ და აქაც გავიმეორებ: სტალინს თავისი ავკაცობაც ეყოფა, ახალი ცოდვების შეთხზვა ბევრს ვერაფერს შესძენს, განა საკადრისია მოარული მითქმა-მოთქმის უდრტვინველად გადატანა ქაღალდზე? ეს ხომ შორსაა შემოქმედებისაგან, რადგან არც კვლევას მოითხოვს, არც ანალიზს და არც მხატვრულ შთაგონებას. თითქოსდა, მღელვარე ზღვაში ცურვას ენაცვლებოდეს გუბეში ჰყუმპალაობა, მწვერვალების დაპყრობას — გატკეპნილი შარაგზით სიარული.

გულუბრყვილობაა, რომ ამგვარი პრეტენზიები წაუყენო დღევანდელი კონიუნქტურის ცხენზე ამხედრებულ ავტორებს — ქამელეონთა ლეგიონს. მაგრამ სოლჟენიცინი დიდებული მწერალია და სწორედ მისგან იყო მოსალოდნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღირსეული დუელი მრისხანე აჩრდილთან.

დღეს, რა თქმა უნდა, ტირანის აპოლოგია წარსულს ჩაბარდა. მაგრამ აპოლოგიის ალტერნატივად ნუთუ მხოლოდ პასკვილი გვეგულება? ვფიქრობ, მკითხველს სწყურია ობიექტური სურათი, ვინაიდან მობეზრდა უწინდელი გაზვიადებული ხოტბაც და აწინდელი, ასევე გაზვიადებული გათახსირებაც.

ფენომენი სტალინისა ძალზე მიმზიდველი თემაა მწერლისა თუ ისტორიკოსისათვის. მასზე ხალი მსჯელობისას ტყუილად როდი აგონდებათ ხოლმე შექსპირი და დოსტოევსკი. რამდენი თავსამტვრევი ამოცანაა ამოსახსნელი, რამდენი საიდუმლოებაა გასამჟღავნებელი, რამხელა ასპარეზი იშლება გაუმრუდებელი ფანტაზიისათვის!

უაღრესად დამაფიქრებელი და საგულისხმო სტრიქონები დაუწერია ოცდათხუთმეტი წლის წინათ გერონტი ქიქოძეს — ლაკონიური და ღრმააზროვანი დახასიათება ტირანისა: „მისი დამცინავი ღიმილი თხელ ტუჩებზე, მისი გამსჭვალავი თვალების გამომეტყველება მოწმობდნენ, რომ ის ათვალწუნებით ან უნდობლად უყურებდა ადამიანთა უმრავლესობას, ან ადვილად მოსასყიდად თვლიდა, ან მონური მორჩილების და დასჯის ღირსად".

ეს სიტყვები ერთ-ერთ შესაძლებელ გასაღებად გამოდგებოდა პირქუშ და სანახევროდ უცნობ სამყაროში კარის შესაღებად.

...დასასრულ მინდა ვთქვა, რომ პოლიტიკური მოტივებით გამოწვეული ტენდენციურობა სოლჟენიცინისა სხვადასხვა ხალხების მიმართ გადაიქცა იმ ერთ კოვზ კუპრად, რუსული ანდაზის თანახმად, ერთ კასრ თაფლს რომ წაბილწავს. და რაც ყველაზე სამწუხაროა, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარმა ხარვეზებმა, ზოგიერთი მკითხველის თვალში, ეჭვქვეშ დააყენოს ის უზარმაზარი სიმართლე, რომელიც შარავანდედივით ადგას თავზე მწერლის შემოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრიგოლ რობაქიძე

# უცნობი საქართველო

### კამარა მეორე

### ქართული სიტყვა

ჯერ მოისმინეთ სიტყვები ცალ-ცალკე „მორგვი“, „სამოგვე“, „მოწილე“, „მეხი“, „ნამეხარი“, „მდელო“, „მტერფავი“, „ნარჭენი“, „ნახაქმი“, „ნასხლეტი“, „ნაშვი“, „ნაცდენი“, „წვართი“, „ნაწვართი“, „ტევრი“, „მერქანი“, „მოტრფე“, „შვინდი“, „უთვისო“, „უბადო“ „უთქოი“, „ქვრივი“, „ლართი“, „ისხერტი“, „აძალდა“, „ივრცელა“, „ტკვერა“, „ქლერტი“, „ალერდი“, „ავი“, „კეთილი“, „მული“, „ხული“, „გონი“, „ტანი“, „ბრჭგუ“, „ღნიოში“, „წუნია“, „ავყია“, „გლისპი“, „ნადირი“, „გაანარცხა“, „გააჭერა“, „გააზმიანა“, „რქმევა“, „ენგადი“, „თვალი“, „მზე“, „ნათელი“, „ბნელი“, „ბუნი“, „მახვილი“, „ფაშატი“, „ულაყი“, „მტევანი“, — განვაგრძო კიდევ? მაშინ მთელი სიტყვარი უნდა ამომეწერა ქართული.

აამახვილეთ ოდნავ სმენა და ფონეტიურ ჩაჰყვინეთ აქ ჩამოთვლილ სიტყვებში. დაინახავთ: ყოველი მათგანი ენგადია ნამდვილი. „ენგადი“ — ეს სიტყვა აღარ იხმარება ჩვენში, საუბედუროთ. ნიშნავს „წყაროთა თვალს“. „წყაროს თვალი — კიდევ ერთი უმშვენიერესი და უნათლესი ხატი ქართველთა მითიური ხილვისა — ცნობილია ყოველი ბავშვისათვის საქართველოში. ქართული სიტყვა ხალასი ენგადია. რაც თვალია წყაროსათვის, ისაა სიტყვა ქართული მის მიერ გასიტყვულ მოვლენისათვის. წყარო ივსება „თვალით“, მოვლენა იხმება სიტყვით“. სიტყვა აქ თვალია და როგორც თვალი: მზერა, ხილვა. ქართულ სიტყვაში „მზერთ“ მოვლენას, „ხილულობთ“ მას. სიტყვა ქართულში „სხვა“ მოვლენის. „სხე“ —ეს რომ გაიგოთ, საბას უნდა მიმართოთ: „ორგანიული“ მისთვის ქართულად „სხეობთა“. „სხე“ — აქედან ვლინდება „სახეცა“ და „სახელიც“: უსახურის დასახელება შეუძლო არს. მაშასადამე, ქართული სიტყვა „სახვაა“ მოვლენის და როგორც ასეთი „სახელია“ მისი. ძველ ეგვიპტელთა სწავლა — „არსი“ „სახელშია“ მოქცეულიო — ქართულში თვითონ სიტყვადაა ქცეული. „შესაქმეში“ ეს სწავლა ეგვიპტედანაა შეტანილი: მოსე „მეორე დაბადებით“, მისტიური შვით, ეგვიპტელი იყო. სიტყვა როგორც სახელი სახისა „რქმევაა“ მისი. „რქმევა — კიდევ ერთი სიღრმის მცხადებელი. „სარქმელი“: ქუდი („იყო სარქმელი თავისა“, შოთა). „სარქველი“: ჰურის სახურავი. „დარქმევა“; სახელით დახუნვა მოვლენის, მისი „დაჭერა“. აქ მას ეხმაურება „სიტყვა“, რომელიც „ატყვევებს“ გასიტყვულს („სიტყვა“ — „ტყვე“) „არქმევა“: აცალვა, აქედან: „ანაცალი“. (ხედავთ, როგორ ციალობს აქ „ცალი“?); „აცალვა“: ათვისება. აქედან საკრალური აქტი: „მირქმევა“.

ხედავთ ნათლად, თუ რა სიხალისით კიაფობს ქართულში ენგადი, ანუ სიტყვა მისი. ამით შეგიძლიათ, სხვათა შორის, ამოიცნოთ: რომელია ქართულ სიტყვარში შემოტანილი სიტყვა და რომელი მისი შუაგულიდან შობილი. აიღეთ სიტყვა „მზე“. ამ ენგადს ქართულში იმდენი „წყარო“ წარმოუშვია, რომ ივანე ჯავახიშვილი — ეს გმირი ქართველოლოგიისა — მათს განხილვას თავის „ისტორიაში“ სამ გვერდს ანდომებს. განხილვა — უნდა ითქვას აქვე — შედევრია სიტყვის ფილოლოგიური „გამოშიგვნისა“, ილიას საყვარელი სიტყვა რომ ვიხმარო. „მზე“ ქართულში უთვალავ წყაროთა თვალია. რომელ უცხო ენაში აქვს მაგალითად „მზეს“ — თვალს ამდენი წყარო? ცხადია, ეს „თვალი“ ქართულია. ამ გზით შეგვიძლიათ იკვლიოთ: უცხოა საკამათო სიტყვა თუ თვითშობილი / ენის საკუთარ ბუდობში. ქართველებს ერთი რამ აქვთ კიდევ აქ. რაიცა ჩვენ ფილოლოგსთ, რამდენადაც ვიცი, ჯერ აზრადაც არ მოსვლიათ. ქართული „ანბანი“, პირველ ბგერანია ქართველთა, როგორც „ალფაბეტა“ ბერძენთა. ჩვენ არ ვიტყვით: „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, ჩვენ ვამბობთ: „ან“, „ბან“, „გან“, „დონ“. თუ რომელიმე სიტყვის ელემენტი რომელიმე ამ ბგერით — მაგალითად: „ტარ“, „ყარ“, „ჰარ“, „წილ“ — ისმის, იგი წმინდა ქართულად უნდა ვიგულვოთ, მაგალითად: „ტარება“, „მყარი“, „ჰარბი“, „წილობა“.

ენგადის მგზნები ქართულში საბაა. მას აქ — მომიტევეთ — შოთაც ვერ შეედრება. როცა მის სიტყვარს ვფურცლავ, ქართული ენის გენიის „ლაბორატორიაში“ შევდივარ. ეს არაა „მეტაფორა“, ალბათ სხვებსაც განუცდიათ იგივე. გადამეტება არ იქნება, თუ ვთქვი: „თვალი წყაროთა“ აქ ჩელი. და აქ გადავდივარ შუაგულ საგანზე ამ ნარკვევისა.

„Logos“, ვთქვი ზემოთ, „სიტყვა“ და „აზრია“ ერთშივე ორმაგი განხრით. ფილოლოგოსნი — თუმცა ამ სახელდებით „ეროსი ლოგოსისადმი“ არის აღნიშნული — არ იკვლევენ „ლოგოსს“ სიტყვაში, და თუ იკვლევენ დროდადრო, ვერ წვდებიან მის უკანასკნელ სიღრმეს. „ლოგოსი“ ყველა ენებშია, მათ ქვედაფენებში უმჩნევად ჩაკეცი. ავიღოთ მაგალითისათვის ბერძნული „ალეთეია“. ზედაპირზე იგი ნიშნავს „ჭეშმარიტს“, ქვეფენში: „გარდუვალს“. გესმით, რას ამბობს აქ ლოგოსი? რაც ჭეშმარიტია“, იგი „წარუვალიაო“; მარადი. მსგავსი ამისა, ამოვარდა ქართველთა შეცნევის არედან და დაიკარგა. აიღეთ ეხლა „ნაყოფი“ როგორც „ხილი“: ხილი ქართულში ხომ ნაგულისხმევია ვითარ „ყოფილი“. თქვენ ხედავთ: მთელი ფილოსოფიური სისტემა ქართული ენის გენიას ერთ სიტყვაში გამოუკვეთია. ეს კიდევ არაფერი: იგი კიდევ უფრო შორს მიდის. „ხილი“ ვითარ „ყოფილი“ „ყოფილად“ არ არის მაინც ქართულში სახელრქმეული, არამედ: როგორც „ნაყოფი“. და აი აქ ცხადდება ორგვარი „წარსული“: ერთი — სამუდამოდ გარდასული: „ყოფილი“ და მეორე — მარადიულ მობრუნებული: „ნაყოფი“. ამ უგენიალესმთვის „ზიარება“ ნამდვილი, ამ სიტყვის საკრალური აზრით. ამასთანავე: საბა არა თუ „გზნებს“ ენგადს სიტყვისა მარტო, იგი „ენგადურვე“ მარტავს მას — „რაიც უმაგალითოა, თუ შევადარებთ მის სიტყვარს უცხო ენათა სიტყვარებს. მაგალითები რამდენიც გნებავთ. 1. მძაფრი: ძლიერი დაუკლო. 2. „ბელეშა: ძროხა რქა დარეკილი დაღმა“ (რა პლასტიური გამოთქმაა!). 3. „ლეღმა: რა ბზარი თოვლი მზემ შეალბოს“ (რომელი მწერალი არ დაუფიქრდება „შურვებით“ ამ მოხაზვას?). 4. „მუზა: ქერქი მქისე და დამხალული“ (ხელით ეხებით ხორკლიან კანს მუხისა). 5. „მშვიდობა: სადა, არა იყოს ამბოხი და შული და ტაცება“ (სასურველია საკრალურ „მოტოდ“ დაიხახონ წინ დღეს ასე გავრცელებულ კონფერენციათა მონაწილეებმა). 6. „გოხინება“: საკრშილო ტუხუნი ლორისა“ (ხომ ხედავთ ძალაყრილ ახურვებულ ხურუშიან ტახს?). 7. „აცორდა: შელმა შეგნილდა (გველი თუა!). 8. „ბობოწვერა: ხეს რომ მოთეთრო ხავსივით ჩამოეკიდება, რომელსაც ვიეთნი ხის მუშკს უხმობენ“ (სწორუპოვარი გადმოცემა ხილულის!). 9. „სიმკაცრე: გამოწვლილვა მართალი“ (ვისაც სურს „სიკეთე“, ამას უნდა ჩაუკვირდეს). 10. „მიუძლო: ნაცვალი უგო“ (განმარტება კლასიკური). 11. „მყვარი: ქმარი“ (ორი სიტყვის დაპირდაპირებაში მთელი საიდუმლოება). 12. „უუა: მახვილის კიდე, გინა პურის კიდური“ (თვითსრული გახაზვა). 13. „ტავრო: ცალი პეშვი“ (ენგადს აქ პეშვით იჭერთ). 14. „ელიფას“ (სახელი): „ღმერთმა გამფინა მე“ (რომელი ენა გამოსთქვამს ამას ასეთი ნათელით?). 15. „გოლეული: თაფლის ნაკვეთი“ (იგემეთ თაფლი). 16. „ზმული: ქმნილი“ (მიხვედებით, თუ რად ვხმარობ ამ სიტყვას ასე ხშირად, როცა ქართული ენის გენიას ვეხები). 17. „ღმერთი: ხედვა და წვა“ (რომელი ბრძენი წვდა ასე ღრმად თვითებას ღვთისა? არ არის აქ ღვთის ელემენტი — მზიურობა — ლითონად მოკვეთილი? მზეც ხომ ხედვაა და წვა?). გავაგრძელო მოთვლა კიდევ? რა საჭიროა! ესეც საკმაოა. კურთხეულ იყოს, საბავ, შენი გონი, რომელმაც აგვიხილა „წყაროთა თვალი“ ქართული სიტყვისა!

შესაძლოა ნიკო მარის თეორია „იაფეტიდიზმი“ უკუგდებულ იქმნას სრულიად, ხოლო არასოდეს გენიალური ალღო მისი. ქართული ენა მართლაც „გეოლოგიურ ფენად“ გვევლინება, უძველეს ფენად, რომელიც (ვინ იცის?) შესაძლოა ენათა წარმოშობაში და მათს ვითარებაში შედიოდეს ვითარ არაქაული „კეცეული“. პირადად ჩემთვის ნათელია ერთი რამ: ქართული სიტყვა ცოცხალი ნაშთია — ვთქვათ ეხე გერმანულად — ერთერთ „Ursprache“-ის. Ursprache: თაურენა. პირველ ყოფაში პირველცოდნაა საიდუმლოთა. ქართულ სიტყვაში პირველცოდნა „წყაროთა თვალით“: ენგადითაა ხილუამას ესიტყვება გერმანული:

„Wahr“—Es „wahrt“, was „wahr ist. ესე იგი: „ჭეშმარიტი“ გრძელობს, ყოვნობს. აიღეთ ეხლა რუსული „Будить“: ნიშნავს გაღვიძებას. „Будь“ კი: იქმენ, იქეც. გამოდის: გაიღვიძე ქცევისათვისო. ამას მკაფიოდ ამოწმებს „Budi“ სანსკრიტისა, რომელიც შერჩენილია რუსულში. „Budi“ ქცევას ნიშნავს. თქვენ ხედავთ ნათლად, თუ როგორ ცოცხლობს ენათა ქვეფენებში ლოგოსი. ქართულ ენას ამ მხრით ვერც ერთი ენა ვერ გაეტოლება: ვერც რუსული, ვერც გერმანული, ვერც ფრანგული, ვერც ლათინური. ვიცი ბერძნულის, ებრაულის, სანსკრიტის „სიტყვანი — ცნებანი“ — მგონია: აქაც ქართული ენა გამარჯვებული გამოვა, თუ შევადარებთ მას იმ სამ დიდ ენას. ამას მალაპარაკებს არა მამულიშვილური სიყვარული: იქ, სადაც სიმართლე არაა, იქ სიყვარულიც უნაყოფოა. ბოლოსდაბოლოს, იქ თვითონ სიყვარულიც არაა, იგულისხმება: ნამდვილი. „ფილოსოფია“ სიყვარულია სიბრძნისადმი.

ქართულ ენაში მეტყველი ლოგოსი მკითხველმა მრავალ მაგალითებზე დაინახა, მგონია. კიდევ მრავალს იხილავს ქვემორე გაშლილ კამარებში. აქ კი ერთი ქართული სიტყვით მინდა შევკრა კამარა, რომლის სადარი სამყაროს ჯერ კიდევ არ წარმოუშვია და მგონია: ვერც წარმოშობს.

ეს სიტყვა არის: ნაყოფი.

იტყვის პინდარ, ბრძენი მგოსანი ელლენთა: „იქეც რაიცა ხარ“. როგორ? თუ კი ეს „ვარ“, რაღად მჭირდება „ვიქცე“ იმად? საიდუმლო აქ ასე ირკვევა: „ხარ — მყოფადი ყოფის ერთს არეშია ნაგულისხმევი, ხოლო „იქეც“ — მომავალი — სხვაში. რაიც იქცევა, მეტაფიზიურ „არის“ და რაიც „არის“, „იყო“ უკვე. კონკრეტი მაგალითი: მ. ანჯელო დგას მარმარის ლოდის წინაშე და მზადაა: გამოჰკვეთოს მისაგან „სახე“. იგი ამბობს: მე უკვე ვხედავ ქვაში „სახეს“, ყოველი მხრივ სრულყოფილს — ჩემთვის საკმარისია მხოლოდ, განვძარცვო იგი ქვის საცმელისაგან. მაშასადამე: ჰეგელი ამბობს: „Die Sprache“ — იშვა ხელით ხელოვანისა — „სახე, — რაიც „იყო“. ნაგულისხმევია გერმანული: Hat im Zeitwort: Sein das Wesen in der vergangenen Zeit: gewesen behalten; denn das Wesen ist das vergangene, aber zeitlos vergangene Sein“ ჩვენი დროის ჰეგელის თეზას აღრმავებს ერთს ხტილში, გერმანელი მოაზრე Lud. Klages თავის მოძღვრებისა. მივმართოთ ეხლა გენიას ქართული ენისა. იგი „ყოფას“ ორმაგ შლის წარსულში: როგორც „ყოფილს“ და როგორც „ნაყოფს“. თანვე ისე: რომ „ყოფილი“ იხრება ზედშესრულისაკენ, ხოლო „ნაყოფი“ სახელარსისაკენ. საუბედუროდ ეს „სხვაობაც“, როგორც მრავალი სხვა რამ, სახელში მონახულია სატყვისი მარადი მყოფადისათვის: ხოლო „იყო“, „არის“ და „იქნება“ ანუ — იგი „ყოველთვისაა“. „მარადი მყოფადი ნიშანია მითიური მოვლენისა. სხვათაშორის უცხოელებმა „გველის პერანგის“ ქვედენაში სწორეთ ეს „მარადი — მყოფადი“ დაინახეს; არ იციან მხოლოდ, რომ ეს „მყოფადი“ ქართველთა ზეპიროვნულ გენიის კუთვნილებაა, თუმცალა ვიეთნი იმასაც ფიქრობენ, ამ რომანში თვითონ ხალხი მგოსნობსო. რომაელი ავტორი სალლუსტიუს ამ სახით საზღვრავს მითოსში ხილულ მოვლენას: „ეს არ ყოფილა, ხოლო ეს არის მუდამ“. „არ ყოფილა“— გულისხმობს ისტორიულ ყოფას, ხოლო „არის“ ყოფას მარადიულისა. სალლუსტიუსის თქმა ევროპის აზროვნებაში მითვლილია ვითარ „სწორუპოვარი“. იგი შესანიშნავია მართლაც. ხოლო, თუ გავიხსენებთ „იყოს“ საზრისს, მაშინ ქართული „ნაყოფი“ მიიღებს უდავოთ ეპითეტონს: „სწორუპოვარი“. მრავალ მოაზრეთან და მგოსანთან ევროპისა მქონია შესახებ ამისა საუბარი. მათი განცვიფრება მიმტკიცებდა ჩემს მიგნებას. ერთი რამაა კიდევ აქ ყურადსაღები. „ხილიული“ სატყვისია ქართულში „ხილვისა“. გამოდის: თითქო ყოველი „ხილული“ „ნაყოფია“ თვითონ. მოვიგონოთ ეხლა დიდი პლატონის უზენაესი სწავლა, რომლის მიხედვით ყოველი ცოდნა „გახსენებაა“ მხოლოდ: „ანამნეზის“, გახსენება „ყოფილისა“. ქართველთა გენია თითქო ჰკრეფს ცოდნას როგორც „ხილს“ სატყვისით: „ნაყოფი“. არა, აქ პირდაპირ სასწაულთან გვაქვს საქმე. „მარადი მყოფადისათვის“ თვითონ ქართულ ზმნასაც აქვს ერთი გენიალური ხტილი. ნესტანი სწერს ტარიელს ქაჯეთის ციხიდან: „მუნა გსახო“. იგი არ ამბობს: „იქ აგსახავ“. სცადეთ სთარგმნოთ ეს ხტილი რუსულად, გინა გერმანულად, გინა ფრანგულად — ვერ მიიღებთ სადარ სატყვისს. „გსახო“ — აქ მარადი მყოფადია გზნებული.

და ასე ყველგან: თითქმის ყოველ ელემენტ-სიტყვაში ქართულისა ნამდვილი ფილოსოფებაა მოქცეული. უამრავი მაგალითებიდან აქ მხოლოდ რამოდენიმე. 1. კვირე. „გაკვირვება“ აქედან მომდინარეობს. რას ნიშნავს ეს? ექვსი დღის განმავლობაში „იქმე“ რამ ყოველდღიურ, ხოლო მეშვიდე დღეს: ნულა „იქმ“, „იუქმე“. „გაკვირდი“, რომ „ხარ“, „გაიკვირე“, რომ „მოვლენილი“ არს შენი არსი. ხომ შეიძლებოდა, რომ სრულიად არ გეხილა ეს სამყარო? და ვინაიდან „ხარ“, იკითხე: „საიდან?“ გულისყური გეტყვის: უზენაესის საიდუმლო წიაღიდან! მაშ, უმადლე მას, შემქმნელს! ილოცე! აი აზრი „კვირისა“. 2. მარხვა — ხსნილი. „მარხვა“ იგივე „დამარხვაა“. მზე თითქო „იმარხება“ ზამთარში, ებრძვის სიბნელეს. სძლევს მას შემდეგ, ამოდის, იშლება ნათელი. „იხსნება“. აქედან: „ხსნილი“. აქედანვე „აღდგომა“ ვითარ ძლევა ნაკვდინლისა და როგორც [illegible] „ხსნა“. გეკითხებით: რომელ ენაში იპოვით ასეთ სიღრმეს „კვირისა“ თუ „მარხვისა“? კურთხეულ იყოს, დიდო კარდუ, გენია შენი! გლოცავ შენივე სწორუპოვარი სიტყვით: იყავ „მზეგრძელი“.

ძნელია: მარტოდ დავტოვო „ნაყოფი“. მას გვერდით უნდა ამოვუყენო მისივე „შვილი“, რომელიც მისს თესლს სწორუპოვრადვე ზრდულყოფს. ეს „შვილი“ ერთი თქმაა ქართული, სამი სიტყვით ჩამოსხმული. ერთს სიტყვაში „ნაყოფი“. მთელი ფილოსოფიური სისტემაა მოზმეული — სამ სიტყვაში მთელი პოემაა განფენილი. ამ პოემის ავტორი არაა: არც შოთა, არც ვაჟა, არც რომელიმე სხვა მგოსანი ქართველი. მისი ავტორი ქართველი მევენახეა უსახელო, ანუ: მევენახეში მცოცხლები დიდი კარდუ. მოვუყვეთ შორიდან. დიდი ბრძენი პლოტინი, გამგრძობი და მონოყიერებული „ღვთიური“ პლატონის ტრადიციისა — მკითხველს ვაცნობ: ქრისტიანო ეკლესიის ერთი დიდი მამათაგანი ორიგენი შკოლის მეგობარი იყო პლოტინისა: ერთი დარჩა წარმართად (დააკვირდით საიდუმლოს: „წარმართული“ უკუღმართს კი არ ნიშნავს მარტო, იგი „წარმართულსაც“ გულისხმობს), მეორე იქცა ქრისტეანად — ბრძენი პლოტინი, ამტკიცებს რა, რომ „მსგავსი გამოიცნობს მზგავსსა“, ამბობს: „თვალი მზიურიაო“. საუკუნეთა შემდეგ გერმანელთა უდიდესი ბრძენი — პოეტი, გოეტჰე, პლოტინის აზრს ჰკვეთს ერთს ხტილში ერთი შაირისა: „ვით იხილოს თვალმა მზე, არ იყოს იგი მზიური?“ ეხლა ვეწვიოთ ქართველ მევენახეს მწიფობისთვეში. ჯერ გაგვიმასპინძლდება ქართველურად და შემდეგ ზვარს გვანახებს თავისას. ვიხაროთ მასთან ერთად. ვთვრებით რა მადლით მიწისა, მევენახის მარჯვენათი ასეთი გარჯითა და ასეთი სიყვარულით „მოშვებულით“ („შვება“ აქ სიხარულიცაა). ვუმზერთ დამტკბარნი ჩაყურსულ მტევნებს უეცრად — თითქო თავის თავს ან და სხვა ვისმე უხილავს ესაუბრებაო — წარმოსთქვამს ნელი ხმით მევენახე: „თვალი ჩასულა მტევანში“. აი ის სამი სიტყვა, სადაც გამოკვეთილია, არა: იკვეთება მთელი პოემა. მევენახემ არ იცის, რაა აქ „თვალი“. ხოლო კარდუმ კი იცის მევენახეში: „თვალი“ აქ „მზეა“ (მზე: მზერა). შეადარეთ ეხლა ეს თქმა პლოტინის თქმას და გოეტჰეს შაირს. დაინახავთ წამსავე, რომ აქ უბრალო შედარებაც შეუძლებელია. ჯერ ერთი: პლოტინის თქმა „სჯაა“ მხოლოდ და დამეთანხმებით: თვითონ გოეტჰეც „მსჯელობს“ თავის შაირში. ქართველი მევენახე არ მსჯელობს: იგი „ხედავს“ მოვლენას. შემდეგ: პლოტინისათვის და გოეტჰესათვისაც თვალი „მზიურია“, ქართველი მევენახისათვის კი თვითონ „მზე“. კიდევ ერთი: არც პლოტინის სიტყვა და არც როგორც გოეტჰეს შაირის ხტილი — არც ერთი მათგანი თვალის „მზიურობას“ კონკრეტულ არ ჰფენს. ქართველი მევენახის თქმაში კი იგი ცოცხალ მოვლენად ვლინდება. ხაზი გაუსვით: არ ვამბობ „მოვლენილია“, არამედ „ვლინდება“ — თქვენ ხედავთ, თუ როგორ ჩაეშვის მზე მტევანში, თუ როგორ ივსება მზის თესლით ყურძნის ყოველი მარცვალი. პლოტინს რომ სცოდნოდა ქართველი მევენახის თქმა, მის განცვიფრებას საზღვარი არ ექნებოდა. არა ნაკლებ განცვიფრდებოდა გოეტჰე, მოსმენოდა მას ეს სამი სიტყვა: „თვალი ჩასულა მტევანში“. თავის განცვიფრებას ამასაც მიაყოლებდა უთუოდ: „აქ უფრო ღრმად და უფრო პლასტიურად არის ახატული ის რისი თქმაც მე მსურდა“. იტყოდა უთუოდ: მას სიმართლე უყვარდა.

„თვალი ჩასულა მტევანში“ — აქ ნაყოფი ღვთიურობას შლის თვითონ. ეს ის მტევანია, რომელსაც გამოისხამს შემდეგ წმინდა ნინოს მიერ ვაზის ნასხლევისაგან გამოჭრილი ჯვარი.

იყავ მზეგრძელი, კარდუ!

(დასასრული იქნება)

პუბლიკაცია მოამზადა
ზურამ შარაძემ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 46.



# ჰაინალკა ბაბირაკი

## წერილი უნგრეთიდან

მე მონატრებით სავსე ვარ ისევ:
როგორც მდინარემ ადიდებულმა,
ამიყოლია და თან მივყვები,
სიზმარში გხედავ და ფიქრით გიმზერ,
შენით ცოცხლობენ ჩემი სიტყვები.
შენი ხმითა და სინათლით მთვრალი
დავდივარ და ვგრძნობ, სიყვარულს
ჩვენსას
ძალუძს ჩააცხროს ქარი და დელგმა,
ძალუძს იმედი ახაროს ხვალის
და მოგვევლინოს მფარველად ყველგან.
მე მონატრება კვლავ მმატებს ძალებს
და ღვთაებრივი წვიმით ბრუვდება
ჩემი წყურვილის მხურვალე მხარე
და ჩემი სული შენში და შენით
გახდა უკვდავი და ზღაპრის ფერი.

თარგმნა ვაჟა ხორნაულმა

## მომღერალი შადრევანი

სამყარო ფართოვდება
და ყველაფერი ჩემია.
სამყაროში ვიხსნები,
როგორც მოკიაფე თანავარსკვლავედთა
ბუჩქები
ხელისგულების მიხვეულ-მოხვეულ,
ფარულ გზებზე,
ვით მდელობის, პურის ყანების
ღელვა,
აჩქაფებული მდინარეების, ზღვათა
ბობოქრობა შენს ყურში.
ზურმუხტის ქარი მიმაფრენს
ნოტებით ნაქარგ
ხალიჩაზე
შეფოთლილ ხეთა
მოფარფატე კენწეროების
ზევით,
როდესაც შადრევანი ქღერს.
გრუხუნებენ ჩემში
ლითონის შუქით
მატარებლის მძიმე ბორბლები,
მოგონებათა მცირე სტვირები
შეჯიბრში იწვევენ
ანტიკურ ორღანს,
მიუჰახუნებენ რა წარსულის —აწმყოს
ასონანსს.
წისქვილის ქვები ფქვავენ
ფიქრთა მთვლემარე
მარცვლებს,
რომ დაფქვილი
დრომ გაალუოს
ბედნიერებისა და ცოდნის
მარად ახალ
პურად.
მოლივლივე ნოტები,
გამოაბიჯებენ რა პწკართა
ფსკერიდან
„ჯერ" და „უკვე"
ტაქტის ხაზების
უკან,
ჩიტების გუნდივით წრეს დაარტყამენ,
მაღლა,
ვარსკვლავებს შორის მყოფ
მდელობს მიაღწევენ რა,
რთულ ნიშნებს
ხაზავენ ცაზე
და შენც იძულებული ხარ
გამოაბიჯო
შენს და სხვათა მიერ
დაწერილ, შესრულებული
და აჟღერებული ნაწარმოების —
შენი ცხოვრების — ნოტებიდან,
ვინაიდან გიხმობენ:
შენ იყავ მათი საიდუმლოს
გამომცნობი.
წყალი და ჰანგები!
წყალი და ჰანგები გაგახვევენ
მარადიულობის
ნისლის სამოსელში.
ჩემი ფილტვების — აფრების, ფრთების
დაბერვით მივდივარ
ამ დიდებულ მორევში,
არ დავიკარგო ოღონდ —
მივდივარ ფიქრთა აშხეფებული
წვეთების ასაწყობად
კვლავ,
ვიდრე გაზაფხული დააკაკუნებს.
ჟრუანტელით, ცახცახით
იძაბება ნერვთა ჩემთა სიმების
ფიცრებზე მიმაგრებული
ბაწარი.
ვით მინდორში მხტომი
კვიცი
გაფართოებული ნესტოებით
გაზაფხულის ნაზ მწვანე
სურნელს
ყნოსავს
განახლებულ მიწაზე,
ისევ ვისუნთქავ
ჩემში მომავალს:
მივქრივარ დროსთან
საბრძოლველად.
იყოს, ვინც ფიქრობს მხოლოდ:
რომ მე არ მითქვამს
დროითა და სივრცით
დღეიდან გაუმაძღარს —
შადრევანი მღერის.
მწამს, რომ გრძნობდეს ისიც:
გააქროლებდა მას ზევით
წყლის სხივი,
რადგან წყლის სხივი
მასშია
და იგი წყლის სხივში ცხოვრობს.

თარგმნა მარიამ ჩადუნელმა

# რადიო–პრესით

საქართველომ უკვე გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი დამოუკიდებლობისთვის და ცხადია, იგი ხელს არ მოაწერს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რადგან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა გარდამავალი პერიოდის გაუქმება იქნებოდა.

9 დეკემბერს საბოლოოდ გაირკვევა პოლონეთის პრეზიდენტის ვინაობა. ცნობილია, რომ მაზოვეცკის მხარი არ დაუჭირა ამომრჩეველთა უმრავლესობამ. როგორც დასავლეთის პრესა აღნიშნავს, ვალენსამ ხმები გაუვრცელა მაზოვეცკის, რომ ებრაელია. პოლონეთში ტრადიციული ანტისემიტიზმის გამო კი, ამ გარემოებამაც, ეკონომიკურ გარემოებასთან ერთად შეუწყო ხელი იმას, რომ მაზოვეცკიმ დაკარგა ამომრჩეველთა ხმები. ტიმინსკი ხალხს ჰპირდება, რომ რამდენიმე თვეში ააყვავებს ქვეყანას, რომ უცხოეთიდან მოიწვევს ექსპერტებს ეკონომიკის დარგში და ა. შ. ტიმინსკი ამბობს, რომ ვერ იტანს ვალენსას. ვალენსამ ამჯერად გაჩუმება არჩია.

„დოგმის გარეშე". დასკვნით ნაწილში ნიუიორკელი კორესპონდენტი რაფაელ ბახტამოვი ისევ ეხება დღევანდელ მეცნიერულ შეხედულებას მარქსიზმზე, მის განვითარებასა და მსხვრევას. — სამართლებრივ სახელმწიფოზე ლაპარაკი, როცა ქვეყანაში არ არსებობს ნორმალური შრომით დაკავებული საზოგადოება, სერიოზული არ არის. იდეოლოგიამ დატოვა ცუდად დაფარცხული ადგილი კი არა, არამედ — უდაბნო. ადამიანმა დაკარგა მორალური ორიენტირი. გამოჰქონდა რა ბევრი უსამართლო დადგენილება, თვით სასამართლო ქმნიდა უზნეო გარემოს საბჭოთა კავშირში. ბევრი აქიმისთვის ავადმყოფი საერთოდ ზედმეტი ტვირთია, ისევე როგორც ბევრი მასწავლებლისთვის მოსწავლე. უმრავ მწერალს უნიკალური ნიჭი აქვს იმისა, რომ დაინახოს არა ის, რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა არსებობდეს. ადამიანის კეთილშობილური, ბუნებრივი ძალების ამოძირკვამ წარმოშვა დამღუპველი გულგრილობა და ცინიზმი. აქ ფასი არა აქვს დაპირებებს. ადამიანსართმევენ მოგზაურობის უფლებას, ადამიანს არ რჩება არჩევანის უფლება.

კაცობრიობის დიდი ნაწილი დაკავებულია იმ საქმით, რასაც მისთვის არავითარი კმაყოფილება არ მოაქვს. ლენინის პირველი სტატიებიდანვე ბევრი რამ უკვე ნათელია. ცხადი იყო — ხალხისთვის უნდა წაერთმიათ შრომის სიყვარული, იმის უფლება, რომ ჰქონოდა მიწა, სახლები, სურათები, ეკითხა ის, რაც მას სურდა, მინიმალურზე მეტის მოთხოვნილება სირცხვილი იყო. აქ ხალხი სულს ღაფავს. დასავლეთში ხალხი სულს კი არ ღაფავს, არამედ შრომობს, და მუშაობას თან ახლავს შრომის პირობები. ხალხი ასრულებს სამუშაოს და თან აკეთებს იმას, რაც სხვას სჭირდება. ანაზღაურება შრომის მიხედვით სწორედ საბაზრო ეკონომიკის დროს ხდება. ამბობენ, რომ სსრკ-ს ისტორია არის ისეთი ადამიანის გამოზრდის ისტორია, რომელსაც ატროფირებული აქვს ადამიანური მოთხოვნილებები. იგი კმაყოფილია იმით, თუ აქვს უბრალო საკვები, ცოტა მიწა და ტანსაცმელი. აქ მეფობს მოთხოვნილებათა ატროფია. ცხადია, ადამიანს, რომელსაც არ ჰქონია საკუთარი ვილა, „მერსედესი", არ დაუსვენია ბაჰამის კუნძულებზე, არ ჰქონია კარდენის, ან დიორის კოსტიუმი, არ უჭამია კივი... ისიც რამეა, თუკი აქვს ყავა, ინდური ან ბრაზილიური, და რა მნიშვნელობა აქვს, რომ არსებობს ყავა კენიურიც, მექსიკურიც, ეთიოპიურიც...

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკა. საკონკურენციო ბრძოლა ამერიკის კომპანიებს სულ უფრო დიდ მოთხოვნილებებს უყენებს, ის, რაზეც დღეს მოთხოვნილებაა, შეიძლება ერთი წლის მერე ალარავის აინტერესებდეს. საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის პალაზიაში: ერთ მეტრზე (და მეტი) ეკრანის ტელევიზორები — უფრო იაპონურები — 2 ან 3000 დოლარი, ჩვეულებრივი ფერადი ტელევიზორები 300-400 დოლარი, სატელეფონო მოპასუხეები — 70-80 დოლარი: დიდი ზომის რადიომიმღებები, კასეტიანი მაგნიტოფონები, სტერეოსისტემები, ვიდეომაგნიტოფონები, პერსონალური კომპიუტერები (იაპონელებმა ჯერ ვერ შეძლეს ამერიკელების „გაძევება" ამ სფეროში), კომპაქტური დისკების მოწყობილობები,... ფერადი ტელევიზორი (მუშის ერთი კვირის ხელფასი) აქვს თითქმის ყველა ამერიკელს. ვიდეომაგნიტოფონები (იაფი — 200 და ძვირი — 1000 დოლარი) — 60%-ს. იზრდება სატელეფონო მოპასუხეებისა და ვიდეოკამერების გაყიდვაც. პერსონალური კომპიუტერი ცხოვრების ამ ეტაპზე ყველას არ სჭირდება.

საბაზრო გამოკვლევათა ცენტრალური საკითხია მომხმარებელთა მომსახურება. მომხმარებლის გემოვნება საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭიროა მისი ნდობა და სიმპათია მოიპოვოს გამყიდველმა. მომხმარებელს სჭირდება დახმარება და გამყიდველი კონსულტანტიც ხდება. ამაზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული — იყიდის თუ არა, კვლავ მივა თუ არა, სხვასაც ურჩევს თუ არა აქ მოვიდეს... გამყიდველს შეუძლია: 1. — სწრაფად გაყიდოს და, თუნდაც ჩაწოლილი საქონელი, ან: 2. დიდი დრო დახარჯოს და მომხმარებელს დაეხმაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში. აღმოჩნდა, რომ ამ მეორე გზამ უფრო გაამართლა. მომხმარებლის რეაქცია კეთილსინდისიერ მიდგომაზე იმაში ვლინდება, რომ მომსახურების მაღალი კულტურის გამო იგი ამ ფირმის მუდმივი კლიენტი ხდება. მრავალ ფირმას აქვს თავისი საკონსულტაციო ბიურო, თუ კარგად ვერ გაიგო, როგორ უნდა მოიხმაროს, მომხმარებელი რეკავს და სპეციალისტი დაწვრილებით უხსნის ყველაფერს.

იმპერია სჭირდება აპარატს იმიტომ, რომ აპარატს სჭირდება იმპერია. როცა დასავლეთი ფიქრობს იმაზე, რომ პროდუქტებით დაეხმაროს სსრკ-ს, ამ დროს პრეზიდენტის უფლებების გაძლიერებაზე, ერთიან და განუყოფელ იმპერიაზე ზრუნვა და ბლოკადაზე ფიქრი არ უნდა იყოს მთავარი.

„თავისუფლებისა" და „ამერიკის ხმის" რადიოგადაცემებიდან.

## ჩვენი მილოცვა

# ავთანდილ გურგენიძე — 50



დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ საბავშვო პოეტს ავთანდილ გურგენიძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ავთანდილ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 50 წლისთავს.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. 1968 წელს გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები, რომლებმაც იმთავითვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თქვენი საბავშვო პოეზია. ქართველი ბავშვები მუდამ დიდი ხალისით ეცნობიან თქვენს იეთ საყვარელ კრებულებს, როგორიცაა „ბეჟე მოდის", „სააბალწი ზარათები", „სიმღერა უკვდავებაზე", „მარადიული ცეცხლი", „მზეო, მზეო, თვალხატულავ" და სხვა. სისადავე, სინათლე, იუმორი, გონებამახვილობა, — აი, რა გამოარჩევს თქვენს ლექსებს, აი, რატომ დადის ასე ადვილად პატარა მკითხველებამდე.

თქვენი საბავშვო ლექსები შეტანილია პირველი კლასის „დედაენაში", დაწყებითი კლასების ლიტერატურის კლასგარეშე საკითხავ წიგნებში. თქვენი საუკეთესო ნაწარმოებები რესპუბლიკურ ლიტერატურულ კონკურსებზე არაერთგზის აღინიშნა პრემიებით.

რამდენიმე ლირიკული კრებულის ავტორი ბრძანდებით. ამ კრებულების („იმედის კონცხი", „ლექსები", „გზა და ოცნება"...) ლირიკული გმირი სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ჩაფიქრებული თანამედროვე ადამიანია, რომელსაც ხწამს ნათელი მერმისისა. პოეტური გულწრფელობითა და სითბოთია გამოხატული ამ ლექსებში თქვენი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია.

ეწევით ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას, თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი იუმორისტული ნაწარმოები.

— თავმდაბლობა, მოყვასის სიყვარული, პრინციპულობა და უანგარობა გამოგარჩევთ კოლეგებს შორის.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა



# დუისბურგის ფესტივალზე

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის დასავლეთ გერმანიაში სერგეი პროკოფიევის საერთაშორისო ფესტივალზე გამგზავრების წინ მკითხველებს დავპირდით, რომ დაბრუნებისას დაწვრილებით ვუამბობდით ფესტივალის შესახებ. თეატრის კოლექტივს ფესტივალზე უდიდესი წარმატება ხვდა წილად — დასავლეთის პრესამ თბილისის ოპერას აღმოჩენა უწოდა, ამ წარმატებით გამოწვეულმა აღტაცების პირველმა ტალღამაც ასე თუ ისე გადაიარა. თანაც უკვე ხელთა გვაქვს დასავლეთიდან მიღებული პრესის გარკვეული ნაწილი და თავს უფლებას ვაძლევ, სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით ვისაუბრო.

სერგეი პროკოფიევის დაბადების 100 წლისთავი საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნება. მასში მთელი მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალური კოლექტივები მიიღებენ მონაწილეობას. ეს ფესტივალი დაიწყო სექტემბერში დასავლეთ გერმანიის ქალაქ დუისბურგში და გაზაფხულამდე გაგრძელდება. პროკოფიევის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის უფლება თბილისის საოპერო თეატრმა მოიპოვა მას შემდეგ, რაც იმპრესარიოებმა, რომლებიც სხვადასხვა თეატრების შემოქმედებით ძალებს გაეცნენ, აღიარეს, რომ მხოლოდ თბილისის საოპერო თეატრის ძლიერ დასს შეეძლო დაეძლია პროკოფიევის შემოქმედების, უფრო კი მისი საოპერო ნაწარმოებების სირთულეები და მათივე წინადადებით თეატრის კოლექტივი შეუდგა პროკოფიევის ორ, საკმაოდ „მძიმე“ ოპერებზე — „ცეცხლოვან ანგელოზზე“ და „ჭვრისწერა მონასტერში“ (დუენია) მუშაობას... გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე თბილისის საოპერო თეატრმა ღირსეული განაცხადი გააკეთა და დიდ აღიარებას მიაღწია თავისი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციისა და შრომის შედეგად.

დუისბურგში ჩასვლისთანავე შეხვდნენ ერთმანეთს სტუმარ-მასპინძლები. მასპინძელთა მხრიდან საოპერო ფესტივალის სპონსორმა, ფირმა ჰანიელის გამგეობის თავმჯდომარემ ჰანს გეორგ ვილერსმა გულთბილი სიტყვებით მიმართა თეატრის კოლექტივს და ფესტივალში წარმატება უსურვა. შეხვედრის დროს გაიმართა სტუმართა სახელდახელო კონცერტი და დაიწერა კიდეც პირველი რეცენზია „ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის“ ფურცლებზე — „საქართველოდან ჩამოსულმა სტუმრებმა პირველსავე შეხვედრაზე თავიანთი შესაძლებლობების სულ სხვადასხვა დონე წარმოაჩინეს. საღამო გახსნეს იტალიური საოპერო არიებით. დასასრულს შესრულდა თავისუფალი საქართველოს ჰიმნი (აქ საუბარია სიმღერაზე „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომელიც გერმანელებმა იმთავითვე საქართველოს ჰიმნად აღიქვეს)... „თბილისის ორკესტრის დირიჟორმა ჯ. კახიძემ წინ წამოსწია მუსიკის ძალა, რომელიც ხალხებს ერთმანეთთან აახლოვებს

— ჩვენ მოხარული ვართ, რომ ვმონაწილეობთ ფესტივალში და ვღელავთ, რადგან აქ მაყურებელი მეტად მომთხოვნია— აღნიშნა მან და რომ ეს წუხილი უსაფუძვლოა, ეროვნული თეატრის სოლისტებმა და მოცეკვავეებმა თავიანთი შესრულებით დაამტკიცეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ქართული ხალხური სიმღერები, რომელიც დიდი ენთუზიაზმითა და მუსიკალური სრულყოფით შეასრულა ვაჟთა კვინტეტმა. ფინალში გაცხადდა ქართველ ხელოვანთა კავშირი თავიანთ სამშობლოსთან, რომლის ისტორიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლითაა ნაჭედი. ჰიმნის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ შესრულებისას მათ ყველას საქართველოს დროშა ეპყრათ ხელთ“. პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე და ჰანს ჰუბერტ შიფერმა აღნიშნა კიდეც „რაინიშე პოსტის“ ფურცლებზე — „უკვე ნათელია, რომ თბილისის ეროვნული თეატრის გასტროლები დუისბურგის პროკოფიევის ფესტივალზე უმაღლესი რანგის მუსიკალური მოვლენა იქნება“... „10 წარმოდგენა 12 დღეში, ეს არანორმალური პროგრამაა“...

„ცეცხლოვანი ანგელოზის“ პირველი წარმოდგენის შემდეგ გაზეთის ფურცლებზე გაჩნდა ეპითეტები — „ჰუმანურობის ჩირაღდანი“, „ელექტროშოკური თერაპია“. უდიდესი შეფასება მიეცა ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის რობერტ სტურუასა და დამდგმელი მხატვრის გოგი ალექსი-მესხიშვილის ნამუშევარს. ხოლო წარმოდგენის მუსიკალური დონის შესახებ აღინიშნა — „ვოკალური პოტენციალის თვალსაზრისით, ის, რის შემოთავაზებაც თბილისის ეროვნულმა თეატრმა შეძლო, ფედერაციული რესპუბლიკის სცენათა ინტენდანტების შურიც კი გამოიწვია. ოდნავი გადახრაც კი არ იყო. მეორეხარისხოვან როლებსაც ბრწყინვალე მომღერლები ასრულებდნენ. მკითხავი — მანანა ეგაძე ძლიერი ალტით მღეროდა, ან ჰეჰინაჰის დოქტორი ფუსტი, რომელმაც შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ბრწყინვალე ტემბრით. აღაფრთოვანებს ვამბობთ ომარ ხოფერიას ინკვიზიტორზე, რომლის ძლიერი ბანის ორღანისებურმა ტონმა მთელი დარბაზი მოიცვა“.

„ჭეშმარიტი საოცრებანი“ — ასე უწოდა „რაინიშე პოსტმა“ „ცეცხლოვან ანგელოზში“ მონაწილე წამყვან მომღერლებს ცისანა ტატიშვილსა და ელდარ გეწაძეს. „ჭეშმარიტი საოცრება წარმოგვიდგინა ვოკალური სიძლიერითა და ფეთქებადი ემოციით რენატას ურთულეს როლში ცისანა ტატიშვილმა. თავისი მშვენიერი ხმისა და წარმოსახვის თავისებურებების გამო ბარიტონ ელდარ გეწაძეს შეიძლება იშვიათი მომღერლის ნიშან-თვისებები მიეწეროს“. იგივე გაზეთი ჯანსუღ კახიძის შესახებ წერდა: „თბილისის ეროვნული ოპერის ორკესტრის, რომელიც საუცხოოდ უკრავდა, სადირიჟორო პულტთან ჯ. კახიძის სახით იდგა გამოცდილი დირიჟორი, პროკოფიევის მუსიკის საუკეთესო ქომაგი, მოწოდებული იმისათვის, რომ ხელოვნების ხომალდი მკვიდრად ატაროს უთვალავ ქარტეხილებსა და მღელვარებაში.

როგორც მოგეხსენებათ, „ცეცხლოვანი ანგელოზი“ რამდენიმე სპექტაკლი გაიმართა არა მარტო დუისბურგში, არამედ, გერმანიის სხვა ქალაქებშიც და გამოხმაურებაც ამ წარმოდგენის შესახებ ერთი და ორი არ ყოფილა. „სიყვარულის ილუზიის ცეცხლი“ — ასე უწოდა თავის წერილს კლაუს კირხბერგმა „ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის“ ფურცლებზე. ავტორმა მიმოიხილა რა „ცეცხლოვანი ანგელოზის“ დადგმების მოკლე ისტორია, აღნიშნა, რომ ვერც ერთმა საბჭოთა თეატრმა ვერ შეჰბედა ამ ოპერას ქართული ეროვნული თეატრის გარდა, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მეტად რთულ ამოცანას.

მეორე საოპერო ნაწარმოები, რომლითაც ქართველები წარსდგნენ გერმანელი მსმენელის წინაშე, იყო გია ყანჩელის საკმაოდ გახმაურებული ოპერა „და არს მუსიკა“. „მუსიკით დაინგრევა ომის მეუფება“ — ამ სიტყვებით გამოეხმაურა პედრო ობიერა „და არს მუსიკას“ და თავისი წერილიც მთლიანად ამ ნაწარმოების განხილვას მიუძღვნა. ხოლო გაზეთი „რაინიშე პოსტი“ წერდა — „იგი აჟღერებული ალეგორიაა. ამ ორაქტიან ოპერაში მუსიკის ძალა ზეიმობს“... „მუსიკალური ქარგა წყნარად და უწყინრად გადმოიცემა, როგორც ძირითადი მასალა (ლიბრეტო და რეჟისურა რ. სტურუასი) გულუბრყვილო უბრალოება, დისონანსები უარყოფილია, დახლართული ფორმები გამორიცხული. ერთ-ერთი სცენა საოცრად ეფექტურია, იგი ბრწყინვალედ არის გაფორმებული და მაშინაც კი მომხიბვლელია, როდესაც თითქმის არავითარი უშუალო კავშირი არა აქვს მთლიან ნაწარმოებთან. კომპოზიტორი აქ იმიტაციასა და პაროდიას შორის არტისტულ საშიშ გზას ირჩევს და სოლისტთა ამაღლებულ კვინტეტს შესაძლებლობა ეძლევა აღასრულოს ძვირფასი დამათრობელი საგალობელი. მართლაც ვრცელ მუსიკალურ პარტიაში სრულიად გამორჩეულია ბავშვთა გუნდის (ავთანდილ ჩხენკელი) წარმატება, სანიმუშოდ განსწავლული ანსამბლისა, რომლის სოლისტი იყო პატარა ვასიკო თედორაშვილი. „და არს მუსიკამ“ დუისბურგის ოპერის თეატრში ერთობ დიდი წარმატება მოიპოვა“.

არა ნაკლები სიდიადით იქნა წარმოდგენილი პროკოფიევის მეორე ოპერა „ჭვრისწერა მონასტერში“ (დუენია). იმდენად შთამბეჭდავი იყო რეჟისორ გურამ მელიავასა და მხატვარ უშანგი იმერლიშვილის ერთობლივი ნამუშევარი, რომ გერმანელებმა გაოცება ვერ დაფარეს: „გაურკვეველია რატომ ერთხელაც არ დადგმულა ეს საინტერესო ოპერა ჩვენთან. მას არაჩვეულებრივი მელოდიური მომხიბვლელობა აქვს“. ხოლო ქართველების ნამუშევარი ასე შეაფასეს: „თბილისის ეროვნულმა თეატრმა ამჯერად დუისბურგში „ჭვრისწერა მონასტერში“ წარმოადგინა, რომელსაც უფრო მეტად ახასიათებს თეატრალურობა, როგორც რევიუს. კარნავალის ყოფიდან გამომდინარე, რეჟისორმა გურამ მელიავამ პროლოგის სცენას და აგრეთვე შემდგომ მოვლენებს დაურთო მოცეკვავე არლეკინი და პიერო და ფინალი ბრწყინვალებითა და დიდებულებით ჰოლივუდის გამოჩენილ პიროვნებათა მასობრივ სვლას დაამსგავსა. სცენის დეკორაცია (უ. იმერლიშვილი) მასობრივია, უმეტესწილად მძიმე ფერებითაა გადმოცემული (წითელი და ოქროსფერი), რითაც ავტორი გვიზიაროებს თავისებურ წარმოდგენას XVIII საუკუნის სევილიაზე. მოვლენები სცენაზე შეიძლება მეტისმეტად სწრაფად, მოხერხებულად და მძაფრად გავიაზროთ. ქართველ სტუმართა რთულ და მძაფრ იუმორს უნდა მივეჩვიოთ. ეს იუმორი ბოლო აქტში, ბერის დათრობის სცენაში ერთობ მოხერხებულ ადგილზე იჩენს თავს“... „მომღერალთა დონე და ვოკალური ბრწყინვალება განსაცვიფრებელი იყო. დაწყებული ლირიკული სოპრანოდან (ლ. კალმახელიძე) ბანამდე (ა. შომახია), ბუფო-ტენორიდან (ი. კავსაძე), ბარიტონამდე (ე. გეწაძე) ყველაფერი საუცხოო იყო. მეორეხარისხოვან როლებშიც იშვიათი სილამაზისა და სიძლიერის ხმებია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მამაკაცთა გუნდი (რეპეტიტორი შ. შარშაძე), რომელიც ერთობ შთამბეჭდავად ჟღერდა“...

ზემოთ შეძლებისდაგვარად ვისაუბრე საფესტივალო სპექტაკლებზე, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო გერმანელ მსმენელზე, არამედ მსოფლიოს მრავალი კუთხიდან მოწვეულ სტუმრებზეც. ხოლო როგორი წარმატება ხვდა წილად გალა-კონცერტს, რომელიც ორ განყოფილებად წარმოადგინეს ქართველმა მომღერლებმა, მარტო საგაზეთო წერილების სათაურები შეგვიძლია დავიმოწმოთ, რომ არაფერი ვთქვათ თავად რეცენზიებზე — „ლამაზი ხმების დღესასწაული“. „ქართველები გვთავაზობენ უფრო მეტს, ვიდრე გალა-კონცერტია“. „დემონსტრაცია —კონცერტი“. „საოპერო გუნდმა იმღერა არაოფიციალური ეროვნული ჰიმნი“...

კონცერტის პირველ განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“ (საკონცერტო შესრულება), რომელშიც თავი გამოიჩინეს უაღრესად ნიჭიერმა ახალგაზრდა მომღერლებმა. „ამ დახვეწილ ანსამბლში სულ ცოტა სამი ბრწყინვალე ვოკალური წარმატება აღინიშნა. იანო ალიბეგაშვილის ნატაშას უნით აუწერელი ახალგაზრდული სოპრანო გააჩნია თავის პარტიასთან დაკავშირებულ საჭირო სირთულეებთან ერთად. მოვისმინეთ გია ასათიანის ღრმა, ხავერდოვანი ბანი. ხმის სიძლიერითა და სილამაზით ი. ალიბეგაშვილს ტოლს არ უდებდა [illegible] ლადო ათანელიშვილი“. ეს რაც შეეხება კონცერტის პირველ განყოფილებას, მეორე განყოფილებაში მთლიანად ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდა. მასპინძლებთან პირველი შეხვედრის დროს, მან მთელი ღამე გაათენა, რომ ორკესტრის ყველა ინსტრუმენტისათვის ამ სიმღერის ნოტები დაეწერა. დილით ყველაფერი მზად იყო, ერთი რეპეტიცია გაიარეს და... „ქართველმა სტუმრებმა თავიანთი ეროვნული ჰიმნი შეასრულეს. ფალიაშვილის სახელობის თეატრის გუნდმა, ორკესტრმა და 20-მდე სოლისტმა ისეთი გზნებით შეასრულა ჰიმნი, რომ საქალაქო თეატრის სავსე დარბაზის კედლები კინაღამ ჩამოიქცა“ — ეს სიტყვები პედრო ობიერას ეკუთვნის.

გალა-კონცერტის მეორე განყოფილებას კიდევ მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მასში შესრულებულმა ქართულმა ნაწარმოებებმა უდიდესი მოწონება დაიმსახურეს და აშკარად დიდი ინტერესი გამოიწვიეს „აბესალომ და ეთერის“ მიმართ, რომელიც 1 ოქტომბერს უნდა წარმოდგენილიყო.

დიახ, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. ჩვენი „აბესალომი“, როგორც მას მოფერებით ვეძახით. „აბესალომმა“ მართლაც რთულად გაიკვლია გზა გერმანიისაკენ. მარტო მის გამგზავრებასთან დაკავშირებით შეიძლება ცალკე მომზადდეს საგაზეთო წერილი, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მოკლედ ვიტყვით, რომ მიუხედავად თეატრის ხელმძღვანელთა ოფიციალური განცხადებისა, რომ თბილისის საოპერო თეატრი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა პროკოფიევის ფესტივალში მონაწილეობას, თუ საფესტივალო პროგრამაში ჩართავდნენ ქართველების უპირველეს საოპერო ნაწარმოებსაც. ფესტივალის მესვეურები მაინც ყოყმანობდნენ. ამ მიზნითვე აჩვენეს თეატრის ხელმძღვანელებმა „აბესალომ და ეთერი“ გერმანელ სპეციალისტებს ჯერ კიდევ 1988 წლის იანვარში. „მშვენიერი სპექტაკლია, დიდებული მუსიკაა. თქვენ სამართლიანად ამაყობთ თქვენი „აბესალომ და ეთერით“. მაგრამ ჩვენი ფესტივალი ხომ მხოლოდ თანამედროვე მუსიკის ფესტივალი იქნება — თქვეს იმპრესარიოებმა.

ბოლოს ბატონ ჯანსუღ კახიძის კატეგორიულმა ტონმა და თეატრის გენერალური დირექტორის ზურაბ ლომიძის ერთობ მოხერხებულმა „დიპლომატიურმა“ სვლებმა „აბესალომ და ეთერს“ გერმანიის საზღვრები გადაალახვინა. სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს ის საგაზეთო მასალა, რომლითაც გერმანული პრესა გამოეხმაურა „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენას დუისბურგის საოპერო თეატრის სცენაზე. მაგრამ ვინც ნახა სატელევიზიო გადაცემა, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა თბილისის საოპერო თეატრის გასტროლებს გერმანიაში, დაგვეთანხმება, რომ ჩვენმა „აბესალომმა“ ფეხზე დააყენა გერმანელი მსმენელი. ფეხზე დააყენა ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით. თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ხალხით გადაჭედილ დარბაზს ტაში არ შეუწყვეტია.

ციცინო ჯერვალიძე



შეხვედრები, შეხვედრები...







# გამოფენა, რომელიც ვერ შეამჩნიეს

ოქტომბერ-ნოემბერში თბილისის მხატვრის სახლის დარბაზები დაეთმო წიგნის მხატვრული გაფორმების, ექსლიბრისის და შრიფტის რესპუბლიკურ გამოფენას. მასზე წარმოდგენილი იყო სამოცდაათზე მეტი ავტორის რამდენიმე ასეული ნამუშევარი. ექსპოზიციამ მეტნაკლები სისრულით გვიჩვენა ქართულ გრაფიკაში მიმდინარე პროცესები, მისი ღირსება-ნაკლოვანებები.







გამოფენა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. კვლავინდებურად დიდი ადგილი დაეთმო ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ფოლკლორის დასურათებას, გამოჩნდა გაზრდილი ინტერესი თანამედროვე ქართველ ავტორთა შემოქმედებისადმი. გრაფიკოსთა ყურადღების მიღმა არც უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები დარჩენილა. ილუსტრატორთა მკვეთრად განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობების მიუხედავად, ნაწარმოებთა უმრავლესობაში იგრძნობა მკაფიო მისწრაფება ძველი ქართული ხელოვნების ტრადიციების შემოქმედებითი გამოყენებისადმი. ბევრი თამამ ექსპერიმენტებსაც მიმართავს. ნამუშევართა უმრავლესობაში ჩანს პროფესიონალიზმი, ტექნიკურ ხერხთა მრავალფეროვნება და, რაც მთავარია — ნიჭი.

მრავალი საინტერესო ექსპონატი გვიჩვენებს, რომ გრაფიკის ამ სახეობებისადმი ინტერესი თანდათანობით უფრო ღვივდება. ქართული წიგნის გრაფიკაზე სრული წარმოდგენის შექმნისათვის მომავალში კარგი იქნებოდა მხატვრების ორიგინალების პარალელურად წიგნებიც გამოფენილიყო, რაც მაყურებელს თვალნათლივ დაანახვებდა განსხვავებას ავტორის ჩანაფიქრსა და მის პოლიგრაფიულ შესრულებას შორის. ექსპოზიციას გარკვეული ღირსება შემატა მისმა მემორიალურმა ნაწილმაც, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართული გრაფიკის გამოჩენილ ოსტატთა შემოქმედება. ჟიურიმ დააჯილდოვა გამოფენის მონაწილეთაგან საუკეთესონი.

გამოფენას გარკვეული ხარვეზებიც ჰქონდა: ყველა ექსპონატი ერთნაირი მხატვრული ღირსებით არ გამოირჩეოდა. ზოგიერთი მათგანი არაფერს აძლევდა მაყურებლის არც გულს, არც სულს. ორგანიზატორთა პროგრამის მიხედვით, მასზე ბოლო წლებში შესრულებული ნაწარმოებები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამის მიუხედავად, დარბაზებში ბევრი ისეთი ნაწარმოებებიც ეკიდა, რომლებიც არაერთ წინა გამოფენაზეც გვინახავს. სამწუხაროა, აგრეთვე, რომ ექსპოზიციას აკლდა ბევრი ცნობილი სახელი, რომელთა გარეშე ძნელი წარმოსადგენია დღევანდელი ქართული გრაფიკა. აქ უნდა გავაკრიტიკოთ არა იმდენად ორგანიზატორთა დაუდევრობა, რამდენადაც თავად მხატვართა სამცოდნეთა და გამოფენის მონაწილეთა აქტიური მონდომებით აღიძრა მრავალი საპირბოროტო საკითხი, გამოიკვეთა რთული საკითხების გადაჭრის გზები. აქ გამოსულებმა გულისტკივილით აღნიშნეს ისიც, რომ გამოფენამ თითერთო განწყობა და ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება ამგვარი ექსპოზიციებისადმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს გამოფენა გახდება ერთგვარი ეტაპი მხატვრებისა და საზოგადოების შემობრუნების გზაზე წიგნის ხელოვნებისადმი. გარკვეული პოლიგრაფიული და სხვა ხარვეზები აქვს გამოფენის კატალოგსაც. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დიდ სიძნელეებს, რაც გარკვეული მიზეზების გამო მის გამოცემასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე იმასაც, რომ ფაქტიურად უკვალოდ, ყოველგვარი კატალოგის გარეშე ქრება ქართული ხელოვნებისათვის დიდად მნიშვნელოვანი ექსპოზიციები, მაშინ იგი ერთგვარ წინგადადგმულ ნაბიჯადაც შეიძლება აღვიქვათ.

ზემოთჩამოთვლილ და მრავალ სხვა პრობლემას შეეხნენ შეხვედრის მონაწილენი, რომელიც გამოფენის დახურვისას გაიმართა. გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორის გიორგი წერეთლის, მხატვრის სახლის ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეთა და... ქმის შეუმჩნევლად ჩაიარა. მის მიმართ სრული გულგრილობა გამოიჩინეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. თუმცა, ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებელთა სიმცირე მხოლოდ ინფორმაციის ნაკლებობამ არ გამოიწვია. ვფიქრობთ, სასურველი და შესაძლებელი იყო ქართველ მწერლებს მაინც გამოეჩინათ მეტი დაინტერესება თუნდაც საკუთარი ნაწარმოებების გრაფიკული ინტერპრეტაციის მიმართ.

ამგვარი გულგრილობა ქართველ საზოგადოებრიობას არ ეკადრება.

**ლალი ზარქუა.**

●

სურათებზე: ლეონარდო შენგელიას, ზურაბ ლეჟავას, ჯემალ ლოლუას, სპარტაკ ცინცაძის, ელენე ფირცხალაიშვილის, დავით ბერძენიშვილის, ვლადიმერ ქუთათელაძის და ლალი ზამბახიძის ნახატები.





## პრემიერა: გუნდი „შარავანდი"

სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ვაჟთა ფოლკლორული გუნდი „შარავანდი", რომლის ხელმძღვანელები არიან მიხეილ მცურავიშვილი, ოთარ ბერძენიშვილი და ისლამ ფილფანი.

13 დეკემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება პირველი კონცერტი.

„ქართული პოეზიისა და ხალხური სიმღერების საღამო", — ასეა ჩაფიქრებული „შარავანდის" პირველი შეხვედრა მაყურებელთან. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, ზინა კვერენჩხილაძე, თინათინ მღვდლიაშვილი, ელდინო სალარაძე, ლალი ლოხიშვილი, გიზო სიხარულიძე, რამაზ იოსელიანი, ზაზა მაღლაშვილი, თემურ ნაცვლიშვილი.

კონცერტი დაიწყება 19 საათსა და 30 წუთზე.

## „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებს!

ჩემს სტატიაში „მადლობთ, უფალო, საქართველოს გადარჩენისათვის", რომელიც გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა, ჩემი მიზეზით გაიპარა კორექტურა: „დასავლეთ ევროპის..." ნაცვლად უნდა იყოს — „აღმოსავლეთ ევროპა..." გთხოვთ მომიტევოთ.

პატივისცემით **თამაზ ჭივჭივაძე.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ პოეტ იზა ორჯონიკიძეს მამის

**არჩილ ორჯონიკიძის**

გარდაცვალების გამო.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲓᲐ Ხ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ.


მთავარი რედაქტორი **ელიზბარ ჯაველიძე.**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, ზურაბ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარბის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ ჭივჭივაძე, თამაზ ჭილაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **უჩა ზერაზადიშვილი.**



**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380005, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ №2**

**ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:**

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65. 95-26-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ უბრუნებთ.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡᲝᲑᲘᲗ